



გიორგი ჯღარკავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ქართველური ენათმეცნიერების“ მიმართულების დოქტორანტი, მონვეული ლექტორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გ. ჯღარკავას გამოქვეყნებული აქვს 25-ამდე სამეცნიერო ნაშრომი ქართულ და ინგლისურ ენებზე ადგილობრივ და საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში; ნაკითხული აქვს მოხსენებები 40-ზე მეტ სამეცნიერო ფორუმზე საქართველოსა და უცხოეთში; ახალგაზრდა მკვლევრის სტატუსით მონაწილეობდა და მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო პროექტებში, მათ შორის, სეზონური სკოლების მუშაობაში. წარჩინებული სწავლისა და ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობისთვის გ. ჯღარკავას მიღებული აქვს სახელობითი სტიპენდიები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალი; არის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების („Millennium“, „TSU-TI“) სარედაქციო საბჭოს წევრი.

მეცნიერული ინტერესის სფერო: ლინგვისტიკა, ქართველურ ენათა ტიპოლოგია, ციფრული ჰუმანიტარია.



გიორგი ჯღარკავა

ქართველურ ენათა ანდაზების ლინგვისტური კვლევის საკითხები

გიორგი ჯღარკავა
GIORGI JGHARKAVA

ქართველურ ენათა ანდაზების
ლინგვისტური კვლევის საკითხები

ISSUES IN LINGUISTIC RESEARCH
OF THE PROVERBS
OF KARTVELIAN LANGUAGES

თბილისი – TBILISI
2023

ქართველური ენათმეცნიერების სერია
THE SERIES OF THE KARTVELIAN LINGUISTICS

III

გიორგი ჯღარკავა
Giorgi Jgharkava

ქართველურ ენათა ანდაზების ლინგვისტური
კვლევის საკითხები
**Issues in Linguistic Research of the Proverbs
of Kartvelian Languages**



გამომცემლობა „ანიკნატალი“
თბილისი 2023 TBILISI



სამეცნიერო პროექტი – „ლინგვისტური კვლევის პრობლემური საკითხები ქართველურ ენათა ანდაზებში“ (PHDF-21-125) – განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლებელია არ ასახავდეს რუსთაველის ფონდის შეხედულებებს.

The scientific project – **“Problematic Issues of Linguistic Research in the Proverbs of Kartvelian Languages” (PHDF-21-125)** – was implemented with the financial support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. All the ideas expressed herewith are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself.



პროექტი განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ქართული ენის ინსტიტუტში.

დამტკიცებულია გამოსაცემად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ.

უ ფ ა ს ო გ ა მ ო ც ე მ ა

© გ. ჯღარკავა

ISBN 978-9941-9668-8-0 (ყველა წიგნი)

ISBN 978-9941-33-510-5 (წიგნი III)

UDC (შპკ) 811.353

ჯ – 964

ქართულ და ინგლისურ ენებზე შედგენილი კრებული წარმოადგენს ქართველურ ენათა ანდაზებში ლინგვისტური კვლევის პრობლემური საკითხების წარმოჩენისა და კომპლექსურად გააზრების ცდას. ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზების ენობრივი ანალიზი არაერთ საყურადღებო საკითხს წამოსწევს როგორც საკუთრივ ქართველოლოგიური, ისე ზოგადტიპოლოგიური თვალსაზრისით. ნაშრომში განხილული თეორიული და პრაქტიკული საკითხები განკუთვნილია ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტებისთვის, სტუდენტებისთვის და, ზოგადად, ქართველი ხალხის ისტორიით, ყოფა-ცხოვრებითა და ეროვნულ-სპეციფიკური ნიშნებით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

რედაქტორები: ასოცირებული პროფესორი **მაია ლომია**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ასოცირებული პროფესორი **ქეთევან მარგანი**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეცენზენტები: პროფესორი **მანანა თანდაშვილი**
ფრანკფურტის გოეთეს სახელობის
უნივერსიტეტი

ასოცირებული პროფესორი **სალომე ომიაძე**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეცნიერ-მკვლევარი **იასუჰირო კოჯიმა**
იაპონიის ტოკიოს უცხო ენათა ინსტიტუტი

The collection compiled in Georgian and English languages is an attempt to present and comprehensively understand the problematic issues in linguistic research of Kartvelian proverbs. Linguistic analysis of Georgian, Megrelian, Laz and Svan proverbs raises a number of noteworthy issues both from the Georgian and general typological points of view. The theoretical and practical issues discussed in the paper are intended for humanitarian specialists, students and, in general, for the public interested in the history, life and national-specific features of the Kartvelian people.

Editors: Associate Professor **Maia Lomia**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor **Ketevan Margiani**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Reviewers: Professor **Manana Tandashvili**
Goethe University Frankfurt

Associate Professor **Salome Omiadze**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Scientist-Researcher **Yasuhiro Kojima**
Tokyo University of Foreign Studies

სარჩევი

შესავალი	7
სამადლობელი	9
Acknowledgement	10

ნაწილი I

<i>ქართველურ ენათა ანდაზების ლინგვისტური კვლევის საკითხები</i>	11
1. ქართველურ ენათა ანდაზების ლექსიკურ-თემატური მახასიათებლები	12
2. ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზების სემანტიკური ეკვივალენტობის საკითხი	23
3. ანდაზების ტრანსფორმაცია და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია	30
4. ანდაზა – ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის ობიექტი	43
5. რიცხვის სიმბოლიკა ქართველურ ენათა ანდაზებში	56
6. ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენათა ანდაზებში	64
7. გენდერული სტერეოტიპების ასახვა ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზების ენაში	75
8. ანდაზების როლი ქართულ პოლიტიკურ დისკურსში	86

საწილი II

Issues in Linguistic Research of the Proverbs of Kartvelian

<i>Languages</i>	97
1. Lexical and Thematic Characteristics of Kartvelian Proverbs	98
2. The Issue of Equivalence of Georgian, Megrelian, Laz and Svan Proverbs	112
3. The Transformation of Proverbs and Related Terminology ...	121
4. A Proverb as an Object of Linguocultural Research	126
5. The Symbolic Meaning of Numbers in the Kartvelian Proverbs	131
6. The Phonosemantic Vocabulary in the Kartvelian Proverbs ..	141
7. Gender Implications in Georgian, Megrelian, Laz and Svan Proverbs	145
8. The Role of Proverbs in the Georgian Political Discourse....	155
ბიბლიოგრაფია	159
ბეჭდური და ელექტრონული წყაროები: ლექსიკონები, ტექსტები.....	168
შემოკლებათა განმარტებანი	174
მთქმელები	175
დანართი	179
საძიებლები	207

შესავალი

ანდაზა განსაკუთრებული ენობრივ-კულტურული და მენტალური ფენომენია. ანდაზის კვლევა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ენათმეცნიერული თვალსაზრისით, არამედ სხვა დისციპლინათა პერსპექტივიდანაც; მათ შორის წამყვანი ადგილი ლინგვისტურ ანალიზს უჭირავს, რადგან ენაშია გაცხადებული ერის, ეთნოსის ყოფა-ცხოვრების, ისტორიისა და კულტურის სპეციფიკური ნიშნები. ანდაზა უძველესი კოდური ინფორმაციის შემცველია. იგი ხალხური ზეპირსიტყვიერების ისეთი ჟანრია, რომელიც დღესაც ზეპირმეტყველებაში გვეძლევა. პარემიული ერთეულები ყველა ენაში მოიპოვება, ამიტომ ანდაზა ერთდროულად მსგავსებითა და განსხვავებით, ვარიანტულობითა და ინვარიანტულობით ხასიათდება. ანდაზაში კონცენტრირებულია საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება, სიბრძნე, მაღალზნეობრივი და აღმზრდელობითი დარიგებები. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, **აქტუალურია** ანდაზების ენობრივი კვლევა, ლინგვისტური და ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის პრობლემატიკის წარმოჩენა, იმაზე დაკვირვება, როგორ არის გაცხადებული ქართველურ ანდაზებში საერთო კულტურულ-მენტალური მონაცემები, რა არის მასში უნივერსალური და რა – კულტურულ-სპეციფიკური.

ჩვენი კვლევის **მიზანია** ქართველური ენების ანდაზების მიხედვით იმ ენობრივ-გამომსახველობითი ინვენტარის წარმოჩენა, რომელთა მიხედვითაც ანდაზა წარმოგვიდგება მოქნილი და ტევადი შინაარსის სპეციფიკური ინტონაციით წარმოსათქმელ ფრაზად. ნაშრომის კონკრეტული **ამოცანაა** ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზების ენობრივ მონაცემთა ანალიზი. ქართველური ანდაზების ენობრივი მონაცემების შესწავ-

ლა გამოკვეთს როგორც უნივერსალურ, ასევე საერთოქართველურ ტიპოლოგიას და საკუთრივ კონკრეტული არეალისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშნებს. რაც შეეხება **კვლევის მეთოდოლოგიას**, ემპირიული მასალის ანალიზისას ვიხელმძღვანელებთ აღწერითი, სტატისტიკური, ისტორიულ-შედარებითი, დისტრიბუციული (სინტაგმატური და პარადიგმატული) ანალიზის, კორპუსზე დამყარებული (Corpus-based studies) და კორპუსით განპირობებული (Corpus-driven studies) კვლევის მეთოდებით.

ქართველურ ენათა ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკურ მახასიათებლებზე დაკვირვებამ საშუალება მოგვცა ყურადღება გაგვემახვილებინა ისეთ პრობლემურ თემებზე, როგორებიცაა: ქართველურ ენათა ანდაზების სემანტიკური ეკვივალენტობის საკითხი; ანდაზების ტრანსფორმაცია და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია; ანდაზა, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის ობიექტი; გენდერული სტერეოტიპების ასახვა ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზების ენაში; ანდაზების როლი ქართულ პოლიტიკურ დისკურსში და სხვა.

წინამდებარე ნაშრომში საკვლევი ემპირიული მასალა ქართველურ ენათა ანდაზების ბეჭდური გამოცემები და კორპუსული მონაცემებია. გარდა ამისა, გამოყენებულია სხვადასხვა დროს საველე მუშაობისას მოპოვებული მასალაც, რომელთა საშუალებითაც, ძირითადად, ლექსიკური ვარიაციებია წარმოჩენილი. თუ გამოცემული მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზების ქართული ვერსია ჩვენ მიერ შეცვლილი ან/და კორექტირებულია, წყარო მიეთითება უშუალოდ დედნისეული ტექსტის შემდეგ.

სამადლობელი

მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო წიგნის რედაქტორებს, ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელებს, ასოცირებულ პროფესორებს – მაია ლომიასა და ქეთევან მარგიანს, რომელთა დაულალავი შრომითა და თანადგომით შეიქმნა წინამდებარე კრებული. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნით რეცენზენტებს, უშურველად განეული კონსულტაციებისთვის, საჭირო შენიშვნებისა და რეკომენდაციებისთვის. გულწრფელი მადლობა აგრეთვე ქართველ და უცხოელ მკვლევრებს სამეცნიერო ფორუმებსა თუ კონფერენციებზე გამოთქმული ყურადსაღები რჩევებისთვის.

დიდად ვემადლიერები სამეგრელოს, ლაზეთისა და სვანეთის მკვიდრთ, ყველა იმ მთქმელს, რომლებიც ველზე მუშაობისას დიდი პასუხისმგებლობითა და რუდუნებით მეხმარებოდნენ საინტერესო საკითხების დაზუსტებაში, სიამოვნებით მანვდიდნენ ახალ ემპირიულ მასალას.

მადლიერებას გამოვხატავ ინგლისური ენის სპეციალისტების - ირინა დემეტრაძისა და ნინო კურატიშვილის მიმართ, რომელთა დახმარებითაც მომზადდა კრებულის ინგლისურენოვანი ნაწილი.

დაბოლოს, მადლობა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, რომლის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებშიც შეიქმნა წინამდებარე ნაშრომი.

Acknowledgement

I would like to express my deep gratitude to the editors of the book, my scientific supervisors, associate professors – Maia Lomia and Ketevan Margiani, with whose tireless work and support this collection was created. Special thanks go to the reviewers for their free consultations, necessary comments and recommendations. Particular appreciation to Georgian and foreign researchers for the valuable advice given at scientific forums or conferences.

I am profoundly grateful to the residents of Samegrelo, Lazeti and Svaneti, to all those informants who helped me clarify interesting issues with great responsiveness and enthusiasm while working in the field, and were happy to provide me with new empirical material.

I express my gratitude to English language specialists – Irina Demetradze and Nino Kuratishvili, with whose help the English part of the collection was prepared.

Finally, I would like to thank Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia, which funded my scientific project and the present work within its framework.

ნაწილი I

ქართველურ ენათა ანდაზების
ლინგვისტური კვლევის საკითხები

1. ქართველურ ენათა ანდაზების ლექსიკურ-თემატური მახასიათებლები

ანდაზების ლექსიკის შესწავლასა და არსებული თემატური ველების დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ხალხის ყოფის, საქმიანობის, ისტორიის გამოსავლენად, რომლის წიაღშიც ეს პარემიული ერთეულები ოდესღაც შეიქმნა და დღესაც აგრძელებს არსებობას. ანდაზების ლექსიკური ფონდი მაქსიმალურად ასახავს ყოველდღიურ მეტყველებას, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პარემიების ხალხურობას. ანდაზის სოციალურ ხასიათს ხშირად მასში შემავალი სიტყვ(ებ)ის შინაარსი განსაზღვრავს; კერძოდ, მიანიშნებს ანდაზის წარმოშობის და // ან გავრცელების ადგილზე, ანდაზის შექმნის კონკრეტულ მოტივზე და სხვ. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა პარემიებში დადასტურებული დიალექტური ერთეულები. ამასთან, ანდაზებში შესაძლოა წარმოდგენილი იყოს დღეისათვის მოძველებული, საგანგებო განმარტების გარეშე გაუგებარი სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი¹. ის ფაქტი, რომ ანდაზის ენაში დასტურდება მრავალფეროვანი, თავისებური და საინტერესო ლექსიკა, სხვადასხვა მიზეზითაა განპირობებული.

როგორც არსებული ემპირიული მასალის ანალიზმა აჩვენა, ქართველურ ენათა ანდაზები მდიდარი თემატიკის შემცველია; იგი ასახავს ადამიანის ყოფა-ცხოვრებას, მის ყოველდღიურ საქმიანობას და გადმოსცემს იმ ზოგად სიბრძნეს, რომელიც მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. ქართველური ენების ანდაზებისთვის დამახასიათებელი უნივერსალური ლექსიკური მონაცემების გვერდით (როგორებიცაა ფრინველთა და ცხოველთა, მცენარეთა, ადამიანთა სახელები და ა.შ.), მეგრულ, ლაზურ ან სვანურ

¹ ქართული ანდაზების ლექსიკურ თავისებურებებზე საგანგებოდ მსჯელობს ლ. ლეჟავა (1959).

ანდაზებში გვხვდება სპეციფიკური ლექსიკური ერთეულებიც (ანთროპონიმები, ტოპონიმები, ჰიდრონიმები და სხვ.), რომლებიც, პირველ რიგში, ემსახურება კონკრეტული ენობრივი კოლექტივისთვის ნიშანდობლივი კულტურული, გეოგრაფიული თუ სხვა ტიპის თავისებურებების წარმოჩენას. ქართველურ ენათა ანდაზებში არსებული უნივერსალური ლექსიკურ-თემატური მონაცემების შესწავლასთან ერთად, განსაკუთრებით საინტერესოა სწორედ ამგვარი – რომელიმე კუთხისთვის დამახასიათებელი, სხვათაგან გარკვეული ნიშნით განსხვავებული, გამორჩეული პარემიული ერთეულების ძირითადი ჯგუფების გამოვლენა. ამასთანავე, საყურადღებოა ის ანდაზებიც, რომლებშიც წარმოდგენილია ერთი ან რამდენიმე არქაული და ნაკლებად გასაგები ან ნაკლებად პროდუქტიული ლექსიკური ერთეული, რომელთა გამოყენებაც ანდაზის შინაარსს ზოგჯერ აზუნდოვანებს და საჭირო ხდება დამატებით ახსნა-განმარტება, თუმცა ხშირ შემთხვევაში პარემიით გამოხატული აზრი მეტ-ნაკლებად გასაგებია და ანდაზა მაინც აღწევს მიზანს.

მასალის ანალიზი: თემატური ჯგუფების გამოყოფის პრინციპები

ქართულ, მეგრულ, ლაზურ და სვანურ ანდაზებში ლექსიკის მიხედვით შეიძლება გამოიყოს რამდენიმე თემატური ჯგუფი. მათგან ერთ-ერთია ოჯახის ძირითადი (მშობლების, შვილის, დედმამიშვილების) და შემომატებული (სიძის, რძალ-დედამთილის, დედინაცვლის) წევრების აღმნიშვნელთა მონაწილეობით შექმნილი ანდაზები.

ნიმუშად მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს:

ქართული

- (1) დედინაცვალი თვალში ნაცარიო (ჯორჯანელი 2003:70).
- (2) ერთიმეორის ცქერით ძმებს სახლი დაენვათო (იქვე:82).

(3) ინდივილი, მინდივილი, რაც დედ-მამა, იგივე შვილი (იქვე:131).

(4) პაპას შვილიშვილი ძველ დროს ასწავლიდაო (იქვე:196).

(5) რძალო, დედამთილი გიჩივისო, – რას მიჩივის ის სულძაღლიო, – აი, სწორედ მაგასაო (იქვე:210).

(6) სიძემა თქვა: ჩემი თოხი მომიტანეთო (იქვე:232).

მეგრული

(7) ბაბუს დო მოთას ართ ჭკუა ულუნია „ბაბუასა და შვილიშვილს ერთი ჭკუა აქვსო“ (შეროზია, მემიშიში 1994:17).

(8) და ჯიმაში სინწარეს გეგენსენი, თექ დოლო ვეფალუნცია „სადაც და ძმის სიკვდილს გაიგონებს, იმ ადგილას ბალახი არ ამოვაო“ (იქვე:34).

(9) დიანთიქ ნოსა იმონშუა დო ნოსაქ მუშ დუდია „დედამთილმა რძალი იმონშა და რძალმა თავისი თავიო“ (იქვე:37).

(10) დიდას ქაფუნია ნასხაპა და სქუათ ქოსხაპუნსია „დედას თუ უცეკვია [=გაუკეთებია]¹, შვილიც იცეკვებსო [=გააკეთებსო]“ (იქვე:38).

ლაზური

(11) ჯუმაკალა მწკუფისთი კაი გოფლენ „ძმასთან ერთად სიბნელეშიც კარგად ივლი“ (შეროზია, მემიშიში 1994:266).

(12) პაპული დო ნანდიდიში რდელი ბერე ელამცქვერი იყვენ „ბაბუისა და ბებიის გაზრდილი ბავშვი განებვივრებული იქნება“ (იქვე:249).

(13) მწკუფი სეის თუთა უნონ, სეჭილი ქომოლის ღნოსაი ოხორჯა უნონ „წყვიდად ღამეს მთვარე უნდა, სულელ ქმარს ჭკვიანი ცოლი“ (იქვე:238).

¹ კვადრატულ ფრჩხილებში წარმოდგენილი მონაცემები, აქაც და ქვემოთაც, ჩვენეული ვერსიებია (გ. ჯ.).

(14) და კაი სიჯა გიყოონტასინონ, და კაი ეშელია „ან კარგი სიძე უნდა გყავდეს, ან კარგი ვირიო“ (იქვე:243).

(15) ნანაშანტეში გიყოონ-ნა, ბაბათი ბაბაშანტეში იყვენ „დედინაცვალი თუ გყავს, მამაც მამინაცვალი იქნება“ (იქვე:240)¹.

სვანური

(16) ბაბაშ გუტი ნიბაშინს ესერ ესსედა „პაპის გული შვილიშვილს გაჰყოლიაო“ (დავითიანი 1973:19).

(17) დამბაშ მუეშ გეზალი დამბაშ ესერ ლი „დაბალი მამის შვილიც დაბალიაო“ (იქვე:31).

(18) დი გეზლიშ ბედჟი ლემასგუ ესერ ჟი ესჩიდი ე, გუტი დემის ხეზი „დედა შვილისათვის ცეცხლში რომ დაინვას, გული არ გაუძღებაო“ (იქვე:32).

(19) მუხუბე მუხუბემ ესერ ლაჭედ შიყ ლი „ძმა ძმის საყრდენი ზურგიაო“ (იქვე:103).

(20) ხოჩა თელღერა გიგას დინაგეზალდ ესერ ხესპი „კარგი რძალი დედამთილს საკუთარი ქალიშვილივით შეუწყობსო“ (იქვე:190).

ქართველურ ენათა ანდაზებში ცალკე თემატურ ჯგუფს ქმნის შრომის, სამუშაო იარაღებისა და, ზოგადად, გლეხის ყოფასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობის თემატიკა, აგრეთვე, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი შინაური ცხოველებისა და ფრინველების, მცენარეების დასახელება. ცხადია, ცხოველებისა და ფრინველების, მცენარეების ნაცვლად, ალეგორიულად ადამიანი იგულისხმება და ანდაზის დამრიგებლური შინაარსიც მას მიემართება; ამასთან, ამგვარ მიდგომას დიდაქტიკური ხასიათის პარემიებში მხატვრული დატ-

¹ როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველურ ენათა ანდაზებშიც დედინაცვალი უარყოფითი პერსონაა. ამ თვალსაზრისით, ანდაზა ეხმარება ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრს, მაგალითად, ზღაპარს.

ვითვაც აქვს: იგავური კონტექსტით აზრი განზოგადებულია და მას კონკრეტული ადრესატი არ ჰყავს.

ქართული

(21) შენ რას იკვები, მამულო, ყანა ამინდის შვილიაო (ჯორჯანელი 2003:282).

(22) მუშა კაცის სასჯელი უქმად ყოფნა არისო (იქვე:182).

(23) კარგი მეურნე მარხილს ზაფხულში გააკეთებს და ურემს კი ზამთარშიო (იქვე:138).

(24) მეზობელს მეზობლის ქათამი აქლემი ეგონაო (იქვე:169).

(25) ვისაც სიმინდი უყვარს, თოხიც უყვარდესო (იქვე:105).

(26) ერთი ხისგან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცო (იქვე:84).

(27) თავვს უთქვამს: ყანას ისე ვერ მომკით, ჩემი სამყოფი აღარ დაგრჩეთო (იქვე:115).

მეგრული

(28) ბერგი დიხას ვადაჩირთენია (ვედოჩირთუნია) (შეროზია, მემიშიში 1994:19). „თოხი მიწას არ დასცილდებო (აცდებო)“.

(29) ბრიგადირი დო გუგული ართი რენია – ჟირხოლო შხვას მუშაობას უძახენია „ბრიგადირი და გუგული ერთი არისო – ორივე სხვას მუშაობისკენ უძახისო“ (იქვე:20).

(30) ბულიშა სხული ვეგიჯონუნია „ბალზე მსხალი არ დაიმყნობაო“ (იქვე:21).

(31) გირინიში ნახადი ცხენქ ოჭკომუა „ვირის ნაშრომი ცხენმა შეჭამაო“ (იქვე:28).

(32) ლუ ინაჯინალო ვერგ, ვარა გური ჯგირი უღუნია „ბუ შესახედავად არ ვარგა, თორემ გული კეთილი აქვსო“ (იქვე:151).

ლაზური

(33) ბაშქაში ბერგითენ ყონა ვარ იხაჩქენ „სხვისი თოხით ყანა არ მოიხვნება, არ დაითესება“ (შეროზია, მემიშიში 1994:203).

(34) ფუჯიქ ყონა ძირუ დო ლობერი ვარ ძირუ „ძროხამ ყანა ნახა და ლობე კი – ვერაო“ (იქვე:203).

(35) ეშელის ფალანი მუში მონკა ვარ აყვენ „ვირს თავისი უნაგირი არ დაამძიმებს“ (იქვე:214).

(36) ზდეი ნკართენ ქარმატექ ვა მქუმს „მოზიდული წყლით ნისქვილი არ ფქვავს“ (იქვე:215).

(37) მენჩხომე ონჯირეს ვა ლურუნ „მეთევზე სანოლში არ კვდება“ (იქვე:231).

(38) უსთას ოხორი ვარ ულუნ „ხუროს სახლი არა აქვს“ (იქვე:253).

სვანური

(39) აშუ ლდლიმ სგებნაუ ნაჯანუ აშუ ნაგზოშუ სგებინჩუ ესერი ითი „ერთი დლით ადრე მოხნული ერთი კვირით ადრე მოიმკებაო“ (დავითიანი 1973:17).

(40) კეცნემ ნამატუინ ჭემინს ესერ ლახშდეხა „პურს გაქცეული ქერს მიაკვდაო“ (იქვე:46).

(41) მედგარი ჩაჟუ მერ ესერ ხეჭუწდი „მომაკვდავ ცხენს ბუზი ესევაო“ (იქვე:87).

(42) მიჩ' ადგიჟი ბერგიმ ნამჭიჩუ ესერი ხოჩა ლი „თავის ადგილზე გაცვეთილი თოხიც კარგიაო“ (იქვე:95).

(43) ფედლიმ დაბ ლამშაშ ესერ სეუდდგარ ხოჩა ლი (იქვე:143). „ახლო ყანა მონატრებული მუშაობის მოსაკლავადაც კარგიაო“.

ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზები ერთმანეთთან უმეტესად მსგავსებას ავლენენ, თუმცა მონათესავე ენათა ოჯახის ფარგლებშიც შეიძლება გამოჩნდეს თემატურ-შინაარსობრივად განსხვავებული, საკუთრივ ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის საქმიანობითა და გეოგრაფიული გარემოთი მარკირებული პარემიული ერთეულები. ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილია მეგრულში, ლაზურსა და სვანურში დადასტურებული ის ანდაზები, რომლებიც მათში შემავალი ლექსიკური ერთეულების მიხედვით უშუალოდ ამ კუთხეების კუთვნილებად შეიძლება ჩაითვალოს.

მეგრული

(44) გიორგი ცხონდია – ირკოჩიში მორდია „გიორგი ცხონდია – ყველას („ყველა კაცის“) ნათლია (შეროზია, მემიშიში 1994:28).

(45) დადიაქ ყაზახის – ომემეში ღულა გაფუნია დო – ხოჯი ოგაფუუა „დადიანმა გლესხ – ულვაში სწორად არა გაქესო („მოღუნული გაქესო“) და – ხარი გადაახდევინაო“ (იქვე:35).

(46) სონი ჩიქახე, სო მიშახე „სადაური ჩიქავას ასული სად ჩამჯდარაო“ (იქვე:124)¹.

შენიშვნა 1: მეგრულ ზეპირმეტყველებაში ვხვდებით ამ ანდაზის სხვა ვარიანტსაც: სონი ჯიქახე, სო მიშახე. „სადაური ჯიქიას ასული სად ჩამჯდარაო“ (ხალხ. სიტყვ. II 1991:526). ჩვენი აზრით, ანდაზისთვის დამახასიათებელი რითმულობა-რიტმულობის შესანარჩუნებლად არის გამოყენებული „ჯიქახე“ ფორმა „ჯიქიხეს“ ნაცვლად (ჯიქიხე ← ჯიქია-ხე); შდრ. **ჯიქახე – მიშახე**.

(47) უჭირო საჭირო ჩანგელიამ კარსია „უჭირო [=გაუჭირებელი // დაუგეგმავი] გაჭირვება ჩანგელიას კარზეო“ (შეროზია, მემიშიში 1994:138)².

(48) უტუში ნინა მუში ნაჭკადაში უჯგუშო ჭკირუნცია „უტუს ენა მის ნაჭედზე უფრო კარგად ჭრისო“ (იქვე:137)³.

¹ მსგავსი შინაარსის მატარებელია შემდეგი ანდაზაც: ახალაიქ პატარაიას მიშახხაპუა „ახალაია პატარაიას ცეკვაში ჩაერიაო“ (შეროზია, მემიშიში 1994:16), ან: ახალაიამ ჯოღორი გოშუას ჯოღორენს მიშალა-ლანდუა „ახალაიას ძალი გოშუას ძალებთან ყეფდაო“ (იქვე:16).

² ანდაზის შინაარსი კრებულში ამგვარადაა ახსნილი: „გლესხმა ჩანგელიამ ენგურის ნაპირას ორაგული იპოვა და დადიანს მიართვა. დადიანი გაუჯავრდა, – აქამდე რატომ არ მოგქონდა ასეთი საჩუქარიო და ბეგრად დაადო ყოველ წელს ორაგულის მოტანა“ (შეროზია, მემიშიში 1994:138).

³ ქართული ხალხური სიტყვიერების II ტომში (მეგრული ტექსტები) აღნიშნული ანდაზის ქვეშ ასეთი განმარტება გვხვდება: „პროფესიით მჭედელი უტუ მიქავა, სამეგრელოს გლესხთა 1858 წლის მეთაური, ცნობილი იყო ორაგორული ნიჭითაც“ (ხალხ. სიტყვ. II 1991:446).

(49) ქილაიამ ხოჯი ეკობონს ხონუნსია „ჭილაიას ხარი აღმართში ხნავსო“ (იქვე:175).

ლაზური

(50) აჯარალიქ დალიკელე ინკენ, ლაზიქ – მზოლაკელე „აჭარელი ტყისკენ იყურება, ლაზი – ზღვისკენ“ (შეროზია, მემიშიმი 1994:202).

(51) ზულაკალა ნა სქიდუნს ომჩვირუთი აჩქინენ „ზღვასთან მცხოვრებს ცურვაც ეცოდინება“ (იქვე:216).

(52) წყარიმ მომალერი წყარიქ ნიმერს „წყლის მოტანილს წყალი წაიღებს“ (იქვე:262)¹.

(53) პოლის ჯუმორი დვაბერენან დო ნჩხალას ხარჯი იკვანტერენან „სტამბოლში ძმარი დაეღვარათ და ჩხალაში ხარჯს ითხოვდნენო“ (იქვე:249)².

(54) ხოფას ლაზი ლურუ, პოლის ბგარა დოდგეს „ხოფაში ლაზი მოკედა, სტამბოლში ტირილი გამართეს“ (იქვე:264).

(55) მოლლა ცხენიშენ მელუ-ში: – ზათთან ცხენიშენ გეფტამინტუ-და „მოლა ცხენიდან რომ ჩამოვარდა – მაინც ცხენიდან უნდა ჩამოვსულიყავიო“ (იქვე:235)³.

სვანური

(56) აშტ ლეთ ხანსარჟი ესერი ლწლეთი ლი „ერთი ღამე მყინვარზეც გაითენებო“ (დავითიანი 1973:17)⁴.

(57) ბაჩტ ბაჩტჟი ლგგს მურყტამ ესერ ახფასა „ქვა ქვაზე დადებული კოშკი გამოსულაო“ (იქვე:20).

¹ შდრ. ქართული ანდაზა: „ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო“.

² შდრ. ქართული ანდაზა: ერთი კაცი გორში გალახეს და გული ცხინვალში მოუვიდაო (ჯორჯანელი 2003:81); მეგრული ანდაზა: ხორგას კორი გოლახეს დო ხეთას გურქ მურთუა „ხორგაში კაცი გალახეს და ხეთაში გული მოუვიდაო“ (შეროზია, მემიშიმი 1994:185).

³ შდრ. ქართული ანდაზა: „კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო“.

⁴ შდრ. ქართული ანდაზა: „ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშლებო“.

(58) იტალადელ ხუნ ესერ ლახმელ ი ზეგირ ჩუბეკეჟ „ოდიტან-ვე საძირკველი ლახამულა, სახურავი ჩუბეხევიო“ (იქვე:43).

(59) მამანდრე გადან მეზგალისგა ზისხ ესერ ლი „ყველაზე უარესი ვალი ოჯახისათვის სისხლიაო“ (იქვე:74)¹.

(60) ნაბეჩუ ი ნაწიშდ მწიდს ესერ უშხუარ სამშერალახ „ბეჩოში ნამყოფი და ხაიშში ნამყოფი შიმშილს ერთმანეთს შესჩიოდნენო“ (იქვე:107).

(61) მერუალე ჳენის ესერ ესფეშუდა ი გადრანწრს კწცხთე ხწწრალა „ვილაც ჳენის ლელეში დაცემულა და გადრანების გვარს სოფ. კაცხამდე აგინებდაო“ (იქვე:123).

მოყვანილი მაგალითებიდანაც ნათელია, რომ ანდაზებში ცალკეული კუთხისათვის დამახასიათებელი ყოფითი რეალიების ლექსიკური გააქტიურება ხდება, როგორებიცაა, მაგალითად, ლაზურში ზღვა და წყალი, მეთევზეობა, თურქული წარმომავლობის ადამიანთა სახელები, ტოპონიმები, აღმოსავლურ სამყაროში გავრცელებული ლექსიკა და ა.შ., ხოლო მეგრულსა და სვანურში – აგრეთვე ანთროპონიმებით, სხვადასხვა ადგილობრივი ისტორიულ-გეოგრაფიული მახასიათებლებით ნიშანდებული ანდაზები. ეს ყველაფერი მიანიშნებს პარემიული ერთეულების ამა თუ იმ კუთხისთვის მიკუთვნებულობას, თუმცა, ამასთანავე ცხადია, რომ ანდაზა არ კარგავს განზოგადებულ ხასიათს და გადმოგვცემს იმგვარ სიბრძნეს, რომელიც ყველგან და ყველასთვის გამოსადეგია. ამრიგად, ეს ის შემთხვევებია, როდესაც პარემიებისთვის დამახასიათებელი უნივერსალური მორალი და შეგონება ადგილობრივი ნიშნით არის შეფერილი. შესაბამისად, მიუხედავად ცალკეული ლექსიკური ერთეულების

¹ ჩვენი დაკვირვებით, ანდაზა ეხმიანება სისხლის ალების ტრადიციას, რომელიც ძველად სვანეთში იყო გავრცელებული. შდრ. აგრეთვე: მწრემ დაგრალა ჳედ ესერ ლინწური ლი წეს, მოდეჲ წორ „კაცის სიკვდილისათვის ან სისხლის ალება არის წესი, ან საზღაურიო“ (დავითიანი 1973:79).

მონაცვლეობისა, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზების ზოგადი შინაარსი და მორალი საერთოქართველურ ჩარჩოში განიხილება და ყველასთვის გასაგებია. მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში საჭიროებს ესა თუ ის ანდაზა დამატებით შედარებით ვრცელ ახსნა-განმარტებასა და ისტორიულ რაკურსში მსჯელობას (მაგალითისათვის იხ. (47), (48) ანდაზები).

ცალკეა განსახილველი იმგვარი შემთხვევები, როდესაც აუცილებელია პარემიებში დადასტურებული ცალკეული ლექსიკური ერთეულების განმარტება, რათა ანდაზის შინაარსი გასაგები იყოს:

(62) ერთი კოჭობი¹ კუპრი ყოველ ოჯახში დულსო
(<http://idioms.tsu.ge/?p=1307>).

(63) ჰამქარი² ჰამქარს შორიდანვე იცნობსო
(<http://idioms.tsu.ge/?p=11118>).

(64) ხარაზი რომ ხაბაზობას დაინყებს, პური კუტი³ გამოვავო
(<http://idioms.tsu.ge/?p=8641>).

(65) როგორიც ალაგიო, ისეთი ალაბიო⁴
(<http://idioms.tsu.ge/?p=11509>).

(66) შუბი ხალთაში⁵ არ დაიმალებაო
(<http://idioms.tsu.ge/?p=8548>).

(67) ცეცხლის პატარა ნაპერწკალი დიდ ხორას⁶ გადასწავსო
(<http://idioms.tsu.ge/?p=14887>).

¹ კოჭობი – პატარა ქოთანის (ქეგლ-ი).

² ჰამქარი // ამქარი – ერთი ხელობის ოსტატ-ხელოსანთა და ვაჭართა გაერთიანება, ამხანაგობა (ქეგლ-ი).

³ კუტი – თონეში ჩავარდნილი (და ნაკვერცხლებზე გამომცხვარი) პური (ქეგლ-ი).

⁴ ალაბი – იგივეა, რაც ადლი (ქეგლ-ი).

⁵ ხალთა – ტყავის ტომარა, გუდა (ქეგლ-ი).

⁶ ხორა – ერთად დანყობილი შეშა, საშენი მასალა და მისთ. (ქეგლ-ი).

(68) რაც არ ექნეს მამაშენსა, ნურც შენ დახევ მარმაშებსა¹

(<http://idioms.tsu.ge/?p=11495>).

(69) რწყილს ტყავს გახდის, რუმზად² იხმარსო

(<http://idioms.tsu.ge/?p=11525>).

(70) დაადარე მსხალი პანტას, მალაჩინი³ – მაჟალოსა⁴

(<http://idioms.tsu.ge/?p=11211>).

ამდენად, ქართველურ ენათა ანდაზების ლექსიკურ-თემატიკურ მახასიათებლებზე დაკვირვება საშუალებას იძლევა პარემიებში ასახული უნივერსალური თემატიკის (ნათესაობა, გეოგრაფიული გარემო, ფლორა, ფაუნა და მისთ.) გვერდით გამოიყოს საკუთრივ ერთ, რომელიმე ენობრივ კოლექტივში გავრცელებული, ადგილობრივი ყოფისთვის დამახასიათებელი, რაიმე ნიშნით გამორჩეული ანდაზები, რომელთა შინაარსის გაგება, მიუხედავად მათში გადმოცემული სიბრძნის უნივერსალურობისა, ზოგჯერ დამატებით განმარტებას ითხოვს.

¹ მარმაში – თხელი, გამჭვირვალე ქსოვილი (ქეგლ-ი).

² რუმზი – ძროხის, მოზვრის ან კამეჩის ტყავის დიდი ტიკი (ქეგლ-ი).

³ მალაჩინი – კომში (ნეიმანი 1978:237).

⁴ მაჟალო – [Malus orientalis] საშუალო ან მაღალი ტანის ხე; აქვს მთლიანი ფოთლები და მოთეთრო ან მოვარდისფრო ყვავილები; ისხამს პატარა ზომის მომჟავო ნაყოფს, – ტყის ვაშლი (ქეგლ-ი).

2. ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზების სემანტიკური ეკვივალენტობის საკითხი

ქართველურ ენათა ანდაზების შედარება აზრობრივი ეკვივალენტობის თვალსაზრისით მრავალმხრივ საყურადღებოა. მათ შორის, საინტერესოა იმაზე დაკვირვება, თუ როგორ გადადის ერთი მონათესავე ენიდან მეორეში ესა თუ ის პარემიული ერთეული. ქართველურ ენათა ანდაზები მრავალფეროვანი თემატიკის შემცველია და ეხმიანება ადამიანთა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. იმის გამო, რომ ანდაზით გადმოცემული აზრი ადამიანთა უშუალო დაკვირვებასა და გამოცდილებას ემყარება, მასში ყურადღება გამახვილებულია ისეთ უნივერსალურ თვისებებსა და თემებზე, როგორებიცაა სიმამაცე, მეგობრობა, სამშობლოს სიყვარული, ბედის უკუღმართობა, სიცრუე, სულგრძელობა, საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის ურთიერთობა და ა. შ. მათში ხაზგასმულია ის თვისებები, რომლებიც უნდა ახასიათებდეს ან არ უნდა ახასიათებდეს ადამიანს.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „პარემიების თარგმნა ნებისმიერ ენაზე გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ორიგინალისა და თარგმანის ენა სხვადასხვა ოჯახებს განეკუთვნება“ (სიორიძე 2012:209). ანდაზების თარგმნა მოითხოვს არა მხოლოდ დედნის ენისა და მეორე ენის ზედმიწევნით ცოდნას, არამედ ამ ორი კულტურის ცალკეულ მახასიათებელთა ღრმად, საფუძვლიანად გააზრებასაც. უნდა აღინიშნოს, რომ ანდაზების სემანტიკური ეკვივალენტობის დადგენა არც მონათესავე ენებს შორის არ არის ადვილი, რადგან უნივერსალურთან ერთად, ყოველ ენობრივ კოლექტივში მოიძებნება სპეციფიკური, მხოლოდ ადგილობრივი ეთნოსისთვის დამახასიათებელი მოვლენა.

ეკვივალენტობის ცნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცნებაა თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში. ცნობილია, რომ თარგმანში დედნის ეკვივალენტობის შენარჩუნება ხშირად ვერ ხერხდება, რადგან „განსხვავებები ენებს შორის და ის, რომ ყოველგვარი კომუნიკაცია სოციოკულტურული კონტექსტის ნაწილია, ხშირად ხელს უშლის ამოსავალი ენის ყველა ელემენტისათვის ეკვივალენტური ვერსიის გადმოცემას ტექსტის ყველა დონეზე“ (ფარეშიშვილი 2013:41). სამეცნიერო ლიტერატურაში ანდაზების თარგმნასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მიდგომა. ერთი მოსაზრებით, დედნის ენაში წარმოდგენილი პარემიული ერთეული უნდა ჩავანაცვლოთ სათარგმნ ენაში არსებული ადეკვატური ცალით, ვინაიდან „ყოველ ანდაზას მოეპოვება თავისი შესატყვისი თითქმის ყველა ენაზე და ამგვარად მისი გადმოღების საშუალება ყოველთვის არსებობს“ (გაჩეჩილაძე 1966:284). ანდაზების თარგმნის ნაკლებად გავრცელებული გზა არის სიტყვასიტყვითი თარგმანი. ამ ხერხის არაპოპულარობა განპირობებულია იმით, რომ „სიტყვასიტყვითი თარგმანი ხშირ შემთხვევაში ვერ გადმოსცემს ანდაზის ზუსტ სემანტიკურ, კონოტაციურ და დენოტაციურ არსს, იკარგება ექსპრესიულობა და გამომსახველობა“ (ლამბაშიძე 2016:12). კალკირების მეთოდს მაშინ იყენებენ, როცა ვერ ხერხდება სათარგმნ ენაში სემანტიკური ეკვივალენტის მოძებნა, თუმცა ასეთ დროს აუცილებელია თარგმანში დამატებითი კომენტარის დართვაც, რათა არ დაიკარგოს დედნის შინაარსი და სტილი.

აღსანიშნავია, რომ ანდაზების თარგმნასთან დაკავშირებით აქამდე არსებული კვლევები ძირითადად შეეხებოდა არამონათესავე ენების მონაცემებს და ნაკლები ყურადღება ექცეოდა ანდაზების ეკვივალენტობის დონეზე ერთი ენობრივი ოჯახის შიგნით არსებულ მიმართებებს. ამ მხრივ საყურადღებოა ლ. გულედანის დისერტაცია, რომელიც სვანური ანდაზების ფონოლოგიურ-ეტიმოლოგიურ ანალიზს ეხება (გულედანი 1998).

მართალია, რომ ქართველური ენების, ასევე ამ ენებზე მეტყველთა ნათესაობიდან გამომდინარე, ნაკლებად არის მოსალოდნელი არსებითი სახის სხვაობა, თუმცა, მიუხედავად ამისა, გვხვდება განსხვავებებიც, რომლებიც განპირობებულია კონკრეტული რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობით, იქაური სოციუმისთვის დამახასიათებელი წესებით, ორიგინალური ტოპონიმიკითა და ანთროპონიმიკით თუ სხვა ადგილობრივი თავისებურებებით. ყოველივე ზემოთქმული ასახულია ანდაზებში. აქედან გამომდინარე, ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზების ურთიერთმიმართების თვალსაზრისით შეგვიძლია გამოვყოთ სამი ძირითადი ჯგუფი¹:

I ჯგუფში გაერთიანდება ანდაზები, რომლებიც თითქმის ზედმინევნით თანხვდებიან ერთმანეთს ლექსიკურ-შინაარსობრივად.

ტაბულა 1

ქართული	მეგრული	ლაზური	სვანური
ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო (ქართ. ანდ. III:33).	ართი თხირიში გური ჩხორო ჯი-მალეფქ გირთესია (შეროზია, მემიში 1994:10).	არ მთხირი ნჩხოვრო ჯუმაქ უკუირთერენ (შეროზია, მემიში 1994:200).	ემშუ შდხიხი გუიგუ ესერ ჩხნრა მუხუბეს ოთყუბლახ (ექსპ. მასალები).
ტკბილი სიტყვით მთას ირემი მოიწველაო (https://idioms.tsu.ge/?p=14740).	გემუანი სიტყვით ირემი გეჭვალესია (იქვე:24).	ლოყა ნენათენ ხოჯითი ინჭვალენ (იქვე:229).	ხოჩა ნენჟი ლჩჟესერი ჩ'ოღმგელი (დავითიანი 1973:192) ² .

¹ ემპირიული მასალა ვრცლად იხ. წიგნის დანართ ნაწილში.

² შდრ. ვრცელი ვარიანტი: ხოჩა ნენჟი ლჩჟესერი ჩ'ოღმგელი, ხოლამშუ ესერ ფირუი მნმა (ექსპ. მასალები).

კაცი კაცის წამალიაო (https://idioms.tsu.ge/?p=16069).	კოჩი კოჩიში წამალი რენია (იქვე:73).	კოჩი კოჩიშენი ჭამი რენ (იქვე:225).	მწრემ ლერმეთ მარ' ესერ ლი (იქვე:79).
ახალი ცოცხი კარგად გვისო (https://idioms.tsu.ge/?p=1185).	ახალი ოქოსალი ჯგირო ქოსგნცია (იქვე:17).	აღანი ოქოსალექ კაი ქოსუფს (იქვე: 202).	მახე ლანგაჭ ესერ ხოჩნმდ ხაჭმინე/აჯელტე (ექსპ. მასალები).
ერთი დამპალი ვაშლი ცხრა ვაშლს დაალოპობსო (https://idioms.tsu.ge/?p=1303).	ართი ცორადილი უშქური ოში უშქურც ცორიდუნცია (იქვე:12).	არ ელახცაფერი უშქირიქ ვით უშქირი ოხცინაფს (იქვე:199).	–
აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდიო (https://idioms.tsu.ge/?p=1172).	ცხენიში მახინჯი დო ლიშიში მახინჯი – უირიხოლო მახინჯი რენია (იქვე:169).	–	–

II ჯგუფის ანდაზები ეკვივალენტური არიან შინაარსის მიხედვით.

შენიშვნა 1: მეორე ჯგუფში მოცემული ანდაზების თემატურ-შინაარსობრივი და იდეური მხარე საერთოა, თუმცა სხვაობა თავს იჩენს ლექსიკაში, ანდაზის გრამატიკულ სტრუქტურაში.

ტაბულა 2

ქართული	მეგრული	ლაზური	სვანური
წყევლა მანყე- ვარს უბრუნდე- ბაო (https://idioms.tsu.ge/?p=20350).	ჭყალაქ თქუა: მართალი შარა მოძირი, ვარა სი დგვართუ- ქია (შეროზია, მემიშიში 1994:180).	ბედუა, ნა, იქიფს, ემუს გვაკირენ (შეროზია, მემიში- ში 1994:204).	ჭათა ესერ მეჭთემ (ექსპ. მასალეზი).
ძალი ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირეო (https://idioms.tsu.ge/?p=12420).	ნგერს შინან- დესია დო კარს გერდუა (იქ- ვე:105).	ჯოლორი შინი დო ბიგა დიქაჩი (იქ- ვე:266).	–
იმერელს მჭა- დის სახელი და- ავინყდაო (https://idioms.tsu.ge/?p=6971).	აფხაზას ცხე- ნიშ სახელქ გაჭყორდუა (იქვე:15).	–	ესჭალ'ესერ ჭკიდიშ ყახე ლა- ხეშდგენა (ექსპ. მასალეზი).
ცალ-ცალკე მომჩივანი ბა- ტონს მართალი ეგონაო (https://idioms.tsu.ge/?p=15868).	დადიას მოჩი- ვარე არძა მარ- თალი უჩქუდუ მოპასუხეში უმეშო (იქ- ვე:34).	–	–

შენიშვნა 2: ცალკეულ ქართველურ ენაში (მაგ., ლაზურსა და სვანურში) არსებული „ჩავარდნა“, რომელიც ზემოთ წარმოდგენილ ცხრილებშია ასახული, ჩვენს ხელთ არსებული ემპირიული მასალის მიხედვითაა მოცემული; თუმცა ეს ცალსახად შეიძლება არ მიუთითებდეს იმაზე, რომ შესაბამისი ანდაზა ამ ენებში საერთოდ არ მოიპოვება.

III ჯგუფში მოცემულია მხოლოდ მეგრულში, ან ლაზურში, ან სვანურში დადასტურებული ანდაზები. მათი აზრობრივი ეკვივალენტის მოძებნა ქართულში გაჭირდება, რადგან ამ ჯგუფში შემავალი ანდაზების შექმნის მოტივაცია თითოეულ აქ დასახელებულ მხარეს (კუთხეს) უკავშირდება და ადგილობრივი თავისებურების გამომხატველია. მაგალითად,

მეგრული

(1) ახალაიამ ოსურეფი პატარაიამ ოსურეფს მიშარაგადანდესია „ახალაიას ცოლები პატარაიას ცოლებში ლაპარაკობდნენო“ (შეროზია, მემიშიში 1994:16).

შენიშვნა 3: ანდაზის მიხედვით, ახალაიას ცოლები ცდილობდნენ პატარაიას ცოლებთან დაახლოებას, რაც მიანიშნებს „პატარაიას“ გვარის უპირატესობას „ახალაიას“ გვართან შედარებით. შდრ. აგრეთვე: ახალაიამ ჯოდორი გოშუამ ჯოდორენს მიშალალანდუა „ახალაიას ძალი გოშუას ძალებთან ერთად ყეფდაო“ (შეროზია, მემიშიში 1994:16). **ახალაია, პატარაია, გოშუა** სამეგრელოში გავრცელებული გვარებია და, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური სტატუსით დასახელებული გვარები თანაბარია (ჭუმბურიძე და სხვები 2013), ზემოთ წარმოდგენილ ანდაზებში ერთი გვარის უპირატესობა ხაზგასმული მეორესთან შედარებით.

ლაზური

(2) თურჩა ქოდიგუი-ნა, თურქ ბორე-მა, მო ზოპონ „თურქული თუ გისწავლია, თურქი ვარო, ნუ იტყვი“ (შეროზია, მემიშიში 1994:219).

შენიშვნა 4: არსებული ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორებიდან გამომდინარე, ლაზურ ანდაზებში ხშირია თურქი ხალხის ხსენება, თურქული ლექსიკისა და თურქული კულტურისთვის დამახასიათებელი თემატიკის გააქტიურება.

სვანური

(3) ნორჷმ მგჷდემ ნაბდიშოჷ ლჷრტყ ლჷიბ „სისხლის საზღაურის გადამხდელმა ქერის სარტყელი მოირტყასო“ (დავითიანი 1973:174).

შენიშვნა 5: ნარმოდგენილ ანდაზაში ასახულია სვანეთში ისტორიულად არსებული სისხლის აღების ტრადიცია.

3. ანდაზების ტრანსფორმაცია და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია

ცნობილია, რომ პარემიათა უმრავლესობა თაობიდან თაობას თითქმის უცვლელად გადაეცემა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ცხოვრების პირობების შეცვლა, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარება და მასთან დაკავშირებით თვალსაზრისთა და შეხედულებათა გარდაქმნა იწვევს რიგ ანდაზათა დაძველებას და უარყოფას“ (ლეჟავა 1959:140). ერთი მხრივ, ანდაზის მონოლითურობა და საყოველთაოდ გავრცელებულობა, ხოლო მეორე მხრივ, მისი ხალხური ბუნება და ყოველდღიურ მეტყველებასთან სიახლოვე განაპირობებს ენაში ტრადიციულად არსებული პარემიული ერთეულების გვერდით მათი ტრანსფორმირებული ვარიანტების წარმოქმნასაც. ანდაზური ერთეულების ამგვარი გარდაქმნის უმთავრესი მიზეზი საზოგადოებაში არსებული ღირებულებათა სისტემის ცვლილებაა. ასეთი „გადასხვაფერებული“ ანდაზები, რომელთა ცვლილებას კონკრეტული მიზანი და მოტივაცია განაპირობებს, სპეციალურ ლიტერატურაში „ანტიანდაზის“ სახელითაა ცნობილი. აღნიშნული ტერმინი (გერმ. Antispruchwort) დაამკვიდრა ცნობილმა პარემიოლოგმა ვოლფგანგ მიედერმა 1982 წელს. მეცნიერის განმარტებით, „ანტი-ანდაზები ძველი ანდაზების პაროდიას წარმოადგენს და მათ სატირულ-იუმორისტული ბუნება გააჩნიათ“ (შავლაძე 2015:52)¹.

ტრადიციული ანდაზის ტრანსფორმირებულ ვარიანტს, რომელიც განსაკუთრებით თანამედროვე ინგლისურ ენაშია გავ-

¹ ორიგინალში: “Anti proverbs are parodied, twisted, or fractured proverbs that reveal humorous or satirical speech play with traditional proverbial wisdom” (Mieder 2004:28).

რცელებული, გარდა ანტიანდაზისა, სხვა ტერმინებითაც მოიხსენიებენ. მათ შორის აღსანიშნავია „გრეხილი სიბრძნე“ (Twisted wisdom), „სილიკონის ანდაზები“ (Silicon proverbs), „ველერიზმი“ (Wellerism)¹, „ინტერტექსტური ხუმრობები“ (Intertextual jokes), „პერვერბი“ (Perverb←Perverse proverb), „კუკიზმი“ (Кукизм – განზრახ სახეცვლილი ანდაზა), „სხვაგვარი ანდაზა“ (Инопословица – ანდაზური ოკაზიონალიზმი), „ანდაზის საპირისპირო“ (Противословица – ანდაზური თქმა), „ანდაზური ახალწარმოხაზვები“ (Пословичные новообразования) და სხვ.

როგორც ქართულ, ასევე ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციული ხალხური ანდაზების გარდაქმნილ ვარიანტებთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური სიჭრელე გამონვეულია თვით ცნების დენოტატიური მნიშვნელობის დაუზუსტებლობით. მკვლევართა ნაწილი შენიშნავს, რომ „ანტი“ პრეფიქსის უარყოფითი მნიშვნელობის მიუხედავად, ანტიანდაზა არ წარმოადგენს ანდაზის საპირისპირო ფენომენს. ანტიანდაზა მოდერნიზებული ანდაზაა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ძველ ანდაზებში ფიქსირებულ ტრადიციულ სიბრძნეს“ (შავლაძე 2015:52). ცხადია, რომ „ანტი-“ პრეფიქსის დართვით მიღებული ლექსიკური ერთეული ადეკვატურად ვერ გადმოსცემს იმ შინაარსს, რაც აღნიშნულ ცნებაში დევს, თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, თანამედროვე კვლევებში (Militz 1999; შურღაია 2008; Litovkina 2014; Pavlović 2014; Anand 2014; შავლაძე 2015; ქამა-

¹ სპეციალურ ლიტერატურაში ველერიზმი განმარტებულია როგორც „კლიშეთა, გამონათქვამთა თუ ანდაზათა იუმორისტულად უარყოფა, მიგვითითებს რა, რომ აღნიშნული ანდაზა ან გამონათქვამი ყველა სიტუაციაში არ ამართლებს. დიდი ხნის წინ დამკვიდრებულმა კლიშემ თუ სტერეოტიპმა შეიძლება გარკვეულ სიტუაციაში კრახი განიცადოს“ (ცინცაძე 2016:67).

დაძე 2016; ცინცაძე 2016 და სხვ.) ყველაზე გავრცელებულ ტერმინად მაინც „ანტიანდაზა“ რჩება; ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, უკეთესი იქნება, „ანტიანდაზის“ ნაცვლად შედარებით ნეიტრალური ტერმინის – „**კვაზიანდაზის**“ – გამოყენება¹. აღსანიშნავია ისიც, რომ **კვაზიანდაზა** (რუს. Квазипословица; ინგლ. Quasi-proverb) ანტიანდაზის სინონიმური მნიშვნელობით დასტურდება რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში (Береговская 2001; Бровкина 2006; Мед 2015), თუმცა ნაკლებადაა წარმოდგენილი მსჯელობა, რომელ ტერმინს უნდა მიენიჭოს უპირატესობა და რატომ. რუსული ენისთვის ამ უკანასკნელ წლებში შექმნილი ლექსიკონის (Мокиенко Вальтер, „Прикольный словарь: антипословицы и антиафоризмы“, 2006) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რუსული ტერმინოლოგია „ანტიანდაზას“ ანიჭებს უპირატესობას. ვფიქრობთ, რომ „ანტიანდაზის“ ნაცვლად „კვაზიანდაზის“ გამოყენებით დაიძლევა ის შინაარსობრივი უხერხულობა, რომელსაც „ანტიანდაზას“ პრეფიქსული ელემენტი („ანტი-“) სძენს და ახალ მონაცემს ანდაზის საწინააღმდეგო, მასთან დაპირისპირებულ, ნეგატიური შინაარსის ფრაზად წარმოაჩენს. „ანტისგან“ განსხვავებით, თავსართი „**კვაზი-**“ (ლათ. Quasi) ნიშნავს „თითქმის“, „ახლოს“ და ტერმინი „კვაზიანდაზა“ აღნიშნავს ტრადიციულ ანდაზასთან ახლოს მდგომ, თუმცა მასთან მოჩვენებითი მსგავსების მქონე ახალ ანდაზას. ამასთან, კვაზიანდაზა ტრადიციული ანდაზის საპირისპირო ყალიბს კი არ იყენებს, არამედ მიმართავს უკვე არსებულ ანდაზურ მოდელს და მიჰყვება მის ლოგიკურ სტრუქტურას. სიახლეს მასში ახალი ლექსიკური ერთეულების შემოტანა ქმნის. ამდენად, **კვაზიანდაზა არის ძველი ცნობილი**

¹ ტერმინოლოგიურ საკითხებზე პირველად ყურადღება მიგვაქცევინა პროფესორმა რამაზ ქურდაძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ანდაზის არა დაპირისპირებული ცალი, არამედ მისი ახალი ვარიანტი, რომელშიც ტრადიციული სიბრძნე გადამუშავებულია და მისადაგებულია თანამედროვე ყოფის აქტუალურ საკითხებსა თუ მოვლენებს. ტრადიციული ხალხური ანდაზისგან განსხვავებით, კვაზიანდაზა ნაკლებად შეიცავს რაიმე განზოგადებულ სიბრძნეს. იგი მორგებულია კონკრეტულ სიტუაციას. კვაზიანდაზა არსებობს არა ცალკე აღებული, არამედ იმ ტრადიციული ანდაზის გვერდით, რომლის ტრანსფორმაციასაც იგი წარმოადგენს და სწორედ ამ უკანასკნელთან კონტრასტი სძენს კომიკურ, ხშირად ირონიულ შეფერილობასაც კი. კვაზიანდაზა აზრობრივად გასაგები სწორედ ტრადიციული ანდაზის მიხედვით ხდება. აღსანიშნავია, რომ კვაზიანდაზები ქართულ სალიტერატურო ენაზე იქმნება; ქართულ სივრცეშიც იგი სალიტერატურო ენის კუთვნილებაა და სხვა ქართველურ ენებში არ დასტურდება.

როგორც აღინიშნა, კვაზიანდაზები სკრუპულოზურად გამოკვლეულია ინგლისურ ენაში¹. უნდა შევნიშნოთ, რომ ნელ-ნელა კვაზიანდაზები სხვა ენებშიც, მათ შორის ქართულშიც, იკიდებს ფეხს. ამ პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი ხელისშემწყობი ფაქტორი არის ინტერნეტსივრცე, რის გამოც სამართლიანადაა აღნიშნული, რომ კვაზიანდაზები გვხვდება ინტერნეტში, სარეკლამო ლოზუნგებში, წიგნებისა და სტატიების სათაურებში, ჟურნალ-გაზეთებში; არ არსებობს ცხოვრების სფერო, სადაც ისინი არ გამოიყენება (Litovkina 2014:1). კვაზიანდაზების ესოდენ გავრცელებულობას ხელს უწყობს მათი კომიკური ელფერი და სტრუქტურულ-სემანტიკური თუ ინტუიციური სიახლოვე ტრადიციულ ანდაზებთან. საინტერესოა ზოგიერთი მეც-

¹ ინგლისურში არსებული კვაზიანდაზების შესახებ უფრო ვრცლად იხ. ქამადაძე 2016:125-134; Pavlović 2016:129-136; Litovkina 2014:326-353 და სხვ.

ნიერის ვარაუდი: ის გამოთქმები, რომელთაც დღეს ჩვენ კვაზი-ანდაზებს ვუნოდებთ, შეიძლება მომავალი თაობებისთვის ჩვეულებრივი ანდაზები გახდნენ (Anand 2014:32).

წინამდებარე ნაშრომში წარმოჩენილია სხვადასხვა სოციალურ ქსელსა თუ ფორუმზე განთავსებული კვაზიანდაზების სტრუქტურა; ასევე, ის ხერხები და საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც იქმნება კონკრეტული კვაზიანდაზა.

ცნობილია ტრადიციული ანდაზების გარდაქმნის რამდენიმე ხერხი; მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა ტრადიციული ანდაზის მეორე ნაწილის, კერძოდ, დასასრულის შეცვლა. ამასთან, შესაძლებელია რომელიმე კონკრეტულ პარემიულ ერთეულს დროთა განმავლობაში რამდენიმე ვარიანტი გაუჩნდეს. ე.ი. ერთი ანდაზის განსხვავებული ტრანსფორმაციების შედეგად სხვადასხვა კვაზიანდაზა მივიღოთ; მაგალითად,

(1) **სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების** (<https://idioms.tsu.ge/?p=18220>).

შდრ.:

(1ა) *სწავლის ძირი მწარე არის კენწერომდე ვინ ასულა* (www.facebook.com)¹.

(1ბ) *სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში ვინ აგიშვებს* (www.answers.ambebi.ge).

(1გ) *სწავლის ძირი მწარე არის კენწეროში ტაქსისტდები* (www.answers.ambebi.ge).

¹ აქაც და ქვემოთაც, ყველა მაგალითში, სტილი დაცულია. ამასთან, ვინაიდან წარმოდგენილი ილუსტრაციების უმრავლესობის კონკრეტული ელექტრონული მისამართი (ე. წ. URL) საკმაოდ გრძელი და მოცულობითია, ისინი ნაშრომის ბოლოს, წყაროების ჩამონათვალშია მითითებული, ხოლო აქ მხოლოდ ვებგვერდი დასახელებული (ბოლო ნვდომა ბაზებზე: 11.03.2018).

(2) ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო (<https://idioms.tsu.ge/?p=10694>).

შდრ.:

(2ა) ხარი ხართან რომ დააბა, ორი ხარი იქნებაო (www.ane-gdotebi.mcvane.ge).

(2ბ) ხარი ხართან რომ დააბა, ან ფერს იცვლის ან მოკვდება (იქვე).

(3) დედის წინ მორბენალ კვიცს მგელი შეჭამსო (<https://idioms.tsu.ge/?p=11990>).

შდრ.:

(3ა) დედის წინ მორბენალი კვიცი დედაზე სწრაფი გამოვაო (www.facebook.com).

(4) ცდა ბედის მონახევრეაო (<https://idioms.tsu.ge/?p=8568>).

შდრ.:

(4ა) ცდა ბედის მესამედიო (www.geocanabis.com).

(5) ადრე ამდგომსა კურდღელსა ვერ დაენვა მწევარი (<https://idioms.tsu.ge/?p=1126>).

შდრ.:

(5ა) ადრე ამდგარსა კურდღელსა 5 წუთში ჩაეძინებაო (www.facebook.com).

(6) კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირაო (<https://idioms.tsu.ge/?p=8151>).

(6ა) კუმ ფეხი გამოყო, ჯარში წამიყვანეთო (<https://forum.ge/?showtopic=33629894>).

(6ბ) კუმ ფეხი გამოყო, პენალტი [მეც] დამარტყმევიანეთო (<https://www.ambebi.ge/article/22954-sakartvelo-globaluricvlilebebis-molodinshi/>)

კვაზიანდაზებში შესაძლებელია რიტორიკული შინაარსის ამოკითხვაც (იხ. (1ა), (1ბ) და მსგავსი სტრუქტურა-შინაარსის მაგალითები). ამასთან, ცნობილი და გავრცელებული პარემიული ერთეულების გვერდით ისეთი კვაზიანდაზებიც იქმნება,

როგორებიცაა (1გ) და მისთანანი, რაც კონკრეტულ ანდაზაში ასახული ხალხური სიბრძნის მიმართ სკეპტიციზმის გაჩენითაა განპირობებული. აქედან გამომდინარე, ზემოთ წარმოდგენილ კვაზიანდაზებში შესაძლებელია ამოვიკითხოთ, ერთი მხრივ, ტრადიციული ანდაზით გადმოცემული შეგონების გაუფასურება, მასში ეჭვის შეტანა, ხოლო, მეორე მხრივ, ის სატირულ-იუმორისტული თუ ირონიული ელფერი, რომელიც ანდაზის გარდაქმნილ ვარიანტებს დაჰკრავს.

კვაზიანდაზაში საჭირო ეფექტი ერთგვარი მათემატიკური მანიპულაციის გზითაა შესაძლებელი: ნახევარი → მესამედი (იხ. 4ა), ადრე → 5 წუთში (იხ. 5ა), რაც შეიძლება კვაზიანდაზების შექმნის ერთ-ერთ საშუალებადაც განიხილებოდეს.

კვაზიანდაზა იქმნება სიტყვათა თამაშის პრინციპზე დაყრდნობითაც:

(7) **მადლი ჰქენი – ქვას დადვი, გაიარე – წინ დაგხვდება** (<https://idioms.tsu.ge/?p=20029>).

შდრ.:

(7ა) *ქვა ქვაზე დადე ორი გახდებაო* (www.facebook.com).

როგორც ზემოთ აღინიშნა, კვაზიანდაზის შექმნა არ ემყარება შემთხვევითობას, არამედ განპირობებულია რაიმე კონკრეტული ფაქტით, მოვლენით, თემით და ა.შ. ხალხის მიერ გარდაქმნილი ანდაზები ეხმიანება თანამედროვე ცხოვრების წესს, საზოგადოებაში არსებულ ამა თუ იმ აქტუალურ საკითხს. თანამედროვე ყოფაში ერთ-ერთი ასეთი აქტუალურია პოლიტიკის თემა.

პოლიტიკური თუ სხვა თემატიკის კვაზიანდაზებზე საუბრისას დგება სინქრონულ მოვლენებზე, სიტუაციურობაზე დაფუძნებული და კონკრეტულ კონტექსტს მორგებული კვაზიანდაზების სიცოცხლისუნარიანობის საკითხიც. პოლიტიკური თემატიკის შემცველი კვაზიანდაზები რომელიმე პერიოდს თუ ამ პერიოდში მოღვაწე პოლიტიკურ ფიგურას უკავშირდება;

ამიტომ, ნაკლებადაა მოსალოდნელი ენაში მათი ხანგრძლივად შემონახვა. კონკრეტულ დროს, ადგილსა თუ პირს მორგებული კვაზიანდაზები საზოგადო ჭეშმარიტებას ვერ გადმოსცემენ; შესაბამისად, მათი განზოგადება შეუძლებელია, რის გამოც ამგვარ გამონათქვამთა სიცოცხლისუნარიანობა შეზღუდულია.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, კვაზიანდაზებს პირობითად შეიძლება „სიტუაციური კვაზიანდაზებიც“ ეწოდოს, რადგან მათი შექმნის პრინციპი კონკრეტულ სიტუაციას ეფუძნება. განსაკუთრებით ხშირია კონკრეტული პოლიტიკოსების სახელების გამოყენება. კვაზიანდაზის სტრუქტურა, როგორც აღვნიშნეთ, ანდაზის მსგავსია და არსებითად უცვლელი რჩება, რათა არ დაირღვეს ფრაზის რითმული და რიტმული მთლიანობა. გარდა ამისა, არსებული ანდაზური მოდელის ძირეული გარდაქმნა-გადასხვაფერება გაართულებს იმის ამოცნობას, თუ რომელი ტრადიციული ანდაზიდან მომდინარეობს ესა თუ ის კვაზიანდაზა და რისი გამოხატვა სურს მთქმელს. ამან კი შეიძლება ხელი შეუშალოს ძირითად მიზანს – კომიკური, ირონიული ელფერის შექმნას, რისთვისაც წარმოიშობა საზოგადოდ კვაზიანდაზა. ნათელია, რომ ამ ტიპის კვაზიანდაზების შექმნა, აქამდე დასახელებულ მიზნებთან ერთად, კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის დისკრედიტაციასაც ემსახურება:

(8) **დედის წინ მორბენალ კვიცს ან მგელი შეჭამს ან მგლის ფერიო** (ქართ. ანდ. III:29).

შდრ.:

(8ა) *ავლაბრის წინ მოხტუნავე მარგველაშვილს ან ბიძინა შეჭამს, ან ბიძინასფერი ირაკლიო¹.*

(9) **სხვისი ჭირი – ლობეს ჩხირიო** (<https://idioms.tsu.ge/?p=17606>).

¹ მაგალითები (8ა) – (13ა) იხ. შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <https://www.facebook.com/hey.on.ge/posts/1782907585185448/> (ბოლო ნვდომა: 11.03.2018).

შდრ.:

(9ა) ვანოს ქირი – მიშას ჩხირიო...

(10) მხედარი ცხენს ვერ მოერია და უნაგირს დაუნყო მტვრევანო (<https://idioms.tsu.ge/?p=8281>).

შდრ.:

(10ა) სააკაშვილს ვერ მოერივნენ და ნიკლაური დაამტვრიესო.

(11) მაძლარს მშიერიც მაძლარი ეგონაო (<https://idioms.tsu.ge/?p=11419>).

შდრ.:

(11ა) ხადურს მშიერიც ხადური ჰგონიაო.

(12) ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს გაყრა ეგონაო (<https://idioms.tsu.ge/?p=15883>)

შდრ.:

(12ა) პარლამენტარების ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო.

(13) თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვაო (<https://idioms.tsu.ge/?p=12041>).

შდრ.:

(13ა) შენ გორის მერობა თქვი და, ოქრუაშვილი პარიზიდანაც მოვაო.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, გარდა პოლიტიკური თემატიკისა, კვაზიანდაზების შესაქმნელად აქტუალურია ინფორმაციული ტექნოლოგიები, კომპიუტერთან დაკავშირებული თემატიკა. აღნიშნული დარგის მიხედვით შექმნილი კვაზიანდაზები ზეპირმეტყველებაში ნაკლებად გავრცელებულია, თუმცა მრავლად არის ინტერნეტსივრცეში. მსგავსად პოლიტიკური თემატიკის კვაზიანდაზებისა, აქაც, ტრადიციული ანდაზების ტრანსფორმირების პრინციპი არის მასში შემავალი სიტყვების ჩანაცვლება, ხოლო სტრუქტურა უცვლელი რჩება:

(14) სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო

(<https://idioms.tsu.ge/?p=8394>).

შდრ.:

(14ა) საიტის გატეხვას თავის გატეხვა ჯობიაო¹.

(15) ქურდს ქუდი ეწვისო (<https://idioms.tsu.ge/?p=12031>).

შდრ.:

(15ა) ჰაკერს² კლავიატურა ეწვისო.

(16) აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი – ორივე ქურდიაო

(<https://idioms.tsu.ge/?p=1172>).

შდრ.:

(16ა) ბანკის ჰაკერი და 4წის ჰაკერი ორივე ჰაკერიაო.

(17) თავგმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო

(<https://idioms.tsu.ge/?p=1414>).

შდრ.:

(17ა) ჰაკერმა თხარა თხარაო, ინტერპოლი³ გამოთხარაო.

(18) მელამ თავისი კუდი მონმედ მოიყვანაო

(<https://idioms.tsu.ge/?p=15484>).

შდრ.:

(18ა) ჰაკერმა თავისი კლავიატურა მონმედ მოიყვანაო.

(19) კარგი ცხენი მათრახს არ დაიკრავსო

(<https://idioms.tsu.ge/?p=8087>).

¹ მაგალითები (14ა) – (21ა) იხ. შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე: <http://file.pirveli.ge/index.php?do=cat&category=humor/>; http://goodweb.do.am/news/hak'reuli_andazebi/2011-02-13-1199 (ბოლო წვდომა: 11.03.2018).

² ჰაკერი – ის, ვინც საჭირო მონაცემების მოპოვების მიზნით საკუთარი კომპიუტერის მეშვეობით არალეგალურად აღწევს საბანკო, საფინანსო, საწარმოო ან სხვა დაწესებულებების საინფორმაციო ქსელებში (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17355>)

³ ინტერპოლი – 1923 წელს შექმნილი კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის შემოკლებული დასახელება (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4489>)

შდრ.:

(19ა) კარგი კომპი ჰაკერს არ დაირტყამსო.

(20) ერთი ალილუია მღვდელსაც შესცდებო

(<https://idioms.tsu.ge/?p=1297>).

შდრ.:

(20ა) ერთი ტეგი ჰაკერსაც შეეშლებო.

(21) შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო

(<https://idioms.tsu.ge/?p=8546>).

შდრ.:

(21ა) პაროლი დაასკანირე და შინ მშვიდობით მიდიო!

ანდაზების მსგავსად, აფორიზმებსაც გარდაქმნიან, რასაც შემდეგი კვაზიაფორიზმები მონმოზს:

(22) რასაცა გასცემ შენია, რაც არა – დაკარგულია.

შდრ.:

(22ა) რასაცა გასცემ შენია, რაც არა, მაინც შენია

(www.mymaika.ge).

(22ბ) რასაცა გასცემ შენია, რაც არა, ხომ შენია და შენია

(www.facebook.com).

(23) გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა, ტკბილად მოუბარი.

შდრ.:

(23ა) გველსა ხვრელით ამოიყვანს ჯოხი მოკაუჭებული

(www.facebook.com).

(23ბ) გველსა ხვრელით ამოიყვანს ჯოხი შეჩხიკინებული

(www.saertogazeti.wordpress.com).

(23გ) გველსა ხვრელით ამოიყვან ჯოხისა შეჩხიკინებით?

(www.answers.ambebi.ge)¹.

¹ როგორც კვაზიანდაზების შემთხვევაში, აქაც, აფორისტული სიბრძნე ექვეყვეშა დაყენებული. ამისთვის კონკრეტულ კვაზიაფორიზმში რიტორიკული შეკითხვაა გამოყენებული.

ამასთან, კვაზიაფორიზმების გვერდით დასტურდება კვაზი-იდომებიც. ამის მაგალითად გამოდგება ამონარიდი ერთ-ერთი კომპანიის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებული რეკლამის ტექსტიდან: „გამოიძახე სიგრილე ონლაინ! კურიერი თქვენს პროდუქციას **თბილ ნიავს არ მიაკარებს**. შეუკვეთე სასურველი პროდუქტები და ისარგებლე უფასო მიტანით“. ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე საფეხბურთო მატჩის კომენტატორის მხრიდან ერთ-ერთი გუნდის მეკარის, კერძოდ, ედერსონ მორაესის (Ederson Moraes) მისამართით ნათქვამი სიტყვები მაშინ, როდესაც მას გოლი გაუტანეს: „**ხელში ჩალაგამოვლებული ედერსონი**“.

ამდენად, ტრადიციული ხალხური ანდაზების გვერდით ჩნდება სატირულ-იუმორისტული ხასიათის ვარიანტები, რომელთაც შეგვიძლია კვაზიანდაზები ვუწოდოთ. „ანტიანდაზასთან“ შედარებით, აღნიშნული ტერმინის უპირატესობა ისაა, რომ არის არა ნეგატიური, ხალხური ანდაზის საპირისპირო მნიშვნელობის, არამედ მასთან მიახლოებული, თუმცა შეცვლილი შინაარსის მქონე.

ქართულში დასტურდება სხვადასხვა თემაზე შექმნილი კვაზიანდაზები. განსაკუთრებით აქტუალურია პოლიტიკური თემატიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები და სხვ. კვაზიანდაზების ტრანსფორმაციის ხერხებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია ტრადიციული ანდაზის ტექსტის მეორე ნაწილის ცვლილება. დასტურდება აგრეთვე სიტყვათა თამაში. კონკრეტულ პარემიულ ერთეულში შემავალი ლექსემების ჩანაცვლება არ არღვევს ხალხური ანდაზის სტრუქტურასა და ლოგიკურ მთლიანობას. კვაზიანდაზები დღითი დღე მეტ აქტუალურობას იძენენ. მათ გავრცელებას ხელს უწყობს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, ინტერნეტი და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვაზიანდაზების საკითხი ქართულის გარდა სხვა ქართველურ ენებში არ დგას. მეგრულში, ლაზურსა და სვანურში ტრადიციული ანდაზების ამგვარად გარდაქმნილი ვარიანტები არც არის მოსალოდნელი, რადგან კვაზიანდაზების შექმნისა და გავრცელების მთავარი წყარო ინტერნეტსივრცე და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებია, რაც სალიტერატურო ქართული ენის არეალს მოიცავს.

4. ანდაზა – ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის ობიექტი

პარემიული ერთეულები კულტურული ინფორმაციის შემცველია. ისინი გამოხატავენ მათი შემქმნელი ენობრივი კოლექტივის ფსიქოლოგიასა და სოციალურ ჩვევებს. ანდაზებში ასახულია ყველა ერისა თუ ეთნოსისთვის დამახასიათებელი საერთო ზნეობრივი თვისებები; მაგალითად, სიმამაცე, პატიოსნება, შურიანობა, სიზარმაცე და სხვ. ამასთანავე, ყველა ერს აქვს მისთვის დომინანტური ნიშანი // ნიშნები; ქართველებისთვის ერთ-ერთი ასეთია სტუმართმოყვარეობა. ქართულ, მეგრულ, ლაზურ და სვანურ ანდაზებში, ერთი მხრივ, მოცემულია საერთოქართველური და, მაშასადამე, ზოგადად, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხისთვის დამახასიათებელი თემატიკა, ხოლო მეორე მხრივ, წარმოჩენილია საკუთრივ ცალკეული ენობრივი კოლექტივისთვის ნიშანდობლივი ჩვევები და ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ნიუანსი.

ლინგვოკულტუროლოგიისთვის განსაკუთრებით საინტერესოა ანდაზები, ფრაზეოლოგიზმები და სხვა მხატვრული ენობრივი ერთეულები, ვინაიდან ისინი „შეიცავენ ინფორმაციას ხალხის წარმოდგენებზე მითების, ადათ-ჩვევების, რიტუალების, ქცევის, ზნეობის, ყოფის, საერთოდ კულტურისა და ისტორიის შესახებ“ (ომიაძე 2009:116). ამ თვალსაზრისით აქტუალურია აგრეთვე იმაზე დაკვირვება, თუ რა ძირითადი ეროვნულ-კულტურული კონცეპტებია მოცემული ანდაზებში და, ზოგადად, რა მიზანს ემსახურება პარემიულ ერთეულებში მათი წარმოდგენა.

ქართულ დისკურსში ლინგვოკულტურული კონცეპტების შესწავლის აქტუალობის საკითხი დასმულია ს. ომიადის ნაშ-

რომში „ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა“ (2009). ავტორი აღწერს და აანალიზებს არაერთ კონცეპტს. „ლინგვოკულტუროლოგია ეროვნული ხასიათის შემსწავლელი მეთოდოლოგიაა, რომლის გარეშეც მრავალი ენობრივი ფაქტის სრულყოფილი აღწერა შეუძლებელია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონათესავე ენების დისკურსთა ანალიზი, სამყაროს კონცეპტუალიზაციისა და კატეგორიზაციის ენობრივ მექანიზმთა გამოვლენა, რათა კვლევის შედეგების შედარებით დადგინდეს ის მსგავსება-განსხვავებანი, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა განისაზღვროს საერთო-ქართველური ლინგვოკულტურული სივრცე და აღიწეროს საერთო-ქართველური კონცეპტოსფერო, როგორც ქართული იდენტობის ქვაკუთხედი“ (ომიაძე 2015:115); შესაბამისად, აქტუალურია ქართველური ლინგვოკულტურული სივრცის დახასიათებაში ქართულთან ერთად სხვა ქართველური ემპირიული მასალის ჩართვაც¹. ნაშრომის ამ ნაწილში აღწერილია ქართველურ ენათა ანდაზებში დადასტურებული ერთ-ერთი წამყვანი კონცეპტი „ბედი“², განალიზებულია მისი სემანტიკური და პრაგმატიკული მახასიათებლები.

ლინგვოკულტუროლოგია მეცნიერების შედარებით ახალი დარგია. „მას ახალი ცნებები და კატეგორიები დასჭირდა, რომლებშიც ადეკვატურად აისახა როგორც ლინგვისტური, ასევე, კულტუროლოგიური საწყისი“ (ბერიაშვილი 2016:10). ლინგვოკულტუროლოგიის ერთ-ერთ საკვანძო ცნებას **კონცეპტი** წარმოადგენს. იგი არის აზროვნების გარკვეული ფორმა, მენტა-

¹ ოთხივე ქართველური ენა და მათზე მეტყველი ენობრივი კოლექტივი ქმნის ერთ – საერთო და მრავალფეროვან ქართულ კულტურას და თანაბრად მონაწილეობს მის ფორმირებასა თუ რეფორმირებაში.

² ქართულ დისკურსში ეროვნულ-კულტურული კონცეპტი „ბედის“ შესახებ იხ. ომიძე 2008, ომიძე 2016.

ლური კატეგორია, რომელიც სამყაროში მიმდინარე მოვლენებს წარმოგვიდგენს ზოგადი და სპეციფიკური ნიშნების მიხედვით. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, „ამა თუ იმ ენის მატარებელთა მსოფლალქმის სპეციფიკას ასახავს კონცეპტთა, როგორც სემანტიკურ ერთეულთა, ერთობლიობა“ (ომიაძე 2009:70). ამიტომ, კონცეპტის, როგორც აზრის ვერბალური გამოვლინების, გაგება შეუძლებელია მოცემულ ენაზე მოლაპარაკეთა კოლექტიური ცნობიერების ანალიზის გარეშე.

ეროვნულ-კულტურული კონცეპტი განეკუთვნება საზოგადოების სულიერი ერთობის სფეროს, წარმოადგენს ენისა და აზრის ერთიანობას, რომელიც „ასახავს იდეალური ან რეალური სამყაროს საგანს (მოვლენას) და ინახავს ენის ნაციონალურ მეხსიერებაში ვერბალური აღმნიშვნელის სახით“ (ბარბაქაძე 2012:1). ლინგვისტიკასა და ფილოსოფიაში კონცეპტი მოიაზრება, როგორც „იდეალური“ ობიექტი, რომელიც წარმოაჩენს ადამიანის კულტურულ-ღირებულებით წარმოდგენებს სამყაროზე. ვინაიდან კონცეპტი ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობის პროცესში იქმნება, ამიტომაც აისახება მასში ერის გამოცდილება და დაგროვილი ცოდნა. კონცეპტი სამყაროს ენობრივი სურათის ძირითადი ერთეულია, ერთგვარი „გასაღები სიტყვა“, რომლის მეშვეობითაც ხდება კულტურის, საზოგადოების ცხოვრების წესის, ხალხის აზროვნების გადმოცემა (ყურაშვილი 2007:1). საბოლოოდ, კონცეპტი განისაზღვრება, როგორც ადამიანის ცნობიერებაში კონცენტრირებული კულტურა, რომელიც წარმოადგენს სამყაროს განუყოფელ ნაწილს. ესაა რთული, მრავალგანზომილებიანი მენტალური ერთეული, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ასპექტს და გამოირჩევა ნაციონალური სპეციფიკით. შესაბამისად, „[კონცეპტის] შესწავლის აუცილებლობის აღიარება ლინგვისტური ანთროპოცენტრიზმის ფორ-

მირების გზაზე გადადგმული კანონზომიერი ნაბიჯია“ (თავი-
დაშვილი 2014:19).

კონცეპტის დეფინიციურ ნიშანთა შორის (სემიოტიკური სიმჭიდროვე, აბსტრაქცია, განცდითობა, ეტიმოლოგიური მეხ-სიერება და სხვ.) მონათესავე ლინგვოკულტურათა კონცეპტების შესადარებლად ყველაზე მოსახერხებლად სემიოტიკური სიმჭიდროვე ითვლება (ომიაძე 2015:115 და შმდგ.). მაღალი ხარისხის სემიოტიკური სიმჭიდროვის მქონე კონცეპტი „გამოხატულების პლანში წარმოდგენილია მთელი რიგი ენობრივი სინონიმებით, თემატური ველებით, ანდაზებით, ფოლკლორული და ლიტერატურული სიუჟეტებით“ (ომიაძე 2009:69).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით საინტერესოა იმაზე დაკვირვება, თუ როგორაა წარმოდგენილი მაღალი სემიოტიკური სიმჭიდროვის მქონე კონცეპტი „ბედი“ ქართველურ ენათა ანდაზებში. ამისთვის აუცილებელია დადგინდეს ის მნიშვნელობები და ასოციაციები, რომლებიც ხსენებულ ლექსიკურ ერთეულს უკავშირდება საერთო კულტურის წარმომადგენელთა ცნობიერებაში. საჭიროა აგრეთვე გამოვლინდეს მისი დისტრიბუცია და სემანტიკური ნიუანსები სხვადასხვა კონტექსტში. ლექსემა „ბედი“ სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ შემდეგნაირად განიმარტება:

ბედი – ნუ ვინ ჰგონებთ ბედისათვის, ვითარმედ არსებითი რამე იყოს, რომელს(ა) უმეცარნი იტყვიან და მას მიაჩემებენ ნიჭსა ღმრთისასა. ბ ე დ ი სახელი არს მეფეთა სიმაღლისა და გლახაკთა სიმკოდავისა. და ეგევითარნი კაცი ვინმე ბოროტის ღირსი ღმერთმან შეინყალოს და შეუცვალოს ბოროტი კეთილად, ესევითართა სახელად ბ ე დ ი ეწოდების (სულხან-საბა ორბელიანი 1991:100).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოცემულია ამგვარი ახსნა:

ბედ-ი (ბედისა) – 1) ძველი ხალხური ცრურწმენით ზებუნებრივი რალაც ძალა, რომელიც ვითომც წინასწარ განსაზღვრავდა ადამიანის ცხოვრებას, განგება, სვე, წერა. 2) რაც ადამიანმა უნდა გამოიაროს, რაც მას უნდა დაემართოს, გადახდეს ვითომც განგების წინასწარი გადაწყვეტით, – წინასწარ განწესებული ხვედრი, იღბალი. 3) კარგი ხვედრი, კარგი იღბალი, ბედნიერება. 4) გადატ. საერთოდ, მდგომარეობა, ყოფა, პირობები. 5) მომავალი, ხვედრი. 6) საცოლვე ან საქმრო, – საბედო. 7) რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი (ქეგლ-ი).

ფილოსოფიურ ლექსიკონში „ბედი“ შემდეგნაირადაა ახსნილი:

ბედი – ცნება, გამოხატავს რელიგიურ-იდეალისტურ წარმოდგენას ზებუნებრივ ძალაზე, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს ყველა მოვლენას ადამიანთა ცხოვრებაში (ფილოსოფიური ლექსიკონი 1987:65).

ლექსიკონების მიხედვით ნათელია, რომ ქართულ დისკურსში „ბედის“ კონცეპტს ხშირად უკავშირდება არაამქვეყნიური, გარკვეულწილად საკრალური შინაარსი, რაც განპირობებულია იმ რწმენა-წარმოდგენებით, რომლებიც ქართველის ცნობიერებაში არსებობს (ვგულისხმობთ განგების ყოვლისშემძლეობის იდეას). აღსანიშნავია, რომ ამგვარი დამოკიდებულება ბედის მიმართ მსოფლიოს ხალხებში დასაბამს ჯერ კიდევ პირველყოფილი საზოგადოებიდან იღებს.

ქართულ „ბედს“ მეგრულში, ლაზურსა და სვანურში იდენტური ძირის მქონე ლექსემები შეესაბამება, თუმცა ცალკეულ ენებში აგრეთვე ვხვდებით მნიშვნელობით ახლოს მდგომ სხვა სიტყვებსაც; მაგალითად, მეგრულში დასტურდება **სვანიჭარა**, რომელიც „სიტყვასიტყვით ნიშნავს: „შუბლის წერას“ ანუ „შუბ-

ლზე დანერილს“¹ (შდრ. ბედის წერა), ე.ი. განგებას, ბედს (შდრ. ყიფ., გვ. 412)“ (ხალხ. სიტყვ. II 1991:629). ლაზურში ვხვდებით თურქულიდან ნასესხებ „ისტერაჭი“ და „კისმეტი“ // „კისმეთი“² ლექსიკურ ერთეულებს³, ხოლო სვანურში, სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება **ნანერ // ნანერ** „ბედისწერა“/„წერა“ ლექსიკური ერთეული. მართალია სვანურში იღბალთან შედარებით ლექსემა ბედი სინქრონულ დონეზე ზეპირ მეტყველებაში ნაკლებად პროდუქტიულია (გვაქვს მისი უარყოფითი ფორმა უბადუ „უბედური“. შდრ. აგრეთვე გამოთქმა ხოლა ბედიშ ლემარ „ცუდი ბედისა ყოფილა“), თუმცა იდიომატურ გამოთქმებში, ნყველის ფორმულებში ეს სიტყვა აქტიურია:

- მუბირ ისგუ ბედი! (ბქ.) = ვაი, შენი ბრალი! (ზედმინ. „ბნელი შენი ბედი!“ – ერთგვარი მუქარაა) (ექსპ. მასალები).
- მუბირ მიშგუ ბედი! = ვაი, ჩემი ბრალი! (შეცხადება ან თანაგრძობის გამოხატვა) (ექსპ. მასალები).

¹ ადამიანის შუბლისა და ბედის // ბედისწერის მჭიდრო კავშირები ჩანს ცალკეულ იდიომატურ გამოთქმებშიც; მაგალითად, მეგრული „ხვამურიცხამი“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „შუბლვარსკვლავიანს“, გადატ. „ბედნიერს“, შდრ. ცაგ., I, 26; ყიფ., 284“ (ხალხ. სიტყვ. II 1991:628).

² აღსანიშნავია, რომ ბედის სინონიმებს შორის ქართულ დისკურსშიც გვხვდება „ყისმათი“ (← არაბ. კისმათი).

³ ა) **ისტერაჭი** (თურქ.) იღბალი: „ღნოსი დო ისთერაჭიქ მელეშენ ქომუკინკედეს“ – ჭკუამ და იღბალმა გაღმიდან გადმოიხედეს (თანდილა 2013:318); ბ) **კისმეტი // კისმეთი** (თურქ. Kismet) წილი, ბედი, იღბალი: ფადიშია ღურუტუ-შ-კულე ბიჭეფე მუშის ჰეშო უნუ-ქი: თქვანი კისმეთი-ა მცხულს მეჩანს-მა“. ხელმწიფე რომ კვდებოდა, მის შვილებს ასე უთხრა: თქვენი ბედი მსხალს აბია (ასხია) (იქვე:375).

- მენჩხრიწ ბედიშ სი! – შანთის წერა(ვ) („ბედისავ“) შენ!
// მენჩხრიწ ბედიშოლ ხი! – შანთის წერამც ხარ! (ექსპ. მასალები).
- ცხუმი ბედიშ ალ მარე! „ტყვიის წერა (=ტყვიის წერამც არის) ეს კაცი!“ (ექსპ. მასალები).
- თხეროლე ბედიშოლ ოლსყელი! – მგლების წერამც („ბედისამც“) გამხდარა! (ექსპ. მასალები).
ლექსემა **ბედი** სვანურში აქტიურია ასევე სინტაგმებში:
- ამიშ ბედჟი დარ ანფაშ – ამისთვის (ამის გულისთვის, „ამის ბედზე“) არავინ შენუხდა (ექსპ. მასალები).
- ამრ ბედჟი ბაჯს მამ ხუგემ – ამისთვის // ამის გულისთვის ნაბიჯს არ გადავდგამ“ (ექსპ. მასალები).

მსგავსად ქართულისა, დანარჩენ ქართველურ ენებშიც „ბე-დი“ ქმნის სინონიმთა ფართო წრეს და ამასთან, მონაწილეობს იდიომატურ გამოთქმებში, ანდაზებსა და ფრაზეოლოგიზმებში, რომლებიც, როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, ყველაზე მეტად არის მარკირებული ეროვნულ-სპეციფიკური ნიშნებით, კერძოდ, წარმოადგენს „ხალხის მენტალიტეტისა და კულტურის შესახებ ცოდნის მდიდარ წყაროს“ (ომიძე 2009:116).

კონცეპტ „ბედის“ მონაწილეობით შექმნილი რთული სიტყვები და ფრაზეოლოგიზმები ქართველურ ენებში:

ქართული

- (1) **შავი ბედის მქონე** – უბედური, ბედუკულმართი, უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული (<https://idioms.tsu.ge/?p=5493>).
- (2) **ბედი შემოსწყრა** – იღბალი არაფერში აქვს (<https://idioms.tsu.ge/?p=3733>).
- (3) **ბრმის ბედი აქვს** – ბედნიერია, ყველაფერში ხელი მომართული აქვს (<https://idioms.tsu.ge/?p=2378>).
- (4) **ბედის ტრიალი** – უიღბლობა (<https://idioms.tsu.ge/?p=2224>).

(5) **ბედი ულიმის** – საქმეში იღბლიანია

(<https://idioms.tsu.ge/?p=2232>).

(6) **ბედის გაჭრა** – ბედნიერება, მოგება, გამარჯვება

(<https://idioms.tsu.ge/?p=2211>).

მეგრული

(7) **ალალ ბედ(ი)შა** – ალალ ბედზე. **უკმელას ალალ ბედშა მიშუ** „უკუნეთში ალალ ბედზე მიდიოდა“ (ხალხ. სიბრძ. II:16).

(8) **ართ(ი) ბედიშა რე** – ერთ ბედზე არის = საეჭვოა. **ართ ბედიშა რე იში მულა** „საეჭვოა მისი მოსვლა“ (იქვე:17).

(9) **ბედი აკოსქვილი** – ბედშეკრული, უბედური. **ბედ მაფე აკოსქვილი, მუთუნ საქმეშა ხეჟ ვემმათხინე** „ბედი არა მაქვს, ვერაფერ საქმეს ხელი ვერ მოვკიდე“ (იქვე:21).

(10) **ბედი აკოჭვილი** – ბედდამწვარი = უბედური, უიღბლო. **ბედი აკოჭვილ აფე თე ცოდამს სქუას, მითინჟ ვეყუნე** „ბედდამწვარია, „ბედი დამწვარი აქვს“ ეს ცოდვის შვილი, არავინ წაიყვანა, „ვერ გათხოვდა“. **ჯგირ ცირა უფარეთი – ბედი აკოჭვირი რე** „კარგი გოგო უფულოდ – ბედდამწვარია“ (იქვე:21).

(11) **ბედის გინასქიდე** – ბედზე გადარჩა, ხიფათს ასცდა. **ბედის გონოსქილადე მიტუმაშ ბალანა, ეთი მართუშე ეკულირ კოს ვა-უძირე მითინ** „ბედზე გადარჩენილა მიტუმას ბავშვი, იმ მორევიდან ამოსული კაცს არ უნახავს არავინ“ (იქვე:21).

(12) **ბედ(ი)ქ დაკილგ** – ბედი გადაეკეტა, ბედი არ სწყალობს.

ბედქ დაკილგ თე ძლაბის, – მაზაკვალიმ ძირაფილ ოკო რდას „ბედი არ სწყალობს ამ გოგოს, – გათვალული უნდა იყოს“ (იქვე:21).

(13) **ბედიქ კარს ქემადირთე** – ბედი კარზე მოადგა, ბედს ეწია.

ბედიქ კარს ქემგოდირთე დო ვარიას იჩიებუქო, სი ხვამელსქუა! „ბედი კარს მოგადგა და უარს ამბობ, შე დალოცვილის შვილო!“ (იქვე:22).

ლაზური

- (14) **ბედიგოჭკერი** – უბედური (ბედდამნვარი) (კალანდია 2005:14).
- (15) **ბედიხამანა¹** – უიღბლო (ბედშეკრული) (იქვე:14).
- (16) **ბედი დიქთირუფს // დიქთურამს** – ბედს იცვლის, მეორე ცოლი მოჰყავს (ხალხ. სიბრძ. II:136).
- (17) **ბედი მუში გორუფს** – მის ბედს ეძებს (იქვე:137).
- (18) **ბედი მუში ჩუმერს // ჩვამს** – მის ბედს უცდის; მოწიფულ ასაკშია და არ // ვერ თხოვდება (იქვე:137).
- (19) **ბედი მუჭიშუნ // მუნჭუშუნ** – ბედი [მო]უსწრებს, ხელი ეწყობა, იღბალი აქვს, უმართლებს (იქვე:137).
- (20) **ბედი ნაჭარენ** – ბედი [მი]ენწერება, იღბლიანია, ბედი აქვს (იქვე:137).
- (21) **ელე-მელე კისმეტიში რენ (ონ)** – ელა-მელა ბედისაა, უიღბლოა, ბედი არ სწყალობს (იქვე:198).
- (22) **ვამბედითენ ალოდენ** – ვაი-ბედით ემართება, უცაბედად ემართება (იქვე:206).
- (23) **ვამბედიში რენ (ონ)** – ვაი-ბედისაა, უბედურია, ბეჩავია, უიღბლოა (იქვე:206).

სვანური

- (24) **ჟელი ბედ** – ძაღლის ბედი (ექსპ. მასალები).
- (25) **ლემის ბედიშ** – ბედდამნვარი (ექსპ. მასალები).
- (26) **უბზდ ანჯად** – გაუბედურება, უბედური გამოდგა (ექსპ. მასალები).
- (27) **ბედ ხაზარენა // ბედ ხაშხუნენა** – ბედი შენახული ჰქონია (ექსპ. მასალები).
- (28) **ბედ ლეხოდან** – ბედი მიეცა (ექსპ. მასალები).

¹ ეს ლექსიკური ერთეული წარმოდგენილია ლაზური ზღაპრების კრებულს დართულ ლექსიკონში **ბედიხამანა** ფორმით (იხ. ლაზური პარამითეფე 1982:39).

კონცეპტი „ბედი“ დიდი სიხშირითაა წარმოდგენილი ქართველურ ენათა ანდაზებში. ამგვარი პარემიული ერთეულებით უმეტეს შემთხვევაში ბედის ყოვლისშემძლეობაზე, განგებისადმი ბრმა მორჩილებაზეა გაკეთებული აქცენტი, რაც მის მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას წარმოშობს. სიფრთხილისკენ მონოდების შინაარსი იკვეთება ქვემოთ წარმოდგენილ საილუსტრაციო პარემიებში:

ქართული

(29) **ბედისწერას** ვერავინ გაექცევაო

(<http://idioms.tsu.ge/?p=20579>).

(30) ყველა **თავის ბედს** თვითონ ჭედსო

(<http://idioms.tsu.ge/?p=20197>).

(31) **უბედოდ** არაფერი იქნებაო (<http://idioms.tsu.ge/?p=17118>).

(32) **თავის ბედს** კაცი ვერ შემოუვლისო

(<http://idioms.tsu.ge/?p=16671>).

(33) **ბედი** მომეც და ქვაზე დამსვიო

(<http://idioms.tsu.ge/?p=12641>).

მეგრული

(34) **ბედი** მუში ქოგიღუნ – სქანი რენია „ბედი რისიც გაქვს, შენი არისო“ (შეროზია, მემიშიში 1994:18).

(35) **ბედი** ქომუჩი დო წყარს გიმოყოთია „ბედი მომეცი და წყალში ჩამაგდეო“ (იქვე:18).

შდრ. ქართული: „**ბედი** მომეცი და ნეხვთა დამფალო“.

(36) **იღბალი** ქოილუდა, ვადინუქია „იღბალი თუ გაქვს, არ დაიკარგებო“ (იქვე:18).

(37) **ბედმა** მითინს ვანტინენია // ბედიმა კოს ვამდაართენია „კაცი ბედს ვერ გაექცევაო“ (იქვე:18).

ლაზური

(38) **ბედიშ** ოსთერუ დო იხიშ ობარუ არ რენ „ბედის თამაში და ქარის დაბერვა ერთია“ (შეროზია, მემიშიში 1994:203).

(39) კოჩის **იგბალი** მუში ყვას ნოჭარუნ „კაცს თავისი ბედი შუბლზე აწერია“ (იქვე:225).

(40) კოჩის **ისტერაჭი** ვარ ულუტაში, ღნოსითე მუთუ ვარ ივენ „კაცს თუ ბედი არა აქვს, ჭკუით არაფერი გამოვა“ (იქვე:225).

(41) სქანი **კისმეტი** ვა ენ-ნა, ლუკმა ხემენ მეგილაფს „შენი ბედი თუ არ არის, ლუკმა ხელიდან გაგივარდება“ (იქვე:250).

(42) ჩქიმი **კისმეტი** თრანგიქ ოხოი-ჩქიმიშა ქომომერს! „ჩემს იღბალს ღმერთი ჩემს სახლში მომიტანს!“ (იქვე:259).

სვანური

(43) **ბედიშ** ნამტუტინ ჳაცას ესერ ლახგენა „ბედს გაქცეული და-ლუპვას მისდგომიაო“ (დავითიანი 1973:21).

(44) **ლირდე-ბედიშ** მგსყი ამსოლდ თხუმდ ჳი ესერ ლი „ბედის მომწყობი თავად ადამიანი არისო“ (იქვე:58).

(45) **წწწერიშ** მშუმდ დწს ესერ ხოთხა „ბედისწერის წამალი ვერავის უპოვნიაო“ (იქვე:115).

(46) **წწწერიშ** ლეუტწრ ი მანტუდი ეშუტი ესერ ლი „ბედისწერისათვის დამნაშავე და მართალი ერთი არისო“ (იქვე:115).

(47) **წწწერს** ჩუ დწრ ესერ მოშ ხწპჟა „ბედისწერას ვერავინ ვერ დამალვიაო“ (იქვე:116).

ჩვენ მიერ საილუსტრაციოდ წარმოდგენილი ანდაზებიდან ჩანს, რომ **ბედი**, როგორც განგების (ბიბლიაში იგი ღვთის ნებასთან ასოცირდება) ერთ-ერთი სინონიმი, საერთოქართველურ ენობრივ ცნობიერებაში არსებობს როგორც სავესებით რეალური, ადამიანის მომავლის განმსაზღვრელი ობიექტი. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ხშირად ეს აბსტრაქტულობის უმაღლესი ხარისხის მქონე ლექსიკური ერთეული, წარმოდგენილია პერსონიფიცირებულად. ადამიანი გრძნობს ბედის თვისებებს, მის გამოვლინებას (ომიაძე 2009:96 და შმდ.). ამ მხრივ საინტერესოა ისიც, რომ ბედის, როგორც წინასწარ განჩინებულის სახეს, კარგად წარმოაჩენს მეგრული მყარი შესიტყვება **სვაში ჭა-**

რა // ცვაიჭარა // ცვაჭარა ბედისწერა, ბედისწერის ნიშანი შუბლზე (შდრ. **ცვაიჭარუ** წერამწერალი¹, შუბლზე ბედის მწერალი (ქობალია 2010:653-654) და აქედან ნაწარმოები **უცვაიჭარე** (← უცვაიჭარე) უბედო, უშუბლწერო, უანაწერო (იქვე:617). ზოგადად, **ჭარა** (< ქართ. წერა) მეგრულში წარმოადგენს ბედის სინონიმს, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ, თუკი ცალკე აღებული „ბედი“ ნეიტრალური მნიშვნელობის მატარებელია (თანდართული ეპითეტის მიხედვით ვიგებთ, თუ როგორ ბედი საუბარში: **ჯგირი** ბედი – კარგი ბედი და **გლახა** ბედი – ცუდი ბედი)², „ჭარა“, „ბედიჭარა“ უმეტესად უარყოფითი შინაარსის მქონე კონტექსტებში გამოიყენება³: **ჭარა მარე** „ბედისწერა მოსდგომია, ხიფათი, უბედურება ელის“⁴ (ხალხ. სიბრძ. II:102). ამგვარი სემანტიკური დაპირისპირება ქართულშიც შეინიშნება; ერთი მხრივ გვაქვს **ბედი** და **ბედისწერა**, ხოლო მეორე მხრივ – სრულიად საპირისპირო მნიშვნელობის **საბედო** და **საბედისწერო**. შდრ. აგრეთვე სიტყვათა მყარი შეხამებები: „წერამ აიტანა“, „მისი წერა გახდა“ და სხვა.

¹ შდრ. ვაჟა-ფშაველას მიერ განგების ძალის, ღვთის ნების მნიშვნელობით გამოყენებული **წერამწერელი**: „დაეფარება სანახავს / წერამწერელის წერთა“ (ვაჟა-ფშაველა 2011:141-142)

² ჩვენი დაკვირვებით, სვანურში აქტიურად გამოიყენება გამოთქმა **ეზერ ბედისგა ხორი** „კარგ ბედში ჰყავს“ (მაგალითად, საქონელი, შინაური ცხოველი, რომელსაც კარგად კვებავს პატრონი); ასევე, **ლჷდი ხორჩა ბედ გჷარ ბაცს** „დღეს კარგი ბედი გველოდება“ (იტყვიან მოსალოდნელ პურ-მარილზე).

³ ემპირიული მასალით დასტურდება, რომ მხოლოდ უარყოფითი შინაარსით გვხვდება სვანურში **ნწწერ ახკედა „წერამ უწია“**.

⁴ შდრ. საპირისპირო მნიშვნელობის გამოთქმა: **ბედი(ი) მარე (კარს)** – „ბედი კარს მოსდგომია“, ქართ. **ბედს ეწია**. აგრეთვე მეგრული ანდაზა: **კოს ცვაიჭარაშა ვემდართე** „კაცი თავის ბედს (შუბლზე დანეროილს – ცვაშ ჭარას) ვერ ნაუვა“ (შეროზია, მემიშიში 1994:70).

ამგვარად, ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზების ანალიზი კარგად წარმოაჩენს „ბედთან“ დაკავშირებულ ხალხის რწმენა-წარმოდგენებს და ავსებს, ამდიდრებს „ბედის“ კონცეპტის“ სემანტიკურ-დისტრიბუციულ ველს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველურ ენათა პარემიებზე ლინგვოკულტუროლოგიური კუთხით დაკვირვება ზემოგანხილული თემებით არ შემოიფარგლება და აუცილებელია დანარჩენი კონცეპტების განხილვის გზით ქართველური კონცეპტოსფეროს განსაზღვრა, რაც საბოლოოდ საერთოქართველური ლინგვოკულტურული სივრცის სრულყოფილად შესწავლის საშუალებას იძლევა.

5. რიცხვის სიმბოლიკა ქართველურ ენათა ანდაზებში

მსოფლიოს ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში დიდი ადგილი უჭირავს რიცხვების საკრალური მნიშვნელობით გამოყენებას. რიცხვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა შუამდინარულ მითოლოგიაში, ანტიკურ სამყაროში, შუასაუკუნეების მეცნიერულ აზროვნებაში და სხვა. რიცხვები საკრალური მნიშვნელობით ჯერ კიდევ ბიბლიის ტექსტებშია გამოყენებული, საიდანაც ფართოდ გავრცელდა ლიტერატურასა და ფოლკლორში. ცნობილია, რომ დროთა განმავლობაში სხვადასხვა კულტურის ხალხში გაჩნდა საკრალური მნიშვნელობის რიცხვები, როგორცაა: **სამი**, **შვიდი**, **ცხრა**, **თორმეტი**... ამ მხრივ გამონაკლისი არც ქართველური ენობრივი სივრცე აღმოჩნდა, რომელშიც სიმბოლური დატვირთვით, მეტ-ნაკლები პროდუქტიულობითაა წარმოდგენილი სხვადასხვა რიცხვი. ამა თუ იმ რიცხვის საკრალური გაგება კარგად ჩანს ხალხის წიაღში შექმნილ ანდაზებშიც.

საკრალური რიცხვებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რიცხვია **ცხრა**. ეს ლექსემა ქართულ ლინგვოკულტურულ სივრცეში ხშირად განუსაზღვრელ სიმრავლესაც აღნიშნავს (განმარტებისთვის იხ. ქეგლ-ი: (<http://ena.ge/explanatory-online>)). ცნობილია, რომ რიცხვის სიმბოლიკა უცხო არ არის ონომასტიკისთვისაც; კერძოდ, „ქართულ ტოპონიმიაში ზოგადი სიმრავლის აღსანიშნავად თითქმის მხოლოდ **ცხრა** იხმარება. სხვა რიცხვით სახელთაგან ყველაზე ხშირია **სამი** (ზოგჯერ გვხვდება **შვიდი** და **ხუთიც**). იგი შეიძლება რეალური აღმნიშვნელიც იყოს ობიექტის რაოდენობისა და ირეალურიც, მაშინ როცა **ცხრა** თითქმის ყოველთვის გადატანითი მნიშვნელობითაა საგულგებელი“ (აფრიდონიძე 1989:236).

ქართულ **ცხრა**-ს კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისები

მოექცეება დანარჩენ ქართველურ ენებშიც: კერძოდ, „ქართ. ცხრ- (<*ც, ხარ-) ცხრ-ა ძირის შესატყვისად გვაქვს მეგრ. ჩხორ-, ჩხორ-ო, ლაზ. ჩხორ-, ჩხორ-ო¹, სვან. ჩხარ-, ჩხარ-ა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990:416). იმას, რომ ზოგადი სიმრავლის აღნიშვნის ფუნქციით რიცხვი ცხრა ოთხივე ქართველურ ენაში გამოიყენება, ადასტურებს ამ ენათა ანდაზური ფონდიც²:

ქართული

- (1) კაცმა რომ კაცი გაიცნოს ცხრა³ ფუთი მარილი უნდა შექამოსო (<http://idioms.tsu.ge/?p=20037>).
- (2) დაშინებული ძაღლი ცხრა წელიწადს ხეს შეჰყეფდაო (<http://idioms.tsu.ge/?p=19969>).
- (3) არ მინდას ცხრა თეფში ფაფა შემოეჭამაო (<http://idioms.tsu.ge/?p=18348>).
- (4) მარტმა თქვა: დღეში ცხრაჯერ გატირებ და ცხრაჯერ გაცინებო (<http://idioms.tsu.ge/?p=16884>).
- (5) უხეირო პატარძალმა ცხრა ცოცხი მოიხმარა და ერთი ოთახი ვერ გამოგავაო (<http://idioms.tsu.ge/?p=9976>).

მეგრული

- (6) ართი თხირიში გური ჩხორო ჯიმაღეფე გირთესია „ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო“ (შეროზია, მემიშიში 1994:10).

¹ ამ სიტყვაფორმის ფონეტიკურ ნაირსახეობად ლაზურ ენაში დასტურდება (5)ჩხოვრო // ჩხოლო ლექსიკური ერთეულები (იხ. ლექსიკონში: <https://www.ice.ge/liv/liv/lazur.php#>).

² შდრ. ლექსიკონების მონაცემები მეგრულისთვის: ჩხორო (ჩხოროს) ცხრა // გადატ. მრავალი. ჩ ხ ო რ ო გვალამ აშო მობრხინი თოფი: კ. სამუშ., ქსპს, გვ. 167 – ცხრა მთის აქეთ შევმართე თოფი. ჩ ხ ო რ ო ხატიქ გოგაჭყორუ: თ. სახოკ., გვ. 265 – ცხრა ხატი გაგინყრეს (ქაჯაია 2002:336); ჩხორო ცხრა; ცხრათითა (მცენ.); მრავალი, ბევრი (გადატ.) (ქობალია 2010:649).

³ ხაზგასმა ანდაზებში, აქაც და ქვემოთაც (ამ ნაწილის ფარგლებში), ყველგან ჩვენია (გ. ჯ.).

(7) ართი ცოდა მახინჯის უღუნია დო ჩხორო – მინჯესია „ერთი ცოდვა ქურდს აქვსო და ცხრა – პატრონსო“ (იქვე:12)¹.

(8) ჩხოროშა დონათენი, ხოლო (იშენ) მუთუნი ვახვარუნია „ცხრაჯერ რომ მონათლო, მაინც არაფერი შველისო“ (იქვე:166).

ლაზური

(9) არ მთხირი ნჩხოვრო ჯუმაქ უკუირთერენ „ერთი თხილი ცხრა ძმას გაუყვია“ (შეროზია, მემიშიში 1994:200).

(10) ნჩხოვრო მთუგიქ კატუ დოკორეს „ცხრა თავგმა კატა შეკრა, გაკოჭა“ (იქვე:242).

სვანური

(11) აშუ ნეზუიმ თელ ჩხარა ზურალს ესერ ოთგთალახ „ერთი ნეზვის ქკუა ცხრა ქალს გაუნანილებიაო“ (დავითიანი 1973:18).

(12) აშუ ჭიშხმეკუშა ტიშს ჩხარა ესერ ლაყურა ოთზელალა „ერთ ფეხმოტეხილ ტილს ცხრა ლოგინი დაუვლიაო“ (იქვე:18).

(13) ეშუი გუი ჩხარამდ დემ ესერ იბჯური „ერთი გული ცხრად არ დაიჭრებაო“ (იქვე:36).

(14) ეშუი კინჩხ შგურ ჩხარამუნ ესერ ოხქუიცი „ერთი კისერი სირცხვილს ცხრაჯერ მოუჭრიაო“ (იქვე:37).

(15) მეგუნებალიშ ლეთს ჩხარა ლეთ ესერ ახფასა „დარდიანის ღამე ცხრა ღამე გამოსულაო“ (იქვე:87).

(16) ნაცლგრთე ღემალ ჩხარა ლადლიშს ესერ ანღრი „ნადირის მიერ დაგლეჯილ მძორთან ყორანი ცხრა დღის სავალიდან მოდისო“ (იქვე:115).

¹ შდრ. პარალელური ვერსიები: ა) ართი ცოდა მაქიმინალს უღუნია დო ოში მარაგადესია „ერთი ცოდვა მქნელსა აქვს და ასი კი მთქმელსაო“ (შეროზია, მემიშიში 1994:12). ბ) ართი ცოდა მაქიმინალს უღუნია დო ანთასი – მორაგადესია „ერთი ცოდვა მქნელს აქვსო და ათასი – დამბრალებელსო (მოლაპარაკესო)“ (ექსპ. მასალები). „ასის“ და „ათასის“ შესახებ ამავე შინაარსის მსჯელობა და მაგალითები იხ. ქვევითაღ.

(17) ჩხარა ტუფ დჷს ესერ ხეტუმენი „ცხრა ტყავი არავის აეც-
ლებაო“ (იქვე:169).

ამდენად, როგორც ემპირიულმა მასალამ დაადასტურა, ქართულ, მეგრულ, ლაზურ და სვანურ პარემიებში რიცხვი **ცხრა** გამოხატავს არა სახელის კონკრეტულ რაოდენობას, არამედ ზოგად სიმრავლეს. ჩვენი დაკვირვებით, არსებითად ამავე მნიშვნელობისაა ქართველურ ენათა ანდაზებში შედარებით ნაკლები სიხშირით წარმოდგენილი სხვა რიცხვები: **შვიდი, ათი, თორმეტი, ორმოცი, ასი** და **ათასი**. როგორც ჩანს, ანდაზებში ეს რიცხვები ყველგან გამოხატავენ მეორეულ სემანტიკას და ემ-სახურებიან ზოგადი სიმრავლის ჩვენებას.

აღნიშნული რიცხვები ქართველურ ენებში შემდეგი ლექსიკური ერთეულებით გადმოიცემა: ა) ქართ. **შვიდ-**, **შვდ-**, **შვიდ-**; მეგრ. **შქვით**, **შქვით-**; ლაზ. **შქვით-//შქით**, **შქვით-ი//შქით-ი**; სვან. **შგჷიდ//შგჷდ-**, **ი-შგჷიდ**; ბ) ქართ. **ათ-**; მეგრ. **ვით-**; ლაზ. **ვით-**; სვან. **დეშდ-//დეშტ-**; გ) ქართ. **თორმეტ-**; მეგრ. **ვითოჟირ-**; ლაზ. **ვითოჟურ-**; სვან. **(მ)ემდდიორი**; დ) ქართ. **ორმოცი-**; მეგრ. **ჟა(ა)რნეჩ-**; ლაზ. **ჟურენეჩ-**; სვან. **ჟორმოც**; ე) ქართ. **ას-**; მეგრ. **ოშ-**; ლაზ. **ოშ-**; სვან. **ჰშ-ირ//აშ-ირ**; ვ) ქართ. **ათას-**; მეგრ. **ანთას-**; ლაზ. **ვითოშ-ი//ვიტოშ-ი**; სვან. **ათას//ათჰს** (ფენრიხი, სარჯველაძე 1990:32, 39, 382);

მაგალითები ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზებიდან:

ქართული

(18) კაცი რომ თავს სიავეს უზამს, იმოდენას **შვიდი** ეშმაკიც ვერ უზამსო (<http://idioms.tsu.ge/?p=19881>).

(19) გველს რომ **შვიდი** ტყავი გააძრო, მაინც გველიაო (<http://idioms.tsu.ge/?p=15176>).

(20) **შვიდჯერ** თვალი გადაავლე, ერთხელ ხმალი გადაავლე (<http://idioms.tsu.ge/?p=14867>).

- (21) ერთი სულები წყალში ქვას ჩააგდებს და შვიდი ბრძენი ვერ ამოიღებსო (<http://idioms.tsu.ge/?p=6687>).
- (22) ქურდს რომ კაცმა ყური უგდოს, დღეში ათჯერ გამოტყდებო (<http://idioms.tsu.ge/?p=10151>).
- (23) ათჯერ გაზომე და ერთხელ მოსჭერიო (<http://idioms.tsu.ge/?p=1141>)¹.
- (24) თორმეტ კბილს რომ სიტყვა გადმოსცდება, თორმეტ მთას გადაივლისო (<http://idioms.tsu.ge/?p=11343>).
- (25) შაშვმა თქვა: თორმეტი გალობა ვიცოდი, მიმინომ სულ დამავიწყაო (<http://idioms.tsu.ge/?p=8891>).
- (26) ერთი კაცის შრომით ასი კაცი ცხოვრობსო (<http://idioms.tsu.ge/?p=20454>).
- (27) ერთმა ჭუჭყიანმა ღორმა ასი სუფთა ღორი გასვარაო (<http://idioms.tsu.ge/?p=11261>).
- (28) ათასი მტერი სჯობია ერთ უმსგავსო მოყვარესა (<http://idioms.tsu.ge/?p=11107>).
- (29) ვაჭარი ათასიდან ერთს იტყვის მართალსო (<http://idioms.tsu.ge/?p=20470>).

მეგრული

- (30) ართ დღამ მეტებულ საქმეჲ ჟარნეჲ დღამა გინიღუა „ერთ დღეს მიტოვებული საქმე ორმოც დღეზე გადავიდაო (ორმოცი დღით გადაიდოო“ (შეროზია, მემიშიში 1994:9).
- (31) ართი მატახალც ოში მუმაგებელი ვეიალენია „ერთ მტვრეველს ასი მომგები ვერ აუვაო“ (იქვე:10).
- (32) ართი წიკვილ ღეჯჲ ოში ღეჯი დონიკუა „ერთმა წვირიანმა ღორმა ასი ღორი გასვარაო (იქვე:12).

¹ ამ ანდაზის პარალელური ვერსია უფრო გავრცელებულია, რომელშიც ათის ნაცვლას მოცემულია ასი, რაც ამტკიცებს აღნიშნული რიცხვითი სახელების გამოყენებას ზოგადი სიმრავლის აღსანიშნავად. შდრ.: „ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერი“ (<http://idioms.tsu.ge/?p=1170>).

(33) ართი ცორადილი უშქური *ოში* უშქურც ცორიდუნცია „ერთი დამპალი ვაშლი ას ვაშლს დაალპობსო“ (იქვე:12).

(34) ზესქვიქ თქუუა: *ოში* გალობა ქომიჩქედ, მარა თირიგი შიშიქ ეკოდგროთ, არძაქ ქამმოჭყორდუა „შამვმა თქვაო: ასი გალობა ვიცოდი, მაგრამ ისეთი შიში დამადგა, ყველა დამავინყდაო“ (იქვე:49).

ლაზური

(35) არ ნენაქ – „ვარ მიჩქინ“ – თიშენ *შქვით* ბელა მუინკიფს „ერთი სიტყვა – „არ ვიცი“ – თავიდან *შვიდ* ხიფათს აგაცილებს“ (შეროზია, მემიშიში 1994:199).

(36) აჯელე ნა ყვა ია დულია *შქვით* ჭარა იქიფ „ნაჩქარევად გაკეთებულ ერთ საქმეს *შვიდჯერ* გააკეთებ“ (იქვე:202).

(37) არ ელახცაფერი უშქირიქ *ვით* უშქირი ოხცინაფს „ერთი დამპალი ვაშლი ათ ვაშლს დაალპობს“ (იქვე:199).

(38) არ ნთომა მუთუ ვარ, ამა *ვით* ვარ ნიჭკვიდენ „ერთი თმა არაფერი, მაგრამ ათი არ გაინყვიტება, არ განყდება“ (იქვე:200).

(39) ცანას *ვით* ნენა უჩქიტუ, ოძჭოფუში, ირითი გოჭკონდუ „გულწითელამ ათი ენა იცოდა, რომ დაიჭირეს, ყველა დაავინყდა“ (იქვე:260).

(40) არ მცუდელაში ნენათენ *ჟურენერი* კორი დიყვილერენ „ერთი მატყუარას ენით *ორმოცი* კაცი მოკლულა“ (იქვე:200).

(41) ირი კორიში თის *ჟურენერი* ბელა იყვენ „ყოველი კაცის თავზე *ორმოცი* ხიფათი იქნება“ (იქვე:219).

(42) არ ზენგინიმ ოძლუს *ოშ* ჭუკარაში ოძლუ უჯგინ „ერთი მდიდრის გაძლომას ასი ღარიბის გაძლომა აჯობებს“ (იქვე:199).

(43) ხამიქ არ კორი ილუ, ნენაქ – *ვიტოში*¹ „დანამ ერთი კაცი მოკლა, ენამ – ათასი“ (იქვე:263).

¹ აღსანიშნავია, რომ ლაზურ ანდაზებში *ვიტოში* „ათასი“ ლექსემის პარალელურად ვხვდებით ამავე რიცხვითი სახელის ბერძნულ – *შილდა*

სვანური

(44) ეშტი ესერ ლგნჰე ი *დეშდ* ლგნჰემ ლგნჰე „ერთი წვეული და ათი წვეულის წვეულიო“ (დავითიანი 1973:36).

(45) *ეშდმარუ* მგგემს ეშტი მურლუ⁷ ესერ ჟი ხნსრე „თორმეტ მშენებელს ერთი მნგრეველი აჯობებსო“ (იქვე:36).

(46) მიჩა ქორთე *ეშდმარუ* თანლის ესერ ლგმსგიდინ „თავის სახლში თორმეტი მთის იქიდან იხედებოდაო“ (იქვე:99).

(47) მუხტბათე ცოდ *დეშდმარუ* პაპს ესერ დემ ოთხტაშნა „ძმი-სადმი ძმის ცოდვა თორმეტ მღვდელს ვერ შეუნდვიაო“ (იქვე:103).

(48) ჭილექ მეზგალისგა *ეშდმარუ* ზატ ესერ ხაპიჟ „ჭლექი ოჯახში თორმეტ წელიწადს იმალებაო“ (იქვე:175).

(49) ჰედურდ მოდმას ეშდმორი უღვა ჳნ ესერ ხორა „სულ არა-რაობას თორმეტი უღელი ხარი სჯობიაო“ (იქვე:200).

(50) *აშირს* ქ'ოუ ლნჰქედიუ ი მიჩა ქ'ოუ ჩემინ „ასს ჰკითხე და შენი ჰქენო“ (იქვე:18).

(51) *აშირ* მგკარქა ეშტი მგჳმწრი ესერ ხნსრე „ას მშოვნელს ერთი მხარჯველი სჯობნისო“ (იქვე:18).

(52) ეშტი ესერ მგჩემ ი *აშირ* მგსგიდწრი „ერთი გამკეთებელი და ასი გამსინჯველიო“ (იქვე:36).

(53) *ათაჰ* ბნქს ეშტი ტკიც ესერ ახხორა „ათას ტყუილს ერთი მართალი სჯობიაო“ (იქვე:8).

ანდაზებში ვერ დავადასტურეთ, თუმცა ქართველურ ენებში „**მილიონიც**“, ძირითად მნიშვნელობასთან ერთად, ზოგადი სიმრავლის აღმნიშვნელია: *მილიონი* – გადატ. „**უამრავი**“

ვარიანტსაც; იგი იმავე ფუნქციურ დატვირთვის ატარებს და სიმრავლის ხაზგასმას ემსახურება: *შილმა* მცუდის არ მთინი უჯგინ „ათას ტყუილს ერთი მართალი ჯობია“ (შეროზია, მემიშიში 1994:258).

(ქეგლ-ი)¹. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მითითებულია აგრეთვე, რომ ზოგად სიმრავლეს გამოხატავენ რიცხვითი სახელები „ცხრა“² და „ათასი“³. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველურ ენათა ანდაზებში მეორეული მნიშვნელობით გამოყენებული „შვიდის“, „ათის“ „თორმეტისა“ და „ასის“ შესახებ ლექსიკონში არაფერია ნათქვამი.

ამრიგად, რიცხვების საკრალური მნიშვნელობით გამოყენება, რომელსაც მსოფლიოს ხალხებში ხანგრძლივი ისტორია აქვს, თავს იჩენს ქართულ, მეგრულ, ლაზურ და სვანურ პარემიულ ერთეულებშიც. ანდაზებში, საკრალური დანიშნულებით გამოყენებული სხვადასხვა რიცხვითი სახელი წინადადების ამა თუ იმ წევრს მსაზღვრელად დაერთვის და სიმრავლის, განუსაზღვრელი ოდენობის ნიუანსს სძენს. ჩვენ მიერ განხილული ემპირიული მასალის მიხედვით ცხადია, რომ კონკრეტული რაოდენობის გამომხატველი რიცხვითი სახელი, მაგალითად, **ერთი** და **ცხრა** ან **ერთი** და **ასი** ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც **ერთი** და **ბევრი** ან **ერთი** და **მრავალი**.

¹ <http://ena.ge/explanatory-online?ls=YToyOntzOjEyOiJ3b3JkX21ldGF1-cmkiO3M6MjE6IuGDm+GDmOGDmuGDmOGDneGDnOGDmC17czoxMToid29yZF9zdGF0aWEiO3M6MDoiIjt9>

² <http://ena.ge/explanatory-online?ls=YToyOntzOjEyOiJ3b3JkX21ldGF1-cmkiO3M6MTI6IuGDquGDruGDdoOGDkC17czoxMToid29yZF9zdGF0aWEiO3M6MDoiIjt9>

³ <http://ena.ge/explanatory-online?ls=YToyOntzOjEyOiJ3b3JkX21ldGF1-cmkiO3M6MTU6IuGDkOGDI+GDkOGDoeGDmC17czoxMToid29yZF9zdGF0aWEiO3M6MDoiIjt9>

6. ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენათა ანდაზებში

ენათა უმრავლესობის ლექსიკურ ფონდში გამოიყოფა ისეთი ერთეულები, რომლებიც ავლენენ აღსანიშნავსა და აღმნიშვნელს შორის არსებულ არა პირობით, არამედ მოტივირებულ კავშირს. ლექსემათა დასახელებული ჯგუფი ორ დიდ ნაწილად შეიძლება გავყოთ: ერთია საკუთრივ ხმაბაძვის // ხმიანობის (ბერძნ. ონომატოპეა) გამომხატველი სიტყვები, ხოლო მეორე – ფონოსემანტიკური (ბგერწერითი) ლექსიკა. ხშირად ეს ორი სხვადასხვა ჯგუფი ერთმანეთისგან გამიჯნული არ არის, რაც, თავის მხრივ, ტერმინოლოგიურ სიჭრელესაც იწვევს¹. ზოგჯერ ფონოსემანტიკას ხმაბაძვის სახეობადაც მიიჩნევენ: „მეგრულში არის ხმაბაძვითი სიტყვების ერთი რიგი, რომელიც, გარდა ძირითადი მნიშვნელობისა, გამოხატავს მოქმედების ელფერს, მოქმედი საგნის სიდიდეს, წონას, სიმკვრივეს და ა.შ. აღნიშნულ თვისებათა გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს მულერ, ფშვინვიერ და მკვეთრ თანხმოვანთა დაპირისპირება ერთმანეთთან. ამგვარი საშუალებით გამოხატულ ხმაბაძვას „ბგერწერა“ შეიძლება ვუწოდოთ“ (გუდავა 1958:15)².

სიტყვათა ზემოხსენებულ ორ ჯგუფზე საინტერესო მოსაზრება აქვს ი. მელიქიშვილს: „ბგერწერით ლექსიკას ჩვეულებრივ ყოფენ ხმაბაძვით და ბგერითი სიმბოლიზმის გამომხატველ სიტყვებად... მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ სიტყვათა ამ ორ ჯგუფს შორის მკვეთრი ზღვარი არ არის... მათი ერთგვაროვნე-

¹ ტერმინოლოგიის საკითხებზე ვრცლად იხ. რ. გერსამია, ზ. კიკვიძე, მ. ლომია, ნ. მამისეიშვილი, მ. საღლიანი, ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში, 2016:18-32.

² შდრ. აგრეთვე ქართული ენის ენციკლოპედიაში სიტყვა-სტატია „ონომატოპეას“ განმარტების შესახებ (გვ. 350).

ბა ვლინდება იმაში, რომ 1. ხმაბაძვითი სიტყვები იმავე ყალიბებში თავსდებიან, რომლებშიც ბგერითი სიმბოლიკისადმი მიკუთვნებული ლექსიკა; 2. ხმაბაძვითი სიტყვები ხშირად ერთდროულად იმ მოძრაობასაც ასახავენ, რომლის შედეგსაც წარმოადგენენ; 3. ხმაბაძვითი ლექსიკა ხშირად იმ ემოციასაც ასახავს, რომელიც ამ ხმის გამოცემას ახლავს თან... სინთეზის მოვლენა შლის ზღვარს საკუთრივ ხმაბაძვით და სხვა სახის ბგერწერით ლექსიკას შორის. მათ შორის მკვეთრი ზღვრის გავლება ვერ ხერხდება ვერც სემანტიკური და ვერც ფუნქციონალური თვალსაზრისით“ (მელიქიშვილი 1999:78-79).

წინამდებარე ნაშრომში გაზიარებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ტერმინები „ფონოსემანტიკა“, „ფონეტიკური სიმბოლიზმი“, „ბგერითი სიმბოლიზმი“ და „ბგერწერა“¹ სინონიმური მნიშვნელობისაა და უნდა გავიგოთ, როგორც სამეტყველო ბგერებისა და ბგერათკომპლექსების დაკავშირება გარკვეულ მნიშვნელობასთან. საკუთრივ ხმაბაძვისგან განსხვავებით, რომელიც ბერძნული ონომატოპეას ეკვივალენტად მიიჩნევა, „ბგერწერა არის ს ი ნ ე ს თ ე ზ ი ი ს ისეთი ფორმა, რომელიც ასახავს საგნის არაბგერით თვისებებს – ფორმის, სიდიდის, სიმაგრის, ადამიანისა თუ ცხოველის ფიზიოლოგიური მდგომარეობის... თავისებურებებს“ (ქართული ენა 2008:78).

სპეციალურ ლიტერატურაში (გუდავა 1958; ასათიანი 1979; ქობალავა 1980; აფრიდონიძე 1993; მელიქიშვილი 1999; Magnus 2001; კიზირია 2003; დავითიანი 2008; გერსამია და სხვები 2016) ხშირად მიუთითებენ, რომ ბგერწერით სიტყვებში ცალკეული ფონემები გარკვეული ელფერის მატარებლები არიან და კონკრეტულ ასოციაციებსაც ქმნიან: მსოფლიოს ყველა ენაში ამა

¹ ტერმინი „ბგერწერა“ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ტ. გუდავამ, რომელიც ქართულ საენათმეცნიერო სივრცეში ფონოსემანტიკის მეცნიერული კვლევის სათავეებთან მოიაზრება.

თუ იმ ფონემის შემცველ თითოეულ სიტყვას აქვს მნიშვნელობის სპეციფიკური ელემენტი, რომელსაც მოკლებულია ის სიტყვა, რომელშიც აღნიშნული ფონემა არ გვხვდება. ამ თვალსაზრისით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველი ფონემა არის გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი. ფონემის კონკრეტული მნიშვნელობა ჩადებულია მის არტიკულაციაში (Magnus 2001:4).

როგორც ცნობილია, პარემიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფრაზის ლაკონიურობა და მონოლითურობა, რითმისა და რიტმის მონესრიგება, რადგან იგი მოქნილი და ტევადი შინაარსის სპეციფიკური ინტონაციით წარმოსათქმელი ერთეულია. აღნიშნულ მიზანს ანდაზა აღწევს ენაში არსებული სხვადასხვა ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებით, რომელთა შორისაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბგერწერით ლექსიკას. საინტერესოა, როგორი სტრუქტურისა და სემანტიკის ბგერწერასთან გვაქვს საქმე ქართველურ ენათა პარემიებში და რა ფუნქციურ დატვირთვას იძენენ ისინი ანდაზის ენაში.

ჩვენს ხელთ არსებული ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ქართველურ ენათა პარემიებში ფონოსემანტიკური ლექსიკის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია **მოქმედების ინტენსიფიკაციაა**. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს მაშინ, როდესაც ერთი ანდაზის ფარგლებში მოიპოვება ბგერწერითი სიტყვა და მის გვერდით იგივე სემანტიკა გამოხატულია ნეიტრალური ლექსემით. სწორედ ამ ორი ლექსიკური ერთეულის შედარებით იქმნება კონტრასტის ეფექტი, რის შედეგადაც ანდაზა იძენს მეტ გამომსახველობით ძალას და მასში ჩადებული აზრი ექსპრესიულად გადმოიცემა:

ქართული

(1) **დაჟეჟილს** გატეხილი სჯობიაო (ჯორჯანელი 2003:66).

შდრ.: დაჟეჟილი – გატეხილი.

(2) **ჩათრევას** ჩაყოლა სჯობიაო (ჯორჯანელი 2003:290).

შდრ.: ჩათრევა – ჩაყოლა.

(3) ზოგის ვერცხლი ჩუმად არის, ზოგის ბამბაც ჩხრიალებს
(<http://idioms.tsu.ge/?p=15305>).

შდრ.: ჩუმად არის – ჩხრიალებს.

მეგრული

(4) გოჟაჟილც (გოჯღანჯლილს) გოკვათილი (გოტახილი) უჯ-
გუნია (შეროზია, მემიშიში 1994:31). „გაჟეჟილს (გაჯეჯლილს)
გაჭრილი (გატეხილი) სჯობიაო“.

შდრ.: გოჟაჟილი (გოჯღანჯლილი) – გოკვათილი (გოტახილი).

(5) დონთხაფა დო დობაზაფა ართი ენია „დაცემა და დაბერტყე-
ბა ერთი არისო“ (იქვე:39).

შდრ.: დონთხაფა – დობაზაფა.

(6) კურდღელქი მუსხით იკვანკუ, თისხით ირულუა „კურდღელ-
მა რამდენი იგრინა (თავი აარიდა), იმდენი ირბინაო“ (იქვე:77).

შდრ.: იკვანკუ – ირულუ.

(7) მეჭვილს მეგიბილი უჯგუნია „დამწვარს დადაგული სჯობი-
აო“ (იქვე:90).

შდრ.: მეჭვილი – მეგიბილი.

(8) მუ გოხარცქა დო მუ გონჯილაკავა¹ „რა გაფხრენა და რა
გაგლეჯაო“ (იქვე:97).

შდრ.: გოხარცქა – გონჯილაკა.

(9) მუ დანთხი დო მუ დაჟგართი „რა დაეცი და რა დაებერტყე“
(იქვე:97).

შდრ. დონთხაფა – დოჟგართაფა.

(10) სკაქ ოკო ტუტინას, ოსურქ ოკო რაგადუას (იქვე:123)

„ფუტკარმა უნდა იზუზუნოს, ქალმა უნდა ილაპარაკოს“.

შდრ. ტუტინი – რაგადი.

საყურადღებოა ანდაზაში ნეიტრალური და ფონოსემანტი-

¹ შდრ. ამავე ანდაზის სხვა ვარიანტი: მუ გოხარცქუა დო მუ გობულა-
კავა (შეროზია, მემიშიში 1994:97).

კური ფუძეებით გადმოცემული ზმნური ფორმების ურთიერთმიმართების საკითხი **რიგის მიხედვით**. როგორც ზემოთ წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, უმრავლეს შემთხვევაში ჯერ წარმოდგენილია ექსპრესიულად ნეიტრალური ფორმა, შემდეგ ექსპრესია იზრდება ფონოსემანტიკური ზმნური ფუძის ხარჯზე. ამგვარი განაწილება ხელს უწყობს კონტრასტის მეტად გამოხატვას; ანდაზით გადმოცემულ სიბრძნეს ხაზი ესმება და ამ გზით ანდაზა ადვილად დასამახსოვრებელი ხდება.

ანდაზებში მოცემული ფონოსემანტიკური ერთეულ(ებ)ი აზრობრივ მნიშვნელობას აძლიერებს მაშინაც, როცა საპირისპირო ნეიტრალური მნიშვნელობის ცალი არ მოეპოვება:

ქართული

(12) თუ კვერცხი გინდა, ქათმის **კაკანიც** უნდა აიტანო (<http://idioms.tsu.ge/?p=20007>).

(13) ბევრმა **ჩურჩულ-კურკურმა** ქვეყანა ამოაგდო (<http://idioms.tsu.ge/?p=16374>).

(14) დათვს თავში სცემდნენ, – ეს რა **ბრაგაბრუგიაო** (ჯორჯანელი 2003:65).

(15) ენამ რა გიყო და – თავში **რაკუნო** (იქვე:77).

(16) ვინც არ გიყვარს, მისი სიარული **ბრაგაბრუგია** და ჭამა **ხრამახრუშიო** (იქვე:95).

(17) **ტაცატკუცი** ბევრია, ნაკვერჩხალი კი არა ჩანსო (იქვე:240).

მეგრული

(18) ვაიღორსგნ ფერ კოჩიში ჭკუმუა **ჭკიპ-ჭკაპუ**¹ რენია დო ულა

¹ მეგრ. „ჭკიპ-ჭკაპუ“ გადმოსცემს ხმაურით ჭამას (გერსამია და სხვები 2016:215).

– **ძიგვ-ძაგვი**¹ (შეროზია, მემიშიში 1994:45)². „რომ არ გიყვარს ისეთი კაცის ჭამა წკლაპუნის არისო და სიარული – მოუქნელი, დონდლო.

(19) კიბირიმ **ელნალინტკორა** კუჭის ვარძლანსია (ველაფშანსია) „კბილიდან ამონაფხეკი კუჭს ვერ გააძღობსო (ვერ აავსებსო)“ (იქვე:67).

(20) ძვალც ძელქ ვადელიასენი, ეში **ვაგუხიტონუანცია** კორი „ძვალს რბილი რომ არ დაელიოს, ისე კაცი არ დაუნყებსო ხვრას“ (იქვე:170).

ლაზური

(21) ჯიხა დოლოხებენ **ტკვაცუნ** „ციხე შიგნიდან ტყდება“ (შეროზია, მემიშიში 1994:265).

(22) ხოჯაფეში დულდაფე კერემულისთერი **კირკოლერი**³ რენ „ხოჯების საქმე ჯაჭვივით დაგრეხილია (იქვე: 264).

(23) ბაშქაში ნეკნას ნა **ნოკანკა**⁴, სკანი ნეკნასთი **ნოკანკეფან** „სხვის კარზე რომ დააკაკუნებ, შენს კარზეც დააკაკუნებენ“ (იქვე:203).

¹ მეგრ. „ძიგვ-ძაგვი“ გადმოსცემს მოუქნელად, დონდლოდ, უშნოდ სიარულს (გერსამია და სხვები 2016:215).

² შდრ. რჯოგენი ი კორიში ულა **ჩარხი-ჩარხით** ალგასგმენია დო ჭკუმუა – **ჭკაპი-ჭკაპით** (შეროზია, მემიშიში 1994:119) „რომ გძულს ისეთი კაცის სიარული ჩარხუნად ჩაგესმის და ჭამა – წკლაპუნადო“. აღსანიშნავია, რომ ამგვარ მაგალითებში მოცემულია იდენტურხმოვნისანი რედუბლიკაცია, რითიც „გამოიხატება ის შინაარსი, რომელიც გვაქვს, მაგალითად, ინგ. ping-pong-სა და გერმ. zick-zack-ში: მოძრაობის მიმართულების ცვლა. შდრ. მეგრ. ზიკუზაკუ „საქანელა“ (მელიქიშვილი 1999:86). ამ და სხვა ამ ტიპის ანდაზებში წარმოდგენილი გაორკეცვბული ფუძეები ატარებენ მოქმედების განმეორებადობის, რიტმულობის სემანტიკას.

³ ოკირკოლუ – დაკლაკნვა (თანდილავა 2013:609).

⁴ კანკაფა – კაკუნე (იქვე).

სვანური

(24) ამფხუტს ამფხუტდ ლოხუტსაყუდრა: ჯი ესერ **ყგრყნწ** „ბაყაყმა ბაყაყს უსაყვედურა: შე ყიყინაო“ (დავითიანი 1973:13).

(25) დრეუნიდრეუნი დეც ესერი **ირხენწლ** „დროდადრო ცაც გრუხუნებსო“ (იქვე:35).

(26) მამდარ ჟელ **ლაჰატუშუ** ესერ ოთთგრახ მშიერი ძალლი ყე-ფით უცვნიათო“ (იქვე:76).

(27) დესუტს **ლაჩხანკუნა** ხაბ, მანგ მეთხუტარ მოდმ' ესერ ლი „ვი-საც საჩხაკუნებელი (იარალი) ჰკიღია, ყველა მონადირე არ არი-სო“ (იქვე:125).

(28) ქორს ნატლენი ესერ დემ ოთკუტეჰნი, ეჯლა დიხსაღ ესერ ჯარს **ხაფხკენწა** „სახლს უქონლობა რომ არ გაეთქვა, დიასახ-ლისი ვარცლს უფხაკურებდაო“ (იქვე:135).

(29) შყაჟუტს ესერ დეცე **გურგუნ** ქა ფხიჟე „მწყერი გრგვინვას მოჰყვებაო“ (იქვე:163).

(30) ჩაჟ ესერ **ოლტგრტანელ** ი ჭემნიშ ფათქთე ომშყედ „ცხენი დატორტმანდა და ქერის ორმოში ჩავარდაო“ (იქვე:164).

გვხვდება მაგალითები, როდესაც ერთსა და იმავე ანდაზაში ორი ბგერნერითი ერთეული შიშინა და სისინა რიგის დაპირის-პირებებს ქმნის, რაც შემთხვევითი არ არის. როგორც წესი, ში-შინა ბგერა გამოხატავს დაბალ ტონს, დიდს, უხეშსა და მძიმეს¹, ხოლო სისინა – მაღალ ტონს, სიპატარავეს, სიმსუბუქეს (გუდა-ვა 1958:15-16). მაგალითად მოვიყვანთ მეგრულ ანდაზას:

(31) მუ **ჩერჩელაფა** დო მუ **სერგელაფავა** „რა გაჩოჩება და რა გათრევაო“ (შეროზია, მემიშიში 1994:97).

გარდა სისინა და შიშინა რიგის თანხმოვნებისა, გამოყოფენ ფონემათა ზოგად სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშნებს. მაგ.,

¹ შდრ. მეგრული ანდაზა: ჯოლას **ვაჩერჩელუნ**, თინა ნინაქ **მოლაჩერ-ჩელუა** „მსხვილმა ჯაჭვმა რომ ვერ გაათრია, ის ენამ წამოათრიაო“ (შეროზია, მემიშიში 1994:193).

„მყლერი უფრო დიდ და უხეშ საგანსა და მოძრაობა-მოქმედებას აღნიშნავს, – ყრუ კი უფრო მცირესა და დახვეწილს. ამასთან, ფშვინვიერს შუალედური ადგილი უჭირავს, მკვეთრი კი ყველაზე ინტენსიურად ასახავს **პატარას, წვრილს, დახვეწილს**“ (მელიქიშვილი 1999:82). ამ თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი ანდაზა:

(32) ხამის მიკაცუნუნცენი, თექ არგუნც მუკონწყენცია (შე-როზია, მემიშიში 1994:181) „დანას რომ მიარჭობს, იქ ნაჯახს ჩამოხსნისო“.

წარმოდგენილი ანდაზიდან ჩანს, რომ დანის, როგორც ნაჯახთან შედარებით მცირე, ბასრი, წვრილი და მახვილპირიანი საგნის მოქმედება „ცუნ“ (შდრ. სანყისი: მიკო-ცუნ-აფ-ა) ძირისგან აგებული ბგერწერითი სიტყვით გადმოიცემა. ამასთან, წარმოდგენილ C (სისინა, ფშვინვიერი) + V + S¹ მიმდევრობაში მთავარი როლი ფშვინვიერ „ც“ ბგერას ეკისრება, რომელიც საგნის მოძრაობის იმიტაციადაც გადმოსცემს და მიუთითებს „ზედაპირულ, მსუბუქ, ჰაერში შესრულებულ მოქმედებას“ (მელიქიშვილი 1999:82). ამ კუთხით საინტერესოა ის პარემიული ერთეულებიც, რომლებშიც ყრუ მკვეთრისა და ყრუ ფშვინვიერის დაპირისპირებით შექმნილი ფონოსემანტიკური ერთეულები დასტურდება². მაგალითად:

¹ ხმაბაძვითი სიტყვების ფორმირებაში სონორების როლის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მათ შემოაქვთ მოქმედების დინამიკა (ასათიანი 1979:19).

² უნდა აღინიშნოს, რომ ერთი ანდაზის ფარგლებში დადასტურებულ ფონოსემანტიკურ ლექსემებში, რომლებიც ოპოზიციურ ცალეებს ქმნიან, დაპირისპირება შეიძლება გადმოცემული იყოს სანარმოთქმო ადგილის მიხედვით განსხვავებული ბგერების ხარჯზე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ყ და კ თანხმოვანთა ოპოზიცია შემდეგ ანდაზაში: ჩვენსას ყლაპე-ყლაპე, თქვენსას კაპე-კაპეო (ჯორჯანელი 2003:292). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „კაპე“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიცაა შესული და განმარტებულია ამგვარად: კაპე!

ქართული

(33) ცაცუნს კაკუნი მოჰყვებო (ჯორჯანელი 2003:295).

სვანური

(34) ადრწყიმ **ხტლიპ-ხტლიპს** ყიაჟი **ვლიფ-ვლიფ** ესერ ხწმთქუა „არაყის ყლაპვამ ყელიდან რწყევა იცისო“ (დავითიანი 1973:14)¹.

ბგერის ამა თუ იმ სიმბოლურ მნიშვნელობასა და ასოციაციებზე საუბარი შეიძლება არა მხოლოდ თანხმონების, არამედ ხმონების შემთხვევაშიც. მაგ., ცნობილია, რომ **ა**, როგორც ფართო ხმოვანი, დაკავშირებულია „დიდის“ იდეასთან, ხოლო **ი**, როგორც ვიწრო ხმოვანი, ქმნის „პატარას“ ასოციაციას და ა.შ. (გუდავა 1958; მელიქიშვილი 1999).

ქართველური ენების ანდაზებში ვხვდებით ხმიანობის აღმნიშვნელ საკუთრივ ხმაბაძვითა და ბგერწერით ლექსიკას, რომელთა პოვნეირება, გარდა ზემოთ განხილული მიზეზებისა, რითმისა და რიტმის შექმნითაცაა განპირობებული:

ქართული

(35) სადაც ფული **ჩხრიალებს**, იქ სიმართლე **ხრიალებსო** (<http://idioms.tsu.ge/?p=16999>).

(36) არ ჩხრეკენ ყვავთა **ჩხავილსა**, ბუკიოტისა **ბღვერასა** (ჯორჯანელი 2003:22).

(37) ბუზი ბევრი **ბზუისო**, მაგრამ ფუტკართან ყველა **ტყუისო** (იქვე:43).

(38) **ენატარტალა** – ხელებპატარა (იქვე:78).

ყლაპე-ს საპირისპიროდ ხმარებული სიტყვა (ანდაზაში); უდრის: «ლეჭე!» «ნელა ჭამე!» «ცოტა ჭამე!» (www.ena.ge).

¹ მართალია, ამ ანდაზაში წარმოდგენილი ფონოემანტიკური ლექსემები ყრუ მკვეთრი და ყრუ ფშვინვიერი ბგერების გარდა სხვა ბგერებითაც სხვაობენ, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ოპოზიციური წყვილის შექმნაში მთავარი მაინც მკვეთრი და ფშვინვიერი **პ ~ ფ** ბგერების დაპირისპირებაა.

მეგრული

(39) ალაყურტის ხოლო **ყირტუა** ოკონია „მსმელს (მელაპველს) ისევ სმა (ელაპვა) უნდაო“ (შეროზია, მემიშიში 1994:7).

(40) ვართი მოკო **ოხოხია**, ვართი იში **ბოხოხია** (იქვე:46) „არც „ოხოხია“ მინდა, არც მისი ბოხოხიაო“.

(41) **მაჭირჭინალი** ჯა დიდხანს **ჭირჭინუნსია** (იქვე:84) „მოჭრი-ჭინე ხე დიდხანს ჭრიჭინებსო“.

(42) მენძელი **ვახანია**, დიდი ხარკალია დო ჭიჭე „კამპანია“ „მასპინძელი ვახანია (გვარია), დიდი ფაცი-ფუცი (ხმაური) და ცოტა „კამპანია“ (იქვე:88).

(43) **სოლე-სომა** *სოდშა მეხოროხოშა* (იქვე:124). „საიდან სადაო, საით მიხოროხოცებ“¹.

ლაზური

(44) გელახთი **ღარღალაშა**, ელახთი *მაძღალაშა* „ჩადი სალაპარაკოში, ადი ფარღალალაში“ (შეროზია, მემიშიში 1994:206).

სვანური

(45) „**ჩიჷ-ჩიჷშჷ**“ ციცჷს ესერ იშნწრის ი „**ქჷთითი-ქჷთითიშჷ**“ – ჟალჷ „ციბუ-ციბუთი“ კატას იშინაურებენ და „ქუცი-ქუციითი“ – ძალლსაო“ (დავითიანი 1973:165).

ამდენად, ქართულ, მეგრულ, ლაზურ და სვანურ ანდაზებში ხმაბაძვითი და ფონოსემანტიკური ლექსიკა, რომლებშიც ვლინდება მჭიდრო კავშირი ბგერასა და მნიშვნელობას შორის, კონკრეტული დანიშნულებით გამოიყენება. ყველაზე ხშირად ბგერნერთი სიტყვები მოქმედების ინტენსიფიკაციას გამოხატავენ, მთლიანად კონტექსტს ექსპრესიულობას ანიჭებენ. ეს კარგად ჩანს ისეთ შემთხვევებში, როდესაც ნეიტრალური ფორმა და ექსპრესიულად აქტიური ფონოსემანტიკური ერთეულები გვერდიგვერდაა წარმოდგენილი. გარდა მნიშვნელობის გამაძლიე-

¹ აღნიშნული ანდაზის ეკვივალენტად გამომცემლებს მიუჩნევიათ „საიდან სადაო, წმინდაო საბაო!“

რებელი ფუნქციისა, ემპირიული მასალის ანალიზმა წარმოაჩინა, რომ ფონოსემანტიკური ლექსიკა ანდაზაში რითმისა და რიტმის მომწესრიგებლად გამოიყენება.

ცალკე მსჯელობის საგანია ფონოსემანტიკურ ლექსებთან გენდერის მიმართების საკითხი; სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ სხვა ფუნქციებთან ერთად, ბგერწერითა ერთეულებმა დამატებით შეითავსეს სქესის მიხედვით ადამიანების განსხვავებისა და მათი სხვადასხვაგვარად დახასიათების ფუნქცია. კერძოდ, იგულისხმება საუბრის, ქცევის, სიარულისა და ჭამა-სმის მანერები (ვრცლად იხ. გერსამია და სხვები, 2016:407-413). აღსანიშნავია, რომ ქართველურ ენათა ანდაზებში ასახული ფონოსემანტიკური ლექსიკა გენდერული სტერეოტიპების ასახვის თვალსაზრისითაც საყურადღებო მონაცემებს იძლევა. ქართულ, მეგრულ, ლაზურ და სვანურ პარემიებში გენდერული თვალსაზრისით საინტერესოა არა მხოლოდ საკუთრივ ხმაბაძვითი ლექსიკა, არამედ, ზოგადად, ის სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ქალისა და კაცის გენდერულად მარკირებულ მახასიათებლებზე, როლსა თუ ფუნქცია-მოვალეობებზე მიუთითებენ.

7. გენდერული სტერეოტიპების ასახვა ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ანდაზების ენაში

უკანასკნელ ხანებში გენდერული კვლევები აქტუალურია მეცნიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთათვის. გენდერულ თემატიკას იკვლევს როგორც საკუთრივ ლინგვისტიკა, ისე სოციოლინგვისტიკა, კულტუროლოგია, ანთროპოლოგია და სხვა მომიჯნავე დისციპლინები. მსოფლიოს ხალხთა ანდაზები განსხვავებულ კულტურებზე დაკვირვებისა და მათი ურთიერთშედარების საუკეთესო საშუალებაა. პარემიულ ერთეულებში წარმოდგენილი გენდერული ასპექტების წინ წამოწევა და მასზე ყურადღების გამახვილება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთ კულტურებზე საუბრისას, რომლებშიც გამოკვეთილად ჭარბობს მამაკაცური (resp. მასკულინური), ან ქალური (resp. ფემინური) ტენდენციები. ამა თუ იმ საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპების რეპრეზენტაციის მნიშვნელოვან საშუალებად შეიძლება ანდაზები მივიჩნიოთ, ვინაიდან სწორედ მათშია ასახული ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში ამ მიმართულებით დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება. პარემიებში თავმოყრილია ადამიანთა ის სიბრძნე და შეხედულებათა სისტემა, რომლებიც განსაზღვრავს კონკრეტული კულტურის ძირითად ბირთვს. ამგვარად, გენდერული თვალსაზრისით ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი გამოკვეთს ზოგად სურათს, რომელიც კონკრეტული საზოგადოების საერთო რწმენა-წარმოდგენებზე, მსოფლხედვასა და დამოკიდებულებებზეა აგებული.

სპეციალურ ლიტერატურაში გენდერი გათანაბრებულია სოციალურ სქესთან, რომელიც „ენაში წარმოაჩენს ქალისა და მამაკაცის მეტყველებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს. აქედან გამომდინარე, გენდერული ლინგვისტიკა სწავ-

ლობს ქალებისა და კაცებისათვის დამახასიათებელ სამეცხველო სტერეოტიპებს“ (ქურდაძე 2008:109). როგორც ქართულ, ისე ევროპულ სამეცნიერო სივრცეში დღეისთვის არაერთი ნაშრომია შექმნილი გენდერული სტერეოტიპების, ენისა და გენდერის ურთიერთმიმართების შესასწავლად და გამოსავლენად (Keener 1994; Bellis 1996; Agbemabiese 2005; ქურდაძე 2008; ოშიაძე 2010; ქურდაძე 2011; ოშიაძე 2014; Rasul 2015; Totibadze 2017; Zheng 2018). მიუხედავად ამისა, განსაკუთრებით ჩვენში, დღემდე არ არის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში სათანადოდ, ყველა შესაძლო ასპექტით, გამოკვლეული ქალისა და მამაკაცის სოციალური როლები, მათი გამოვლინებანი სხვადასხვა დონეზე, არსებული შეზღუდვები თუ პრიორიტეტები და ა.შ. ცნობილია, რომ მონათესავე ქართველურ ენებში სქესის გრამატიკული კატეგორია არ გამოიხატება და მდებდრობითისა და მამრობითის განმასხვავებელი რამდენიმე ლექსიკური ერთეული დასტურდება.

როგორც აქამდე არსებული კვლევები გვიჩვენებს, ამა თუ იმ ენაში ერთგვარ უნივერსალიადაც შეიძლება ჩაითვალოს განსხვავებული სქესის ადამიანების არათანაბრად, უთანასწოროდ წარმოდგენა, რასაც **გენდერულ ასიმეტრიას** უწოდებენ. ამ კუთხით საყურადღებოა შემდეგი ფაქტი: „მიჩნეულია, რომ სამყაროს სურათი ენაში მამაკაცის თვალსაზრისის მიხედვითაა დაფიქსირებული, ამიტომ ენა არა მარტო ანთროპოცენტრული, ე.ი. ადამიანზე ორიენტირებულია, არამედ ანდროცენტრული, ე.ი. მამაკაცზე ორიენტირებულიც. კერძოდ, ენა ქმნის მამაკაცის თვალსაზრისზე დამყარებულ სამყაროს სურათს, სადაც მამაკაცი სუბიექტია, რომლის პერსპექტივაა აშკარა; ხოლო ქალი ობიექტია, ის „სხვის“, „უცხოს“ როლში გამოდის, ან საერთოდ იგნორირებულია... ქართული ლიტერატურა და ფოლკლორი გენდერული ასიმეტრიისა და, საერთოდ, გენდერული

კუთხით კვლევისათვის მეტად სპეციფიკურ მიდგომას და მრავალი ფაქტორის გათვალისწინებას მოითხოვს“ (ქურდაძე 2011:77).

ენაში გენდერული ასიმეტრიის უნივერსალურობას ამტკიცებს ქართველურ ენათა ანდაზებიც. როგორც ზემოთაც აღინიშნა, საერთოქართველურ სივრცეში გენდერული თვალსაზრისით საინტერესო პარემიულ ერთეულთა უმრავლესობა სწორედ ანდროცენტრულ ტენდენციებს და, შესაბამისად, მამრობითი სქესის დომინანტურობას ავლენს, რასაც რამდენიმე ჯგუფად წარმოდგენილი მასალა ადასტურებს.

პირველ ჯგუფში ერთიანდება ანდაზები, რომლებშიც ჩანს მამრობითი სქესის წარმომადგენელთა უპირატესობა მდედრობითი სქესის წარმომადგენლებთან შედარებით. აქ ორი ქვეჯგუფი შეიძლება გამოიყოს:

(1ა). ანდაზები, რომლებშიც ხაზგასმულია მამაკაცის უპირატესობა ქალთან შედარებით:

ქართული

(1) ვაჟი სახლის ბურჯია, ქალი – სხვათა ლუკმაა

(<http://idioms.tsu.ge/?p=16609>).

(2) ცოლი ქმრის ფეხის ქალამანიაო

(<http://idioms.tsu.ge/?p=12732>).

ლაზური

(3) ბაბაში ნენა ნანაქ ვა გოგუაფს „მამის დარიგებას (ენას, სიტყვას) დედა არ გასწავლის“ (შეროზია, მემიშიში 1994:202).

სვანური

(4) სიმაქს მახელუწჷიმ ნასგურჷიოუტი ლახყალუნიუ „ქალიშვილს ვაჟკაცის ნაჯდომისაც შეეშინდესო“ (დავითიანი 1973:132).

(5) ფიშირ დინა ლაჭთაზრ ესერ ლი ი ფიშირ ნალუჟურ – ლაზიგარ „ბევრი ქალიშვილი სანყევარიო და მრავალი ვაჟი კი – დამსახლებელი“ (იქვე:144).

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ანდაზაში ქალის ან მამაკაცის დახასიათება ხდება სანინალმდეგო სქესის (რომელიც, ჩვენს შემთხვევაში, ერთგვარ საოპოზიციო ცალადაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ) დასახელების გარეშე, თუმცა, ასეთ შემთხვევებში განსხვავებული სქესის წარმომადგენელი ყველგან იგულისხმება. შესაბამისად, პირველი ჯგუფის მეორე ქვეჯგუფად გამოიყოფა:

(1ბ). ანდაზები, რომლებიც ქალის როლსა და სახეს დაკნინებულად წარმოგვიდგენენ და, შესაბამისად, ავლენენ მამაკაცის უპირატესობას, თუმცა ამ უკანასკნელის დასახელების გარეშე.¹

ქართული

(6) ქალის გაჩენაში ღმერთი არ ურევიაო

(<http://idioms.tsu.ge/?p=17206>).

(7) ქალი სხვისი საქონელიაო (ქართ. ანდ. I:133).

¹ უნდა ითქვას, რომ **(1ა)**-საგან განსხვავებით, **(1ბ)** ქვეჯგუფში შემავალი ანდაზები უფრო ხშირია ქართველურ ენებში. საინტერესოა ისიც, რომ მამაკაცის უპირატესობის ამსახველ ანდაზებში შესაძლოა დასახელებული არ იყოს მდებდრობითი სქესის წარმომადგენელი და მამრობით სქესს შექებით ეძლეოდეს უპირატესობა; მაგ., **მეგრ.:** ქომოლკოჩი ცუდეს ვარენ, კიდალეფი ინგარანია „მამაკაცი როცა სახლში არ არის, კედლები ტირიანო“ (შეროზია, მემიშიში 1994:144); **ლაზ.:** ბაბაში ნენაფეში ჟინ ოხთიმუ უნონ „მამის სიტყვებით (სიტყვებზე) უნდა იარო“ (შეროზია, მემიშიში 1994:202); **სვან.:** ქორლისგა ლელუჟმარიმ (ლუჟაჟმარემ) მენჩალ ესერი ხოჩა ლი „სახლისთვის მამაკაცის ჩრდილიც კარგიაო“ (დავითიანი 1973:152).

(8) ცხრა ქალის ჭკუა ერთ თხილის ნაჭუჭში ჩაიდება და კიდევ ადგილი დარჩებაო (ქართ. ანდ. II:214).

მეგრული

(9) ოსური შხვაში კებურიშ ტუტა რენია „ქალი სხვისი კერის ნა-
ცარიანო“ (შეროზია, მემიშიმი 1994:110).

(10) ოსურც გვერდი გიდელი ჭკუა უღუდუა დო ინა ხოლო თხაქ
უჭკომუა „ქალს ნახევარი გიდელი ჭკუა ჰქონდა და ისიც თხამ
შეუჭამაო“ (იქვე:112).

(11) ძლაბი მილარენი თი ცუდეს ოთხოლო კუნთხუს ონტუნია
„ქალიშვილი რომ ცხოვრობს იმ სახლში ოთხივე კუთხეს ცეც-
ხლი უკიდიაო“ (იქვე:171).

(12) ძლაბიში ერჩინას ღორონთი ვანოკათუნენია „ქალის გაჩე-
ნაში ღმერთი არ ურევიაო“ (იქვე:171).

ლაზური

(13) კულანიში ხე-ფორჩათი ბელა რენ „გოგოს ხელ-მკლავიც
შარია“ (შეროზია, მემიშიმი 1994:228).

(14) ოხორჯალეფემა კაპულა ვარ ნიდვენ „ქალებზე ზურგი არ
მიიდება“ (იქვე:247).

(15) ოხორჯას-და, მტკობაშა მუთუ-ნა გიღუტას, მო უწუმეთა
„ქალსაო, მალულად თუ რამ გაქვს, ნუ ეტყვითო“ (იქვე:247).

სვანური

(16) აშუ ნეზუიმ თელ ჩხარა ზურალს ესერ ოთგთალახ „ერთი
ნეზვის ჭკუა ცხრა ქალს გაუნანღებიაო“ (დავითიანი 1973:18).

(17) ქორთე ნამტეხუ ჰასტიშ მაშენ კაჩუქშუ ციცუტს ესერ ნასისგ
„სახლში დაბრუნებული ასული ყველაზე მეტად კერიის ქვეშ
მყოფ კატას სძულსო“ (იქვე:152).

(18) ხოლა ზურალ ნაჭულაშუდ ესერ დემ ნაჯემ „ცუდი ქალი
ურვადად არ ღირსო“ (იქვე:180).

საილუსტრაციოდ მოყვანილი ანდაზების უმრავლესობა შე-
საძლოა დღეს მოძველებული, აქტუალურობას მოკლებული

მოგვეჩვენოს და გამოყენების სიხშირის თვალსაზრისითაც არ გამოირჩეოდეს, რაც ბუნებრივია, თუმცა აღსანიშნავია, რომ მდებდრობითი სქესის ამგვარი სტერეოტიპული წარმოდგენა და მკვეთრად გამოხატული გენდერული ასიმეტრია არ არის მხოლოდ ქართველურ ენათა ანდაზებისთვის დამახასიათებელი. მაგალითად, ერთ-ერთი რაჯასტანული (Rajasthan – შტატი ინდოეთში) ანდაზა გვეუბნება: „When a girl is born, don't take care of her, she will grow like a cactus; when a boy is born, take good care of him, as you would with a rose tree“ (Rasul 2015:2). /როდესაც გოგონა დაიბადება, ნუ იზრუნებთ მასზე, ის კაქტუსივით გაიზრდება; როდესაც ბიჭი დაიბადება, გაუფრთხილდით მას, როგორც ვარდის ხეს/¹. ინგლისურ ენაში გვხვდება აგრეთვე მსგავსი შინაარსის გამომხატველი შემდეგი ანდაზები: i) Women are wacky, women are vain; they'd rather be pretty than have a good brain (Rasul 2015:3). /ქალები სულელები და ამპარტავნები არიან. მათ სილამაზე ურჩევნიათ ჭკუას;/ ii) Women in state affairs are like monkeys in glass-shops (Rasul 2015:6). /ქალები სახელმწიფო საქმეებში იგივეა, რაც მაიმუნები ვიტრინაში;/ iii) Women are the devil's nets (Rasul 2015:8). /ქალები ეშმაკის მახეები არიან/.

ამ კუთხით საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „რჩეული ქართული ანდაზების“ (2003) წინასიტყვაობაში კრებულის შემდგენელი კარლო ჯორჯანელი აღნიშნავს: „კრებულში ვერ მოხვდა აგრეთვე: «ქალის ჭკუა თხამ შეჭამა», «ქალს თმა გრძელი აქვს, ჭკუა მოკლე» და მსგავსი მოძველებული მორალის, აქტუალობადაკარგული ანდაზები“². ამგვარი შეფასება ჩვენთვისაც სავსებით გასაზიარებელია.

¹ თარგმანი ყველგან ჩვენია (გ. ჯ.).

² იხ. კ. ჯორჯანელი, რჩეული ქართული ანდაზები, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 2003.

ზემოთ წარმოდგენილის საპირისპიროდ, ქართველურ ენათა ანდაზებში გვხვდება სხვა ჯგუფი პარემიული ერთეულები-სა, რომლებიც გადმოგვცემენ მდედრობითი სქესის წარმომადგენლის უპირატესობას, მის ყოვლისშემძლეობას. აქაც პირობითად ორი ქვეჯგუფი შეიძლება გამოიყოს:

(IIა). ანდაზები, რომლებიც გადმოგვცემენ მდედრობითი სქესის წარმომადგენლის უპირატესობას, მის ყოვლისშემძლეობას მამაკაცთან შედარება-შეპირისპირების გზით:

ქართული

(19) ქალის აშენებული საყდარი ღმერთმა ვერ დაანგრია, კაცის აშენებული საყდარი ქალმა დაანგრიო

(<http://idioms.tsu.ge/?p=8916>).

(20) ქალის გაბედნიერებული კაცი ღმერთმა ვერ გააუბედურაო, ქალის გაუბედურებული კაცი ღმერთმა ვერ გააბედნიერაო (<http://idioms.tsu.ge/?p=15397>).

ლაზური

(21) ნანაშანტეში გიყონ-ნა, ბაბათი ბაბაშანტეში იყვენ „დედინაცვალი თუ გყავს, მამაც მამინაცვალი იქნება“ (შეროზია, მემიში 1994:240).

(IIბ). ანდაზები, რომლებიც ავლენენ ქალის უპირატესობას, მის ყოვლისშემძლეობას საპირისპირო სქესის დასახელების გარეშე:

ქართული

(22) ქალმა თუ გაინია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ველარ დააკავებსო (<http://idioms.tsu.ge/?p=10048>).

მეგრული

(23) ოსური ქოთი ქიდგოხორუანს დო ქოთი ერჭყვიდუნსია (შეროზია, მემიში 1994:110) „ცოლი (ქალი) კიდევ დაგასახლებს და კიდევ დაგაქცევსო“.

(24) ჯგირი ოსური ეკოცემილ ოჯახის აშენენსია დო გლახა – აშენებულს გეკარღვანსია „კარგი ქალი დარღვეულ ოჯახს ააშენებსო და ცუდი – აშენებულს დაარღვევსო“ (იქვე:189).

(25) ჯგირი ოსურიში მენდულს შარას ორზოლი ვაკონია „კარგი ცოლის მოიმედეს გზაში საგზალი არ უნდაო“ (იქვე:190).

ლაზური

(26) ნოსეი ნანამ ბერეფე ნოსეი იყვენან-მა „ჭკვიანი დედის შვილები ჭკვიანები იქნებიანო“ (შეროზია, მემიშიში 1994:242).

სვანური

(27) დინაგეზალ მეზგემ ესერ მჭრენი ლი „ქალიშვილი ოჯახის მაკავშირებელიაო, ოჯახის მოყვრად მომკიდებელიაო“ (დავითიანი 1973:33).

(28) ზურალ ისგ' ათემუტი, ეჯი კოჯ ესერი ჩუ კეშნი „ქალი რომ შეენტება, ის კლდეც გატყდებაო“ (იქვე:40).

(29) მეზგემ უელთე მჭდე ქორაშ ზურალ ესერ ლი „ოჯახის სახელის გამთქმელი სახლის დედაკაციაო“ (იქვე:88).

მოყვანილი ემპირიული მასალის ფონზე საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს ქართველურ ენათა პარემიების კიდევ ერთი ჯგუფი:

III. ანდაზები, რომლებშიც მამრობითი და მდედრობითი სქესის წარმომადგენლები პოზიტიურად არიან წარმოჩენილი, რაც, ზემოგანხილული ნიმუშებისგან განსხვავებით, გენდერულ ასიმეტრიას არღვევს.¹

ქართული

(30) დედაკაცი ღრმად იხედება, მამაკაცი ვრცლადაო (ჯორჯანელი 2003:69).

¹ წინა ჯგუფებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ქვეჯგუფების გამოყოფა ვერ ხერხდება, რადგან ვფიქრობთ, რომ მოყვანილ ანდაზებში ორივე სქესის წარმომადგენლის ხსენება არსებით დატვირთვას იძენს.

(31) ვაჟიშვილი ოჯახის საყრდენია, ქალიშვილი სიმშვენე (იქვე:92).

(32) მამაკაცისათვის ქვეყანა გულია, დედაკაცისთვის კი გული - ქვეყანააო (იქვე:161).

სვანური

(33) დინა ი ნალტუჟურ ექერდ' ესერ გეზალ ლიხ „გოგო და ვაჟი ორივე შვილიაო“ (დავითიანი 1973:34).

(34) დახტემ ნსსგიდტუ ჭაშტუ ესერ ხეთრა, ჭაშტემ – დახტუ „ცოლი-საგან მოვლა ქმარს ეტყობაო, ქმრისა კი – ცოლსაო“ (იქვე:121).

ქართველურ ენათა ანდაზებში ცალკე უნდა გამოიყოს კიდევ ერთი ჯგუფი:

IV. ანდაზები, რომლებშიც მდებრობითი და // ან მამრობითი სქესის წარმომადგენლები დახასიათებულია მათი ძირითადი საქმიანობისა თუ ხასიათის ნიშან-თვისებათა მიხედვით:

ქართული

(35) ქალი – მორცხვი, ვაჟი – ხასი: ორივენი ქვეყნის ფასი (ქართ. ანდ. I:133).

(36) ტირილი ქალის საქმეა, გაძლება – ვაჟკაცისაო (<http://idioms.tsu.ge/?p=17112>).

(37) მორცხვი ქალი ერთ ქალაქად, მორცხვი კაცი – ერთ ქალამნადო (<http://idioms.tsu.ge/?p=9210>).

მეგრული

(38) ოსურკოჩიში იარალი კიჟინი (ჩილამური) რენია „ქალის (დედაკაცის) იარალი კივილი (ცრემლი) არისო“ (შეროზია, მემიში 1994:111).

(39) ქომოლკოს დუდიში ცქვაფა ვაუჯორსია „ვაჟკაცს თავის ქება არ უყვარსო“ (იქვე:144).

ლაზური

(40) ქიმოლი კოჩის თი ომცქუ ვარ უჩქინ „ვაჟკაცმა კაცმა თავის ქება არ იცის“ (შეროზია, მემიშიში 1994:255).

სვანური

(41) ლაკუტცანი ესერ ზურალს ხესგუიუ, ფაყუ – ლუაჟმარა „თავსაფარი ქალს შვენისო, ქუდი კი – მამაკაცსო“ (დავითიანი 1973:49).

(42) ლანან ესერ – ქორწი ბუას, ჯარ ი კიბდენ – ქორწი დიას „საბძელი – სახლის მამასო, გობ-კიდობანი – სახლის დედასო“ (იქვე:50).

(43) ლაფცხირ ესერ – ზურალს ი მერჩილ – ლუაჟმარა „ფოცხი – დედაკაცს და ცელი – მამაკაცსო“ (იქვე:51).

(44) ლენნიშ ესერ ლუაჟმარემ ნამურჯუი ლი ი ლუარჩინ – ზურალწი „გუთანი მამაკაცის საქმეა და ფქვილის ასაღები – ქალი-სო“ (იქვე:155).

როდესაც ამა თუ იმ ენის პარემიულ ფონდში ასახულ გენდერულ სტერეოტიპებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ წარმოდგენა, თითქოს ქალი მხოლოდ სილამაზესთან, სინაზესთან და მსგავს თვისებებთან, ხოლო მამაკაცი ძლიერებასთან, ინტელიგენტურობასთან ასოცირდება, არა მხოლოდ ქართულ, მეგრულ, ლაზურ და სვანურ, არამედ უცხო ენათა ანდაზებშიც ცოცხლობს, რაც ტიპოლოგიური თვალსაზრისით საყურადღებო მოვლენაა. მაგალითად: *More beauty than a peacock, but the intelligence of a block of wood* (Mongolian) /ფარშევანგზე მეტი სილამაზე, მაგრამ ხის კუნძის ჭკუა¹; *A doll's head and an empty brain* (Polish) /თოჯინის თავი და ცარიელი ტვინი/; *The more women look in their glass the less they look to*

¹ თარგმანი ყველგან ჩვენია (გ. ჯ.).

their house /რაც უფრო მეტად იყურება ქალი სარკეში, მით ნაკლებად უვლის იგი სახლს/ (Rasul 2015:3-5).

ამდენად, როგორც სათანადო ემპირიული მასალის კლასიფიკაციამ და ანალიზმა დაგვარწმუნა, ქართველურ ენათა პარემიულ ფონდში ასახული გენდერული სტერეოტიპები არ არის მხოლოდ ანდროცენტრული ტენდენციების გამოხატველი. პარემიულ ერთეულებში დაფიქსირებული გენდერული ასიმეტრიის პარალელურად ვხვდებით გენდერული გათანაბრების ტენდენციას. ასეთ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება როდის, რა მიზნით შეიქმნა ესა თუ ის ანდაზა, რამდენად გავრცელდა და დამკვიდრდა იგი ხალხში, რა სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი უდევს მის წარმოშობას და ა.შ.¹

ანდაზების ხალხურობა, მისი საყოველთაოდ გავრცელებულობა და სხვა არსებითი მახასიათებლები მნიშვნელოვნად განაპირობებს იმასაც, რომ პარემიულ ერთეულებს საკმაოდ დიდი გამოყენება აქვთ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, ანდაზებს გამორჩეული ადგილი უჭირავთ პოლიტიკურ დისკურსშიც.

¹ ამ კონტექსტში საყურადღებოა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, „ქალისა და მამაკაცის გენდერული განსხვავებულობის სოციალური საფუძველი თავდაპირველად ბიჭისა და გოგოს განსხვავებული აღზრდის წესში ვლინდება, ხოლო შემდეგ მამაკაცის გარე, მძიმე ფიზიკური შრომითა და ქალის საოჯახო საქმიანობით განისაზღვრება. ფაქტობრივად ეს სოციალური საფუძველი განაპირობებს მამაკაცის გენდერულ დომინირებას“ (ქურდაძე 2008:110).

8. ანდაზების როლი ქართულ პოლიტიკურ დისკურსში

დისკურსის აქამდე არსებული განმარტებები არაერთგვაროვანია. ხშირად დისკურსს ტექსტის სინონიმად ან ტექსტისა და ინტერტექსტის ერთიანობად მიიჩნევენ: „დისკურსად გაიგება ყოველგვარი გაბმული ტექსტი, გადმოცემული (ფიქსირებული) ქალაღზე, ნაწერსა თუ ინფორმაციის მატარებელ ელექტრონულ ფაილში ან ცოცხალი მეტყველება, მისი ყველა სპეციფიკური ელემენტით ე.წ. ექსტრალინგვისტურ ფაქტორებთან ერთიანობაში“ (მსახურაძე 2013:17). დისკურსის დეფინიციისას ერთმანეთისგან განასხვავებენ ამ უკანასკნელის ფართო და ვიწრო გაგებას¹. ფართო გაგებით, დისკურსი არის „ყველაფერი, რაც ითქმება და იწერება, ანუ როგორც სამეტყველო ქმედება, რომელიც იმავე დროს წარმოადგენს ენობრივ მასალასაც ბგერითი თუ გრაფიკული გამოხატვით. ტექსტი კი (ვიწრო მნიშვნელობით) გაგებულა, როგორც წერის მეშვეობით ფიქსირებული მასალა“ (ომიაძე 2009:24). ჩვენთვის საინტერესო პოლიტიკური დისკურსი განიხილება როგორც პროფესიონალი პოლიტიკოსის ან პოლიტიკური ინსტიტუციის (პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის სხვა წევრების, პარლამენტის ან პოლიტიკური პარტიების) მიერ დაწერილი ან წარმოთქმული ტექსტი როგორც ლოკალურ, ისე ნაციონალურ და ინტერნაციონალურ დონეებზე (Dijk 1997:12). პოლიტიკურ დისკურსში ერთიანდება პოლიტიკური პარტიების პროგრამები, სხვადასხვა სახის დებატები, პოლიტიკოსთა გამოსვლები, ინტერვიუები ამა თუ იმ აქტუალურ თემაზე და ა.შ.

¹ აღნიშნული საკითხის შესახებ ვრცლად იხ. ს. ომიაძე, ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა 2009:18-32.

პოლიტიკურ დისკურსში, როგორც კონკრეტული მიზნით წარმართულ საკომუნიკაციო აქტში, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მიზნის მიღწევის ენობრივი და გარეენობრივი საშუალებები. უმეტესად მსმენელის დარწმუნებასა და მასებზე ზემოქმედებისკენ მიმართული პოლიტიკური დისკურსი ექსპლიციტურად თუ იმპლიციტურად მკვეთრად მარკირებულია, რადგან მისი ავტორი პოლიტიკოსი, ერთი მხრივ, ცდილობს საკუთარი თავი ელექტორატთან იდეოლოგიურად ახლოს მყოფად წარმოაჩინოს, ხოლო მეორე მხრივ – საკუთარი კომპეტენტურობის ხაზგასასმელად და მსმენელის ნდობის მოსაპოვებლად გარკვეული დისტანცირებაც მოახდინოს მათგან. მაშასადამე, „პოლიტიკური ლიდერის დისკურსი თანადროულად როგორც მოსახლეობასთან იდენტიფიკაციას, ასევე მასთან დისტანციურობას უნდა გამოხატავდეს“ (ადეიშვილი 2013:54-55). პოლიტიკოსმა, ამ ერთგვარად ურთიერთსაპირისპირო გზით, უნდა შეძლოს განსხვავებული ასაკის, სქესის, ეთნოსის, რელიგიისა და შეხედულებების მქონე ადამიანებზე ეფექტური ზემოქმედება. ამდენად, სემანტიკური და პრაგმატიკული ასპექტები ერთობლივად აყალიბებს პოლიტიკური დისკურსის არგუმენტაციულ სტრუქტურას, ხოლო ამ უკანასკნელში გარკვეულ როლს ანდაზებიც თამაშობს.

პარემიებს, თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, პოლიტიკური დისკურსის, როგორც ტექსტის ან მეტყველების ფორმაში წარმოქმნილი საკომუნიკაციო აქტის ფორმირებაში, არგუმენტაციული ტექნიკებისა და სტრატეგიების შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ (Gándara 2004; Mieder 2009; Orwenjo 2009; Rusieshvili 2011; მსახურაძე 2013; Glonti 2020). უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანთა დისკურსი ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც სტრუქტურის, ისე შინაარსისა და მიზნის თვალსაზრისით. ამგვარ დისკურსულ გან-

სხვაგვებზე უდიდეს გავლენას ახდენს აგრეთვე ელექტორატი ანუ საზოგადოების ის ნაწილი, რომლისთვისაც არის გამიზნული კონკრეტული დისკურსი; ამიტომ ნებისმიერი პროფესიული დისკურსის და, მით უფრო, – პოლიტიკური დისკურსის კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს, ისეთებს, როგორიცაა მოსაუბრისა და მსმენელის ფონური ცოდნა, საერთო კულტურული სივრცე, ერის იდეოლოგია, კონკრეტული დრო-სივრცული მოცემულობა და სხვ. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური დისკურსის შესწავლა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ტექსტისა და მეტყველების სტრუქტურული თავისებურებებით. საჭიროა აგრეთვე კონტექსტის გათვალისწინება და დისკურსულ სტრუქტურებთან მისი მიმართებების წარმოჩენა (Dijk 1997:15).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დისკურსის კვლევა აქტუალურია როგორც საკუთრივ ლინგვისტიკისთვის, ისე – სხვა ჰუმანიტარული დარგებისთვისაც, ვინაიდან დისკურსანალიზი გულისხმობს ინტერდისციპლინურ მეცნიერულ სფეროს და ენათმეცნიერებასთან ერთად მოითხოვს კვლევაში ლიტერატურათმცოდნეობის, პოლიტოლოგიის, ფსიქოლოგიის, ისტორიის, სოციოლოგიისა და სხვა სამეცნიერო დისციპლინათა ჩართვას. როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკური დისკურსის სტრუქტურასა და შინაარსს ლინგვისტურთან ერთად ექსტრალინგვისტური ფაქტორებიც განსაზღვრავს, თუმცა ამა თუ იმ პოლიტიკოსის მეტყველებისთვის დამახასიათებელი ენობრივი ქსოვილი სწორედ ის უმთავრესი მასალაა, რითაც იგი საკუთარ გამოსვლებს აგებს, ცდილობს მიაღწიოს დასახულ მიზანს და მიიმხროს, რაც შეიძლება მეტი ადამიანი. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკური დისკურსი უპირველესად ლინგვისტიკის საკვლევი ფენომენია, ვინაიდან „სწორედ ლინგვისტური ხერხებისა და ჩარჩოების საშუალებით პოლიტიკოსები ცდილობენ სასურველი მიზნების მიღწევას“ (გაგოშიძე 2016:9).

როგორც ემპირიული მასალის ანალიზმა ცხადყო, პოლიტიკური დისკურსის არგუმენტაციულ სტრუქტურაში მსმენელების დარწმუნების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად გვევლინება გამორჩეულად მაღალი მეტაფორულობის მქონე ისეთი უნივერსალური ენობრივი ერთეული, როგორიცაა ანდაზა¹. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ ანდაზებში ასახულია ეროვნული კულტურის მრავალფეროვნება, ერის მენტალიტეტი, მისი სპეციფიკურობა; შესაბამისად, პარემია არამარტო აზრის მხატვრულად გამოხატვას ემსახურება, არამედ მასში მოცემულია ხალხის ისტორია, გამოცდილება, მსოფლხედვა და ა.შ. პოლიტიკოსთა მეტყველებაში ზოგადი სიბრძნის მატარებელი ანდაზების გამოყენებას კონკრეტული დანიშნულება აქვს: საკუთარ დისკურსში ანდაზის გამოყენებით ერუდიციის ხაზგასმასთან ერთად პოლიტიკოსი ცდილობს ადრესატს აგრძნობინოს, რომ მათ საერთო ინტერესი და ღირებულებათა სისტემა აქვთ. იმის გამო, რომ ანდაზას ამა თუ იმ ხალხის ყოველდღიურ ყოფაში ღრმად აქვს ფესვები გადგმული და ადამიანთა უშუალო დაკვირვებას, მათ გამოცდილებას ემყარება, იგი ძლიერ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე; ამიტომ, იმ დროს, როდესაც პოლიტიკოსი საკუთარ დისკურსში ანდაზებს იყენებს, ფაქტობრივად, ხალხს მათივე ენით ესაუბრება. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ, ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან (<http://gnc.gov.ge/gnc/page>) და სხვა ელექტრონული რესურსიდან რამდენიმე მაგალითის დამონშეებაც საკმარისი იქნება (**სტილი და პუნქტუაცია ყველგან დაცულია**):

(1) ჩვენ ბრალს გვდებენ, თითქოს სახელმწიფო საბჭოს ტანკებს ვანოდებდით, რათა მას წესრიგი დაემყარებინა დასავლეთ სა-

¹ ჩვენი დაკვირვებით, ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა სადავო იყოს, პოლიტიკოსის მიერ მოხმობილი ანდაზა ესადაგება თუ არა კონტექსტს, თუმცა მსგავს შემთხვევებს ამ ეტაპზე არ განვიხილავთ.

ქართველოში, და უცებ ეს ტანკები, ტ-72-ები, აღმოჩნდნენ სამხრეთ ოსეთში, როგორ მოხდა ეს? ერთი სიტყვით, ერთი ჩვენებური ანდაზისა არ იყოს, **ქურდი დღეში სამჯერ გამოტყდებაო** (<http://gnc.gov.ge>).

(2) ჩვენ ასდღიანი შესვენება, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის წესები ითვალისწინებს, გავაკეთეთ, და ვაცალეთ ახალ მთავრობას, შეესრულებინა დაპირებების თუნდაც მცირედი პროცენტი. ახლა მე უყურებდი დებატებს და გამახსენდა ჩვენი ბრძენი ხალხის შესანიშნავი ანდაზა – **ცოლ-ქმრის ჩხუბი რევენს მართალი ეგონაო...** ერთმანეთს ედავებოდა ერთიანი პოლიტიკური ჯგუფი (<http://gnc.gov.ge>).

(3) ნუხელ რუსთავი2-მა კვლავ გამოგვიცხადა ბარიერგადალახულად 4 ე.წ პოლიტიკური პარტია რომელთა, მინიმუმ ნახევარს, ამომრჩეველი როგორც ასეთი საერთოდ არ გააჩნია და არც არასოდეს ყოლია. გამახსენდა ბრძნული ქართული ანდაზა „**არ გათეთრდების ყორანი რაც უნდა ხეხო ქვიშითა**“ (<http://gnc.gov.ge>).

(4) მე ვიცი, რომ ბევრი საყვედური გაისმის ჩემს მიმართ, კანონიერი ხელისუფლების მიმართ თვით ჩვენს მომხრეებშიც, რომ ამ დრომდე არ ავლაგმეთ თურმე ეს ბანდები და დავუშვი ამ მოღალატური ხელისუფლების დამყარება საქართველოში. მეგობრებო, **მარტო კაცი ქამაშიაც ბრალიაო** – ქართული ანდაზაა. ფაქტობრივად, მე დამტოვეს მარტო. გაიხსენეთ ჩემი მონოდებები დეკემბრის პუტჩის წინ. მიტინგზეც აღარ მოდიოდა ხალხი (<http://gnc.gov.ge>).

(5) თუმცა მაინც ვერ ჩავთვლი ვერც (...) ¹ და ვერც მის პარტიას პრორუსულად. იმ პარტიას კი, რომელიც მას უტევს, მაგრამ აშშ-ზე უარს ამბობს და ნატოს აკრიტიკებს, ვერ დავარქმევ პროდასავლურს. ასეთი ბრალდებები მაგონებს ქართულ ანდაზას, **გალმით შეედავე და გამოლმა შეგჩებაო**. ამას აჯობებს გავიგოთ, რას აპირებენ ეს პარტიები „ქარბორბალების“ მოწყობის შემდგომ, რას გააკეთებენ. ჯობს ამაზე იფიქრონ, ვიდრე ხალხის ქუჩაში გამოყვანასა და რევოლუციაზე (<https://kvispalitra.ge>).

(6) ქართული ანდაზაა, **„კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო“**. საქართველოში, სამწუხაროდ, ბოლო პერიოდის განმავლობაში ეს ანდაზა არ მუშაობს. ათასჯერ გვითხრეს ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა... საქართველოს არ აქვს შანსი ნატოში გაწევრიანების, რა ენაზე უნდა გვითხრან მეტი. ინგლისურად გვითხრეს, ფრანგულად გვითხრეს, გერმანულად გვითხრეს, ამდენი ხანია მე ქართულად ვამბობ ამას, კიდევ რა ენაზე უნდა გვითხრან? (<https://www.timer.ge>).

ნათელია, რომ ხალხური სიბრძნის მოშველიების კვალდაკვალ, პოლიტიკოსის მხრიდან ხალხთან სიახლოვის ხაზგასმითა და საკუთარი თავის მის ნაწილად მოაზრებით, ისეთ კონცეპტებზე აპელირებით, როგორებიცაა „ქართული“, „ჩვენებური“ და სხვა (**„ერთი ჩვენებური ანდაზისა არ იყოს.“; „ჩვენი ბრძენი ხალხის შესანიშნავი ანდაზა...“**), იგი ცდილობს მეტი დამაჯერებლობა შესძინოს ნათქვამს. ექსპლიციტურად იმის საგანგებო აღნიშვნა, რომ ესა თუ ის თვალსაზრისი მხოლოდ ერთ კონკრეტულ პიროვნებას არ ეკუთვნის, არამედ გამყარებულია

¹ ვინაიდან მოყვანილ კონტექსტებში კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის იდენტიფიცირება ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს, აქაც და ქვემოთაც, აღნიშნული პოლიტიკოსების სახელები და/ან გვარები ჩანაცვლებულია ფრჩხილებში ჩასმული სამწერტილით.

სხვათა მოსაზრებებითაც, საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად საუკეთესო გზაა. გარდა საკუთარ შეხედულებათა მნიშვნელობის წარმოჩენისა, წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, რომ პოლიტიკოსი ანდაზას მონინალმდეგეთა შეხედულებების ნეგატიურად წარმოჩენისთვის და ამ შეხედულებათა მნიშვნელობის გაფერმკრთალებისთვისაც იყენებს. აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ დისკურსში ანდაზის გამოყენება ხშირად ხელს უწყობს პოლიტიკური მონინალმდეგის დისკრედიტაციას და მთქმელის პოზიციების გამყარებას. მონინალმდეგის დისკრედიტაცია, რომელიც პოლიტკორექტულობის ფარგლებს არ სცდება, ერთ-ერთი წარმართველი არგუმენტაციული ტექნიკაა. იგი პოლიტიკური მონინალმდეგის მოსაზრებათა გაბათილებას, ოპონენტის იდეების სისუსტის არგუმენტაციასა და საკუთარი უპირატესობების ხაზგასმას ემსახურება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ პოლიტიკურ დისკურსში პოლიტიკური ოპონენტის მისამართით გამოთქმულ განსაკუთრებულად მძაფრ განცხადებებსაც ვხვდებით. პოლიტიკოსები მკაცრი და კრიტიკული ტონით ამჟღავნებენ საკუთარ უარყოფით, ხშირად სატირულ-იუმორისტულ დამოკიდებულებას მათი ოპონენტების, ცალკეული პოლიტიკოსების მიმართ, გამოირჩევიან მკვეთრად ნეგატიური ლექსიკით. ამ კონტექსტში გამოყენებული ანდაზა, რომელსაც მთქმელი საგანგებოდ არჩევს, კიდევ უფრო მეტ სიმძაფრესა და, ამავდროულად, მეტაფორულობას სძენს ნათქვამს:

(7) „ნაცმოდრაობა“ განგაშის ზარებს არისხებს, პერმანენტული აქციებისთვის ქუდზე კაცს ითხოვს და იმუქრება, რომ ცივ შემოდგომას პოლიტიკურ ცეცხლს შეუთებებს, რომ... რუსთაველზე „მაიდანია“ არაა გამორიცხული. აკი, „თბილისობას“, „რუსთავი 2“-ის ეთერში, (...) ღიადაც განაცხადა, რომ 2016 წლის არჩევნებს აღარ დაელოდება. მოკლედ, „შავი პრინცი“ მორიგ რე-

ვოლუციას გეგმავს! ქართული ანდაზა გვასწავლის: **„გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასაო“**, მაგრამ პოლიტიკაში უკვე იმდენი გიჟი გვყავდა, რომ დავიღალეთ (<https://for.ge>).

პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული ანდაზა ზოგჯერ მთქმელის ინტერპრეტაციით და, მაშასადამე, გარკვეული სახეცვლილებითაც გვხვდება. ტრადიციული ანდაზის გარდაქმნის მიზეზი შეიძლება იყოს შემთხვევითობა // უნებლიობა // ანდაზის ზუსტი ფორმულირების არცოდნა. ამ კუთხით საინტერესოა შემდეგი მაგალითის განხილვა:

(8) მთავრობა ბიუჯეტის შევსებისა, თუ განკარგვის საკითხებს ცალმხრივად განიხილავს და ამას მოჰყვება სწორედ ის, რომ ბიუჯეტის გადახედვისას იმ ციფრების იქით ... აა.. შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ ქართული ანდაზა: **„შინ, რომ ბავშვი გიტროდეს, გარეთ ტაბლას რას უნდა ... რა უნდაო“** სწორედ ამაზეა მორგებული (<http://gnc.gov.ge>).

პოლიტიკოსის მიერ დამონმებული ანდაზა სინამდვილეში ასეთია: „*შინ რომ ყმანვილსა შიოდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო*“, თუმცა საინტერესოა, რომ ამგვარი მცირედი უზუსტობები ხელს არ უშლის პოლიტიკურ ფიგურას მიზნის მიღწევაში და მისი ელექტორატი, რომლისთვისაც ეს ანდაზა მშობლიური და კარგად ნაცნობია, სწორად ამოიცნობს მთქმელის პოზიციასა და ჩანაფიქრს. ანდაზის გავრცელებულობა და საყოველთაოობა განაპირობებს იმასაც, რომ პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული პარემია ეფექტურია მაშინაც, როდესაც ეს უკანასკნელი მთქმელის მიერ ნაწილობრივ შეკვეცილია:

(9) ეს არის ჩემი მარტივი დასკვნა. ეს არის მათი შიდა ომი და კიდევ უამრავი კომპრომატი და თავზე ლაფის დასხმა იქნება როგორც ერთის, ასევე მეორე მხრიდან. (...) ისევ ქველმოქმედებით ამართლებს (...) იმ ყველა დანაშაულს, რაც მან ჩაიდინა ამ 9

ნლის განმავლობაში. მოკლედ, როგორც ქართული ანდაზა იტყვის, „**არა შეჯდა მწყერი ხესაო**“ (<https://frontnews.eu>).

ნათელია, რომ მოყვანილ კონტექსტში ანდაზის მეორე ნაწილი („...**არა იყო გვარი მისი**“) დაკარგულია, თუმცა ეს არ ქმნის პრობლემას, რადგან პოლიტიკურ დისკურსში ცნობილი და გავრცელებული ტრადიციული ანდაზების გამიზნული თუ უნებლიე სახეცვლით გამოყენება არ აბუნდოვანებს ნათქვამს და არ უშლის ხელს მიზნის მიღწევას. ამის დასტურია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პარემიის ტრანსფორმაცია პოლიტიკოსის მხრიდან შეგნებულად ხდება. დავაკვირდეთ ქვემოთ მოყვანილ კონტექსტებს, რომლებშიც, ვფიქრობთ, რომ არსებითად სწორედ ზემოხსენებული შემთხვევა გვაქვს:

(10) დიდი სახელმწიფოები შეთახმდენ და ქვეყანა გაინაწილეს. და რომ ეს განაწილება მისაღებათ გამოეტანათ, მას სახელი გამოუცვალეს, დაპყრობის და ანექსიის მაგიერ დაარქვეს გავლენის სფერო. ამით ვითომ მშვიდობიანობა დამყარდა. ნათქვამია: **კაცი ბჭობდა, ეშმაკი იცინოდაო**. ამ ეშმაკის როლს ასრულებს იგივე იმპერიალიზმი, იგივე ნაციონალიზმი, რომელიც თავის საზღვრებში ვერ ისვენებს, არ ისვენებს და მუდამ ხელის მოსათბობს ეძებს (<http://gnc.gov.ge>).

(11) მიუხედავად იმისა, რომ არაფერზე არ ნერვიულობენ ძალაუფლების დაბრუნების გარდა და კარგად იციან, რომ არჩევნებით ვერ დაბრუნდებიან და ყველაფერს აკეთებენ, რომ ქვეყანა როგორ აურიონ. ასეთი ქართული ანდაზა, არის, – **„მღვრიე წყალში თევზი დავიჭიროო“** აი, ასე არიან ისინი, იქნებ ამ არეულობის დროს რაღაცას გამოჰკრან ხელი. ეს არის მათი მიზანი პარლამენტს გარეთ და შიგნითაც (<https://gtmedia.ge>).

ქართულში ცნობილი და გავრცელებულია ანდაზა „**კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო**“, თუმცა მოყვანილ მაგალითში (10) ამ ანდაზის ტრადიციულისაგან განსხვავებულ ვარიანტს

ვხვდებით. ვფიქრობთ, რომ **ღმერთის** ჩანაცვლება **ეშმაკით** შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს. კერძოდ, მთქმელის კონკრეტულ მოტივაციას განსაზღვრავს ის, რომ „ეშმაკი“ ამ კონტექსტში მიემართება მტერს, მონინალმდეგეს და სწორედ ამ უარყოფითი კონოტაციის მქონე სიტყვით აღინიშნა იგი. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ანდაზის რეინტერპრეტირების გამო მეტ-ნაკლებად დაიწრდილა მისი მთავარი იდეა, მორალი, თუმცა დიდად არც ამას შეუშლია ხელი პოლიტიკოსისთვის უმთავრესი მიზნის მიღწევაში. რაც შეეხება შემდგომ მაგალითს (11), აქაც მთქმელი ცდილობს ცნობილი ქართული პარემია (**„მღვრიე ნყალში თევზი ადვილად დაიჭირებაო“**) ისე მინიმალურად შეცვალოს და მოარგოს კონტექსტს, რომ ანდაზით გადმოცემული მთავარი აზრი ყველასთვის გასაგები იყოს.

ამდენად, ქართული პოლიტიკური დისკურსის არგუმენტაციული სტრუქტურის ანალიზი თვალნათლივ წარმოაჩენს, რომ პოლიტიკოსების მეტყველებაში ანდაზების გამოყენება განპირობებულია, ერთი მხრივ, ზოგადად პოლიტიკური დისკურსის, როგორც დისკურსის ერთ-ერთი ჟანრის, მახასიათებელთა ერთიანობით, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთრივ ანდაზის მეტაფორული ბუნებით. ჩვენი დაკვირვებით, პოლიტიკურ გამოსვლებში ანდაზების გამოყენების უმთავრესი მოტივი სწორედ პარემიების ალეგორიული და მეტაფორული ხასიათია¹. გარდა ზე-

¹ როგორც ცნობილია, ამა თუ იმ ენაში არსებული კოგნიტური მეტაფორები უპირველესად ერის ცნობიერებით, ღირებულებათა სისტემით, სოციალურ-კულტურული თავისებურებებით იკვებება, ხოლო ანდაზები, როგორც კულტურულად მარკირებული ერთეულები, მეტაფორულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან (კირვალიძე 2009). პოლიტიკური დისკურსის მეტაფორულობის ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია ის არის, რომ პოლიტიკოსი ხშირად ცდილობს საკუთარი სათქმელი ადრესატს არა პირდაპირ და უშუალოდ, არამედ შეფარვით,

მოქმედებისა, პოლიტიკურ დისკურსში ანდაზების პოვნეირებას განსაზღვრავს აგრეთვე მეტყველის მიზანი, აუდიტორიის ფონური ცოდნა და სხვა. სათანადო ემპირიულ მასალაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ პოლიტიკოსის მიერ პარემიული ერთეულების გამოყენება ძირითადად ემსახურება არსებული პოლიტიკური სიტუაციის დრამატიზებას, პოლიტიკური მონინააღმდეგის ნეგატიურად წარმოჩენას, მის დისკრედიტაციას და ამ გზით საზოგადოების მიმხრობას, საკუთარი უპირატესობის ხაზგასმას.

პოლიტიკოსის მხრიდან კონკრეტული ანდაზის გამოყენების გზით, მისი პოლიტიკური დისკურსი ელექტორატზე მკვეთრად ორიენტირებული და დასამახსოვრებელი ხდება. ამასთანავე, ანდაზის ხალხურობა პოლიტიკოსს საშუალებას აძლევს საკუთარ გამოსვლაში ყველაზე დიდი ავტორიტეტი – ხალხი დაიმონოს. ამ გზით ერთგვარად პასუხისმგებლობის გადანაწილება ხდება, რადგან პოლიტიკოსი საუბრობს არა მხოლოდ საკუთარ ორიგინალურ შეხედულებებზე, არამედ ხალხის ენით, ამ უკანასკნელის სიბრძნის მოხმობით ცდილობს სხვათა დარწმუნებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ანდაზის საშუალებით სათქმელის მეტაფორიზაცია პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელი არგუმენტაციული ტექნიკის ერთ-ერთი სახეა, რომელიც აუდიტორიაზე ზემოქმედების მაღალი ხარისხით ხასიათდება.

შესაბამისი ქვეტექსტებით მიაწოდოს. ამავე კონტექსტში საინტერესოა, რომ, „პოლიტიკური დისკურსი სხარტად იყენებს და ითვალისწინებს ადამიანის გონებრივ ისეთ ძირითად მონაცემებს, როგორცაა შემოქმედებითობა და წარმოსახვის უნარი“ (გაგომიძე 2016:39).

სახელი II

*Issues in Linguistic Research of the
Proverbs of Kartvelian Languages*

1. Lexical and Thematic Characteristics of Kartvelian Proverbs

The study of the lexis of proverbs and the identification of existing thematic fields is of special significance for exploring the life, activities, and history of the people creators of the paremic units which still function today. The lexical items employed in proverbs are close to colloquial speech, which once again emphasizes the folklore nature of the paremias. The social nature of the proverb also largely determines the fact that the form and content of a particular lexical item may indicate the place of origin and // or spread of the proverb. Particularly noteworthy, in this regard, are the dialectal units emerging in the paremias. However, on the other hand, proverbs may present an outdated, incomprehensible word or group of words.¹

The fact that the language of proverbs is diverse, peculiar and interesting is conditioned by various reasons. Along with the universal lexical data (such as birds and animals, plants, human species, etc.) emerging in the proverbs of other Kartvelian languages, separate languages, e. g. in Megrelian, Laz or in Svan proverbs, there are also specific lexical items which are strongly marked with cultural influence (anthroponyms, toponyms, hydronyms, etc.), which reveal significant cultural, geographical or local features of the specific linguistic community.

This paper **aims** to identify the main groups of paremic units typical of the regions which, along with the lexical and thematic parameters characteristic of the Kartvelian languages, reveal original features. The paper also discusses proverbs that include one or more obsolete and less intelligible lexical items employed passively. Their

¹ Lexical peculiarities of Georgian proverbs are discussed in L. Lezhava (1959).

existence sometimes makes the meaning of the paremia vague and further explanation is thus required. However, in many cases, the meaning expressed in the paremia is understandable and, therefore, the proverb achieves its purpose.

Data analysis

From the lexical point of view, several thematic groups can be distinguished in Georgian, Megrelian, Laz and Svan proverbs. Among them, proverbs frequently refer to the core and extended family members (cousins, parents, children, sons-in-law, daughters-in-law, etc.) or the relationship between them.

Here are some examples:

Georgian

- (1) L1: დედინაცვალი თვალში ნაცარიო (Jorjaneli 2003:70).
L2: dedinacvali tvalši nacario.
Word by word: A stepmother is like ashes in the eye (It is difficult to live with a stepmother).
- (2) L1: ერთიმეორის ცქერით ძმებს სახლი დაეწვათო (ibid:82).
L2: ertimeoris ckerit zmebs saxli daečvato.
Word by word: While looking at each other, the brothers had their house burnt down. (People should not rely on others but look after own affairs).
- (3) L1: ინდიშვილი, მინდიშვილი, რაც დედ-მამა, იგივე შვილი (ibid:131).
L2: indišvili, mindišvili, rac ded-mama, igive švili.
Word by word: Parents and children look and behave alike.
- (4) L1: პაპას შვილიშვილი ძველ დროს ასწავლიდაო (ibid:196).
L2: pačas švilišvili zvel dros asčavlidao.
Conceptual equivalent: Don't (try to) teach your grandmother to suck eggs.
- (5) L1: რძალო, დედამთილი გიჩივისო, – რას მიჩივის ის სულძაღლიო, – აი, სწორედ მაგასაო (ibid:210).

L2: ržalo, dedamtili gičiviso, – ras mičivis is sulžaglio, – ai, sčored magasao.

Word by word: Young people/family members should not treat older people badly.

(6) L1: სიძემა თქვა: ჩემი თოხი მომიტანეთო (ibid:232).

L2: sizema tkva: čemi toxi momitaneto.

Conceptual equivalent: If you want a pretence to whip a dog, say that he ate the frying pan (*www.idioms.tsu.ge*).

Megrelian

(7) L1: ბაბუს დო მოთას ართ ჭკუა უღუნია (Sherozia, Memishishi 1994:17).

L2: babus do motas art čkua uğunia.

Word by word: Grandfather and grandchild think alike.

(8) L1: და ჯიმაში სინნარეს გეგენსგნი, თექ დოლო ვეფალუნცია (ibid:34).

L2: da žimaši sinčares gegensəni, tek dolo vepaluncia.

Word by word: The place where a brother learns about his brother's death, will be cursed forever.

(9) L1: დიანთიქ ნოსა იმონშუა დო ნოსაქ მუშ დუდია (ibid:37).

L2: diantik nosa imoçmua do nosak muš dudia.

Word by word: The mother-in-law referred to her sister-in-law and the latter to herself.

(10) L1: დიდას ქაფუნია ნასხაპა და სქუათ ქოსხაპუნსია (ibid:38).

L2: didas kapunia nasxapa da skuat kosxapunsia.

Conceptual equivalent: Like mother, like child (daughter).

Laz

(11) L1: ჯუმაკალა მწკუფისთი კაი გოდღენ (Sherozia, Memishishi 1994:266).

L2: žumačala mčkupisti kai gojlen.

Word by word: Brothers can find their way in the dark.

- (12) L1: პაპული დო ნანდიდიში რდელი ბერე ელამცქვერი იყვენ (ibid:249).
L2: *paṗuli do nandidiši rdeli bere elamckveri iqven.*
Word by word: Grandparents pampers grandchildren.
- (13) L1: მწკუფი სეის თუთა უნონ, სეილი ქომოლის ღნოსაი ოხორჯა უნონ (ibid:238).
L2: *Mçkupi seis tuta unon, seili komolis gnosai oxorǰa unon.*
Word by word: A dark night needs the moon, a silly husband needs a clever wife.
- (14) L1: და კაი სიჯა გიყონტასინონ, და კაი ეშელია (ibid:243).
L2: *ja kai siǰa giqoontasinon, ja kai ešegia.*
Word by word: One should have either a good son-in-law or a good donkey.
- (15) L1: ნანაშანტეში გიყონ-ნა, ბაბათი ბაბაშანტეში იყვენ (ibid:240)¹.
L2: *nanašanteši giqoon-na, babati babašanteši iqven.*
Conceptual equivalent: When one has a stepmother, father also becomes a stepfather (www.idioms.tsu.ge).

Svan

- (16) L1: ბაბჷმ გუი ნიბჷშინს ესერ ესედა (Davitiani 1973:19).
L2: *babäš gūi nibäšins eser esseda.*
Word by word: Grandpa's heart belongs to the grandchild.
- (17) L1: დამბალ მუემ გეზალი დამბალ ესერ ლი (ibid:31).
L2: *dambäl mueš gezali dambäl eser li.*
Word by word: A short father has a short son.
Conceptual equivalent: Like father, like son (daughter) (www.idioms.tsu.ge).
- (18) L1: დი გვლიმ ბედეი ლემასგუ ესერ ჟი ესჩიდი ე, გუი

¹ It is not surprising that in the proverbs of the Kartvelian languages, the *stepmother* is a negative figure. In this sense, the proverb echoes another genre of oral tradition, such as a fairy tale.

დემის ხეზი (ibid:32).

L2: di gezliš bedži lemasgû eser ži esčidi e, gûi demis xebzi.

Word by word: A mother will do anything for her children.

(19) L1: მუხუბე მუხუბემ ესერ ლაჭვდ შიყლი (ibid:103).

L2: muxûbe muxûbem eser lačad šiqli.

Conceptual equivalent: A brother is also the best friend
(www.idioms.tsu.ge).

(20) L1: ხოჩა თელღრა გიგას დინაგეზალდ ესერ ხესპი
(ibid:190).

L2: xoča telğəra gigas dinagezald eser xespi.

Word by word: A good sister-in-law treats her mother-in-law
like her mother.

In the proverbs of the Kartvelian languages, a separate large group refers to the topics related to agricultural activities, labour processes, tools and, in general, describe a peasant's life as well as the names of pets and birds, planters, etc. for example:

Georgian

(21) L1: შენ რას იკვები, მამულო, ყანა ამინდის შვილიაო
(Jorjaneli 2003:282).

L2: šen ras ikvexi, mamulo, qana amindis šviliao.

Word by word: People should not boast about something they
have not done.

(22) L1: მუშა კაცის სასჯელი უქმად ყოფნა არისო (ibid:182).

L2: muša kəcis sasželi ukmad qopna ariso.

Word by word: A hardworking man finds it hard not to work.

(23) L1: კარგი მეურნე მარხილს ზაფხულში გააკეთებს და
ურემს კი ზამთარშიო (ibid:138).

L2: kargi meurne marxils zapxulshi gaaqetebis da urems ki
zamtaršio.

Word by word: A good manager knows how to plan things.

- (24) L1: მეზობელს მეზობლის ქათამი აქლემი ეგონაო (ibid:169).
L2: mezobels mezoblis katami aklemi egonao.
Conceptual equivalent: Grass is always greener in the neighbour's garden (*www idioms.tsu.ge*).
- (25) L1: ვისაც სიმინდი უყვარს, თოხიც უყვარდესო (ibid:105).
L2: visac simindi uqvars, toxic uqvardeso.
Conceptual equivalent: After dinner comes the reckoning (*www idioms.tsu.ge*).
- (26) L1: ერთი ხისგან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცო (ibid:84).
L2: erti xisgan baric gamova da ničabico.
Conceptual equivalent: Six of one, half a dozen of the other.

Megrelian

- (27) L1: ბერგი დიხას ვადაჩირთენია (ვედოჩირთუნია) (Sherozia, Memishishi 1994:19).
L2: bergi dixas vadačirtənia (vejočirtunia).
Word by word: It's not worth hurrying up.
- (28) L1: ბრიგადირი დო გუგული ართი რენია – ჟირხოლო შხვას მუშაობას უძახენია (ibid:20).
L2: brigadiri do guguli arti renia – žirxolo šxvas mušaobas uzaḡənia.
Word by word: The collective group leader and the cuckoo are one and the same – both encourage others to work.
- (29) L1: ბულიშა სხული ვეგიცონუნია (ibid:21).
L2: buliša sxuli vegi'onunia.
Conceptual equivalent: Birds of a feather flock together (*www idioms.tsu.ge*).
- (30) L1: გირინიში ნახადი ცხენქ ოჭკომუა (ibid:28).
L2: giriniši naxadi cxenk očkomua.
Word by word: The work by the donkey was used by the horse.
- (31) L1: ღუ ინაჯინალო ვერგ, ვარა გური ჯგირი უღუნია (ibid:151).

L2: *gu inažinalo verg, vara guri žgiri ugunia.*

Conceptual equivalent: Appearances are deceptive.

Laz

(32) L1: ბაშქაში ბერგითენ ყონა ვარ იხაჩქენ (Sherozia, Memishishi 1994:203).

L2: *baškaši bergiten qona var ixačken.*

Word by word: A field will not be sewn with the other person's hue.

(33) L1: ფუჯიქ ყონა ძირუ დო ლობერი ვარ ძირუ (ibid:203).

L2: *pužik qona ziru do ġoberi var ziru.*

Word by word: The cow noticed the field and not the hedge.

(34) L1: ეშელის ფალანი მუში მონკა ვარ აყვენ (ibid:214).

L2: *ešęis palani muši monka var aqven.*

Word by word: The donkey will not be burdened by its saddle.

(35) L1: ზდეი წკართენ ქარმატექ ვა მქუმს (ibid:215).

L2: *zdei čkariten karmatek va mkums.*

Word by word: The mill will not work on the water brought with buckets.

(36) L1: იხიქ მეჩხომეს ნა უნონსთერი ვა ბარს (ibid:219).

L2: *ixik mečxomes na unonsteri va bars.*

Word by word: The wind will not blow the way the fisherman wants it to.

(37) L1: უსთას ოხორი ვარ უღუნ (ibid:253).

L2: *ustas oxori var ugun.*

Word by word: A carpenter does not have a house.

Svan

(38) L1: აშუ ლადღიმ სგებნაუ ნაჯანუ აშუ ნაგზომუ სგებინჩუ ესერ ითი (Davitiani 1973:17).

L2: *ašu lądęiř sgebnau naqanu ašu nagzořu sgebinču eser iti.*

Conceptual equivalent: Make hay while the sun shines

(www idioms.tsu.ge).

(39) L1: კეცნემ ნამატუინ ჭემინს ესერ ლახშდეხა (ibid:46).

L2: kecnem namätüin çəmins eser laxşdexa.

Word by word: Who hides away from bread will have to eat barley.

(40) L1: მედგარი ჩაჟუ მერ ესერ ხეჭუადი (ibid:87).

L2: medgari čažü mer eser xečüadi.

Word by word: Flies hover over a dying horse.

(41) L1: მიჩ' ადგიჟი ბერგიმ ნამჭიჩუ ესერი ხოჩა ლი (ibid:95).

L2: mič' adgiži bergiš namqičü eseri xoča li.

Word by word: In its place even an old hue is good.

(42) L1: ფედლიმ დაბ ლამშაშ ესერ სეუდდგარ ხოჩა ლი (ibid:143).

L2: pedliš dab lamšäš eser seuddgar xoča li.

Word by word: Even a nearby field is good for those who love work.

As shown by the analysis of the empirical material, the proverbs of the Kartvelian languages reveal rich thematics. By depicting the peasant's life and daily activities, they convey significant and noteworthy general wisdom. The majority of the groups of proverbs singled out in the paper can be found in the funds of proverbs in all four Kartvelian languages. However, within the related languages, thematically and semantically different proverbs may also appear. Such paremias are marked from the point of view of both the activities of the language communities and geographical environment. To illustrate the above-mentioned, the proverbs in Megrelian, Laz and Svan, based on the lexical items, can be claimed to be directly related to the above-mentioned regions of Georgia.

Megrelian

(43) L1: გორგი ცხონდია – ირკოჩიში მორდია (Sherozia, Memishishi 1994:28).

L2: Giorgi Cxondia – irkočiši mordia.

Word by word: Giorgi Cxondia is everyone's godfather.

(44) L1: დადიანე ყაზახის – ოშმეში ღულა გაფუნია დო – ხოჯი ოგაფუუა (ibid:35).

L2: dadiak qazaxis – ošmeši ğula gapunia do – xoži ogapuuu.

Conceptual equivalent: A carper will cavil at anything

(www.idioms.tsu.ge).

(45) L1: სონი ჩიქახე, სო მიშახე (ibid:124)¹.

L2: soni čikaxe, so mišaxe.

Word by word: The daughter of Chikovani, is sitting here.

(46) L1: უჭირო საჭირო ჩანგელიაშ კარსია (ibid:138)².

L2: učiro sačiro čangeliaš karsia.

Word by word: Unplanned/spontaneous³ hardship is on Changelia house.

(47) L1: უტუში ნინა მუში ნაჭკადაში უჯგუშო ქკირუნცია (ibid:137)⁴.

L2: utuši nina muši načkadaši užgušo čkiruncia.

Conceptual equivalence: The tongue is not steel but (yet) it cuts

(www.idioms.tsu.ge).

¹ Variant: soni čikaxe, so mišaxe (Folklore. II, 1991:526). The following proverb has a similar meaning: Axalaiak pataraias mišasxapua. "Akhalaia interfered with Pataraia's dance (Sherozia, Memishishi 1994:16); or Axalaias žogori gošuas žogorens mišalalandua. "Akhalaia's dog barked with Goshua's dogs" (ibid:16).

² The content of the proverb is explained in the collection as follows: "Peasant Changelia found salmon on the bank of the Enguri and gave it to Dadiani. Dadiani became angry with the peasant not to have brought such a gift before and ordered him to bring salmon every year (Sherozia, Memishishi 1994:138).

³ The lexemes in the brackets are inserted by the author.

⁴ In Volume II of the Georgian Folklore (Megrelian texts) the following explanation is found under the proverb: "Utu Mikava, a blacksmith by profession, the leader of the peasants of Samegrelo in 1858, was also known for his oratorical talent" (Folklore II, 1991).

(48) L1: ქილაიაშ ხოჯი ეკობონს ხონუნსია (ibid:175).

L2: çilaiāš xoǰi eḳoxons xonunsia.

Word by word: The ox of Chilaia ploughs up the hill.

Laz

(49) L1: აჯარალიქ დალიკელე ინკენ, ლაზიქ მზოლაკელე

(Sherozia, Memishishi 1994:202).

L2: aǰaralik daǰiḳele iḱken, lazik mzoǰakele.

Word by word: An Ajarian looks towards the wood, and a Laz desires the sea.

(50) L1: ზულაკალა ნა სქიდუნს ომჩვირუთი აჩქინენ (ibid:216).

L2: zuǰakala na skiduns omčviruti ačkinen.

Word by word: Those who live at the sea can swim.

(51) L1: წყარიშ მომალერი წყარიქ ნიმერს (ibid:262)¹.

L2: çqariš momalери çqarik nimerს.

Conceptual equivalent: Easy come, easy go.

(52) L1: პოლის ჯუმორი დვაბერენან დო ნჩხალას ხარჯი
იკვანტერენან (ibid:249)².

L2: polis ḟumori dvaberenan do nčxalას xarǰi iḱvanterenan.

Word by word: Vinegar was spilt in Istanbul and pay was demanded in Chkhala.

(53) L1: ხოფას ლაზი ღურუ, პოლის ბგარა დოდგეს (ibid:264).

L2: xopას lazi ḡuru, polis bgara dodges.

Word by word: A Laz died in Khopa and the funeral was held in Istanbul.

¹ Compare the Georgian proverb: *karis moṭanils karive çaiǰebso* (Easy come, easy go).

² Compare the Georgian proverb: a man was beaten in **Gori** and became angry in **Tskhinvali** (Jorjaneli, 2003); **Megrelian proverb**: *Xorgas ḱoči golaxes do Xetas gurk murtua* (A man was beaten in Khorga and became angry in Kheta) (Sherosia, Memishishi 1994).

- (54) L1: მოლლა ცხენიშენ მელუ-ში: – ზათთან ცხენიშენ გეფტა-
მინტუ-და (ibid:235)¹.
L2: molla cxenišen melu-ši: – zattan cxenišen, geptamintu-ja.
